ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ავქსენტი ცაგარელი

კრებული

ავქსენტი ცაგარელი

კრებული

ვუძღვნი ნატალია ცაგარელისას

ხანუმა

კომედია 4 მოქმედებად

მომქმედნი პირნი:

მიკიჩ ტყუილ-კოტრიანც თ. ვანო ფანტიაშვილი - მებატონე.
მდიდარი მოიჯარადრე
სონა - ამისი ქალი, ნასწავლი. კნეინა თეკლე - ამისი და.
სარა - სონას დიდედა, მოხუცი. თ. კოტე ფანტიაშვილი - ვანოს ძმისწული

ტერტერაანთ აკოფა მიკი-
ჩას ნათესავი, მისივე პრიკაშჩიკი ტიმოთე - ვანოს
მოსამსახურე გლეხი.
კართუკანაანთ ქაბატუა მაჭანკალი
ბურთიკაანთ ხანუმა მაჭანკალი

სტუმრები, საზანდარი

მოქმედება თბილისში; I და III თეკლეს სახლში, II და IV - ტყუილ-კოტრიანცისა.

პირველი მოქმედება

სცენა: რიგიანად მოწყობილი ოთახი, სამის კარით და ფანჯრებით

პირველი სანახავი

ტიმოთე
(სკამზე ზის და იჩმუჩნება)

შენი ჭირიმე. დედავ, რანაირათ ჰყინავს ეს რჯულ დაკარგული!.. სულ არა სცოდნიათ ამ დაწყევლილ ქალაქში მოჯამაგირის პატივი! ჩვენი კაცი რომ დილით ადრიანათ ადგება, ერთი კაი ლაზათიანი ტაქანი ოტკა უნდა იწყვიტოს, რომ იმ დღეს რიგიანად იყოს, თორემ მოგცემენ ერთ ტაქან ჩაის კრიპუსტით და იმითი უნდა დანაყრდე უზმოზედ... უჰ, დასწყევლა ღმერთმა, რა ძალიან შემოუტია ამ სიომ! აბ, სადა ხარ ეხლა ერთო კაი პირტო! ასე გაგხდის, როგორც ცეცხლი... რაზედ წამომათრივა ჩემმა ბატონმა! რა უნდოდა, ჩემთვის სოფელში ვგდებულიყავი: დააღუღუნე ცეცხლი, მოუჯექ, ხუხე ჩურჩხელა და სჭამე, ზედაც არაყი დააყოლე... ან თითონ რა უნდოდა ჩემ ბატონს, რომ გამოეჩქარა

ქალაქში! ეჰეი! რამოტელა ფულსა ღუპავენ ჩვენი კნიაზები! დაყიდიან, ბატონო, რაც კი პური და ღვინო შემოუვათ შემოდგომაზე, ჩასხდებიან ი ვერანა პარახოტში და ქალაქში გნიასს ჩამაიტანენ! ი ფულს სულ აქ მიფშვნეტამენ ერთ ორ კვირაში და შინ რომ დაბრუნდებიან, ზამთრის საგძალიც აღარა აქვთ! ძალიან უთაბაუთოთ ირჯებიან ჩვენი ბატონები. აი, ჩემი კნიაზი, ერთი კვირაა, აქ არის და წორეთ ერთი ზღვა ფული გადაფლანგა. თითონ კიდევ ჰო, მე რაღა მაჩანჩალა ვარ, რომ ჩამომათრივა! შემასკუპებს ფაიტონის კოფოზე და ქუჩა-ქუჩა დამარიხრიხებს! იმდღეს კინაღამ თავ-პირი დამანტვრევინა! ეგ აქ ხალხს თავს აწონებს, მეორე ცოლს ეძებს და მე კი არა მკითხავს, რომ ერთი ცოლიც არა მყოლია!..

ვანო (კულისიდგან)

ტიმოთე!

ტიმოთე (წამოხტება)

აქ გახლავარ, შენი ჭირიმე.

ვანო (იქიდანვე)

შენ საქმეს მორჩი და სხვაგან უნდა გაგზავნო.

ტიმოთე

მოვრჩი, ბატონო. (აქეთ წამოვა). ეს ერთი კვირაა, ჩემი ბატონი აქეთ-იქით მგზავნის და წიგნებს მატანს. დამენაძლიე, მართლა რამეს აპირებდეს; ამ მაჭანკლებმაც რომ მოუხშირეს! (ჩაიცინებს). ე რა ხალხი ყოფილა, შენი ჭირიმე! დღეში ოცი მაჭანკალი მოდის. ისე ჩააცივდნენ,

რომ წორეთ ხათაბალაში გაახვევენ... მოდი, ერთი მეც ავეტორღიალები, ი პატარა მაჭანკალი რომ არის, იქნება გაუწყრეს ღმერთი და... აი ისიც... აი დაგწყევლა ღმერთმა!..

მეორე სანახავი

იგივე და ქაბატუა, მერე ვანო

ქაბატუა (შემოდის)

კნიაზი შინა ბძანდება?

ტიმოთე

ჯერ სალამი უნდა გეთქო და მერე გეკითხა! ეგ ხომ დამნავსე!

ქაბატუა

ვა! ძალობანაზეა? არ მინდა და არ გეტყვი! მითხარი მეთქი, კნიაზი შინ არის?

ტიმოთე

მაშ არა და ამ დილაზე, მე ვიცი, გუთანზე წავიდოდა! შინ არის მაშ!

ქაბატუა

ერთი მოახსენე, გელიანთქო!

ტიმოთე

რაღა გელიან... რა მთელი ჯარი ელის? ერთი ბეწო დედაკაცი კი შემოპრაკუნდი!.. მერე რა საქმე გაქვს ამ დილა ადრიან?

ქაბატუა

ვა! შენ ვინა ყოფილხარ? რას მესპორები, მოახსენე რაღა!

ტიმოთე (დაცინვით)

ეი! დაბარებულივით არ მოიჭრა ამ დილა ადრიან! ჰა, გაასაღე, თუ არა?

ქაბატუა

ეეი! რა ნაირი ბრიყვი ყოფილხარ! ვის ელაპარაკები? გავასაღე რა, დალალი ვარ!

ტიმოთე

ძალიან გაწყერი! დალალი ხარ, მაშ არა და ნაჩალიკი ხარ! მაჭანკალი და დალალი ერთი არ არის? რა ვიცი, რაც კი რამ დამპალია, თქვენ ასაღებთ და მეტი რაღა დალალობა უნდა!

ქაბატუა (გაცხარებული)

შენ გიჟი ხარ, ვიღაცა ხარ! ვის უბედავ, რომ დალალი ხარო, შე გაუთლელო სოფლის ჰოტროველავ!

ტიმოთე (სიცილით)

ეჰეი, რანაირად დაუტია! (იქით) ცარიელი კუჭი იქნება ე დაწყევლილი პატარა დედაკაცი! წორეთ ჩახმახია,

ჩახმახი! როგორ აკვესებს!

ქაბატუა

შენ ბრიყვობას სულ კნიაზს ვეტყვი, ერთი ვნახო!

ტიმოთე

კარგია, გეყოფა როდი უნდა გაჯავრდე, მალე დაბერდები!

ქაბატუა

მითხარი მეთქი, კნიაზი რომელ ოთახშია, უნდა შევიდე!

ტიმოთე

ეი! რა ყოფილა ესა! სად უნდა შახვიდე, ადამიანო, კაცი

ლოგინში წევს! ჩაიცომს და თითონ გამოვა.

ქაბატუა

(ჩადრს მოიხსნის, თავზედ დაიდებს და ტახტზედ ჩამოჯდება)

ეგრე თქვი და რაღას იღრიჭები! (სიჩუმე).

ტიმოთე (გაივლის და გამოივლის)

მოდი, ერთი ამას ავეტორღიალები! ურემი თუ შეშას არ მოიტანს. თითონ ხომ შეშაა და შეშა (მიუახლოვდება ღიმილით) ე, ინჩე! რა მოგცე, რომ ერთი კარგი გოგო შემრთო?

ქაბატუა (გვერდზე შეხედავს)

აი თვალი კი დაგიდგა!

ტიმოთე

ნუ კი იგინები, შვილოსა. ფულის საქმე არ არის, ფულს მოგცემ რა.

(სიჩუმე). ჰა, ე?

ქაბატუა

შენ ამ დილაზე მგონი რაღაც დაგილევია.

ტიმოთე

ისემც ღმერთი ააშენებს ქალაქელების ოჯახს! რა უნდა დამელია, ხედამ, მუცელს ფაყა-ფუყი გააქვს.

ქაბატუა

კარგია, ხმა გაინკმიდე, შენი თავი არა მაქვს.

ტიმოთე

რა არის, შვილო? არქიელიდგან მოკიდეული მთელი მილეთის ხალხს ცოლს თქვენა რთამთ და რა იქნება, ერთი გოგო მეც მიშოვოთ? მეც ფულს მოგცემ რჯულის მადლმა.

ქაბატუა (გვერდზე შეხედავს)

მერე ვინ მოგწონს?

ტიმოთე

ვინ მომწონს? ჩვენი ნაჩალიკის ცოლი!

ქაბატუა

ვა! გაგიჟდი?

ტიმოთე

მა რას მეკითხები? ვინ მამწონს რა...

ქაბატუა

ჰო, არავინ არ გეგულება?

ტიმოთე

რომ მეგულებოდეს ვინმე, შენ რაღა საჭირო ხარ, წავალ და ვითხოვ, მე მინდა, რომ შენ მიშოვნო.

ქაბატუა (ქოქოლას აყრის)

უი ქის! ესეც რომ დიდკაცობს: მაჭანკლებით ქალებს თხოულობს!..

ტიმოთე

ჰა, ე?

ქაბატუა

არა, შვილო, საშენო არავინ ვიცი!

ტიმოთე

მე კი ვიცი და!

ქაბატუა

აბა ვინ არის?

ტიმოთე (იქით)

ამ დაწყევლილმა საღერღელი ამიშალა, რა მარილიანი ადამიანია! ეს ფულსაც ბევრს შემაიტანს. (იმას) რაღა შორს წავიდეთ, მოდი ეშმაკს შეაფურთხე და შენ შემირთე...

ქაბატუა (ქოქოლას აყრის)

მეხი კი დაგეცა!

ტიმოთე

ჰოდა რა? ძალიან კარგათ მოვალთ მე და შენ. შენ ახალგაზრდა ქალები დაასაღე და მე ცხენების დალალობას დავიწყობ.

ქაბატუა (შეუტევს)

ეგ ვისთანაც გაგიბედნია, კიდევ იქ მიჰქარე! მე შენი სოფლის გომბიო არ გახლავარ.

ტიმოთე

ძალიან გაიჭიმე, მაშ ვინა ბძანდები? სულ ერთი ყალიბისა ხართ მაჭანკლები.

ქაბატუა

ქა, ესეთი მასხარათ აგდებაც!.. გაჩუმდი, თორემ ეხლავ პოლიციას დავუძახებ!

ტიმოთე

რათ გვინდა, რო დაუძახებ? მოდი, ბელგათ ერთი მაკოცნინე, მორჩა და გათავდა...(მიიწევს იმისკენ).

ქაბატუა (ქოშს გაიხდის)

როგორ თუ მაკოცნინე! (ესვრის)

ვანო (გამოდის)

ტიმოთე (ვანოს რო დაინახავს)

კარგია, ნუ ჰყვირი, მართლა ეგონებათ რამე.

ვანო

რა ამბავია, რა დაგემართათ?

ქაბატუა

ვა, კნიაზ, ეს რა ფინთი ვინმე ყოფილა! კინაღამ გიჟობანა დაიწყო!

ვანო (სიცილით)

რა იყო? არშიყობა ხომ არ დაგიწყო?

ტიმოთე

არა, შენი ჭირიმე. მე უბძანე, ერთი გოგო მიშოვე მეთქი და მაგან ქოში მდრუზა...

ქაბატუა

ვაი, რომ არ მოგხვდა, ერთი შამანი გადმოგსვლიყო...

ტიმოთე

მამხვედრიყო და, მგონია, აქვე...

ვანო

კარგია, გეეთრიე!

ტიმოთე (ბუტბუტებს)

თუ შენი ოხტიდგან არ მოვიდე და მაშ ტიმოთე...

ვანო

კარგია მეთქი... რას ბუტბუტებ?

ტიმოთე

არაფერი, შენი ჭირიმე. მე არაფერი არ მიბძანებია (მიდის და კარებიდგან ყელს უწევს ქაბატუას).

ქაბატუა (ქოქოლას აყრის)

აი თვალიმც დაგიდგა! (ვანოს) ვა, პრილაჟენიას მიკეთამდა!

ვანო

მერე უარი უთხარი?

ქაბატუა (მორცხვათ)

კარგია ერთი, შენ გენაცვალე... ჯერ შენი ქორწილი მაჭამე, კნიაზ, მერე ჩემსას გაჭმევ. (დაჯდება).

ვანო

რა ვიცი, ბევრს კი დარბიხარ და რო ვერაფერს არიგებ!

ქაბატუა

ვა, რატომაც არ ვარიგებ! ქალი შეგრთო, კნიაზ, ქალი შეგრთო, რომ ერთი იმის ცალი ჰინდოეთის მეფეს

ჰყვანდეს, ერთი ხონთქარს და სხვას არავის მთელ დუნიაზედ.

ვანო

აი ყოჩაღ! ხანუმა რო მირიგებს, იმასა სჯობიან?

ქაბატუა

უი, შენ ჩემო თავო! ვის ეკადრება ხანუმას გარიგებული! ხანუმა თულუხჩების მაჭანკალია! იმის გარიგებულს, კნიაზ, გირჩევნია, თითონ ხანუმა შეირთო, ჰო ჩემი სუფსარქისის მადლმა!

ვანო

რა, ლამაზი არ არის? ის კი ძალიან აქებს და...

ქაბატუა

უი, უი, უი, ერთი ფინთი, ერთი ჯოჯოხეთი, ერთი შეითანი, რომ ხმალ ამოღებული ლეკია!.. ორმოცდა თვრამეტი წლისა, პირ დაღრენილი, ლაშებ მოშვებული, ფილთაქვას ტოლა ცხვირი, კუსავით ჩაძვრენილი წვრილი თვალები, დაჯიდა, არყის კოლოტსა ჰგავს, ჰავლაბრის კინტოსავით ბოხი ხმა!.. კნიაზის მზემ სიზმარში რომ მოგეჩვენოს, ბნედა მოგივა.

ვანო

მა რა ჯანდაბათ მინდა, თუ ეგეთი მოჩვენებაა!.. აბა, მოვიდეს ის გიჟი მაჭანკალი, მე ვიცი, როგორც გავისტუმრებ.

ქაბატუა

ხანუმა სახლში შაიშვება? იმან ოღონდ ფული აჰკრას და ცოდოსა და მადლს ხომ აღარ დაგიდევს! შენ მე მიგდე ყური, კნიაზჯან, მე ხომ შენი ყურმოჭრილი ყმა ვარ... თუ რომ ქალი არ მოგეწონოს, არამც თუ ფულს ნუ მომცემ, აქვე რომ ჩამომახრჩო, ყაბული ვარ.

ვანო

მომეწონოს და კაი ათ თუმანსაც გაიკრამ...

ქაბატუა (ჩაიცინებს)

არა, გენაცვა, ათი თუმანი რა ფულია, როდესაც მე შენ ხაზინას გაშოვნინებ, მაგრამ თქვენ ჩემი პატრონები ხართ; ათ თუმანთან ათ კოდ პურსაც მიწყალობებ, ერთ

ხელ საქორწილო ტანისამოსს და სხვა რამეებსაც... განა არ ვიცი, რომ თქვენთან სიკეთე არ დამეკარგება.

ვანო (იქით)

მამა გიცხონდა, ჩემ ხოდაბუნებსაც შენ დაგისაკუთრებ!

ქაბატუა

მაგრამ თქვენ ტყუილად რაზედ გაწუხებთ! თქვენმა ბრწყინვალე დამ, თეკლემ, იცის ჩემი ყადრი და პატივი. ვენაცვალე იმას, ღვთისნიერი ადამიანია. სანამ თქვენ სოფელში ბძანდებოდით, ის საწყალი იჯდა თავის სახლში გამოკეტილი! ქა, მეტის მეტი უადამიანო და მიუკარებელია!.. როცა მოეწყინებოდა, გამომიგზავნიდა თავის პატარა მიშოს.. (ყმაწვილს აჯავრებს) “ქაბატო! დედამა ბძანა, აქ გადმოდი, სკუცნათა ვალოო!..” ღმერთმა

აჩუქოს, რა მშვენიერი ბავშვი ეზდება, ზედ გამოჭრილი თავის განსვენებული მამაა... გადმოვიდოდი მეცა, ვეტყოდი, კნეინა თეკლე, სულ შინ ჯდომა როგორ იქნება მეთქი!.. ერთხელ ორჯელაც პიკნიკში წავიყვანე ოსანასთან...

ვანო (გააწყვეტინებს)

ეგ ყველა ეგრე, მაგრამ ი ქალის ამბავი მითხარი: ვინ არის, ან რა აქვს?

ქაბატუა

სუყველაფერი, თქვენმა სიცოცხლემ. დიდი სოვდაგრის შვილი, დიდის ქრთამით და მზითვით. გუშინ კნეინა თეკლემ გამგზავნა და დღეს ამბავი მოვართვი. თქვენა სცნობიხართ კიდეც ქალის მამას...

ვანო

ვინ არიან?

ქაბატუა

ქა, სოვდაგარი მიკიჩას ქალი.

ვანო

აბა მიკიჩა?

ქაბატუა

ჩვენი... ტყუილ-კოტრიანცი...

ვანო

ჰოოო! ტყუილ-კოტრიანცი. მე სულ სხვაზედ წავედი. მიკიჩას მე ძალიან კარგად ვიცნობ, ჩემი ძალიან დოსტია. მაშ იმისი ქალი?

ქაბატუა

სწორეთ იმისი.

ვანო

ქალსაც კარგს ამბობენ!

ქაბატუა

ედემის ფრთაშესხმული ანგელოზია!

ვანო (გახარებული)

აბა, მაშ რიგიანად უნდა დატრიალდე და დაპირებულზედ ხუთი თუმანი მომიმატებია.

ქაბატუა

პირველად ძალიან ფეხს აჭერდნენ, მაგრამ მე რომ ცამდის აგწიეთ, ისინიც დარბილდნენ.

ვანო

რა, მითომ გაძნელდება?

ქაბატუა

კი არ შეგვეხვეწებიან! თითონ პარუმ მიკიჩა ძალიან მოწადინებულია.

ვანო

რას იძლევიან?

ქაბატუა (ჯიბეში ეძებს)

აი, აქა მაქვს დაწერილი მზითევი და ქრთამი, სულ კი არა.

მესამე სანახავი

იგინივე და თეკლე

თეკლე
(თავის ოთახიდგან გამოდის)

ოჰ, ქაბატო, მოხვედი კიდეც? შე წყეულო, რატომ ჩემთან არ შემოხვედი, სამახარობლოს მოგცემდი. რა ამბავი მოიტანე?

ქაბატუა

კარგი, ვენაცვალე შენ ბრწყინვალე სახეს. პირველათ რომ უთხარი, მასხარაობა ეგონათ: კნიაზი ჩვენ ქალს როგორ ითხოვსო! მე კი არ მითქომს, რომ თქვენი გაგზავნილი ვიყავი. უთხარი, თუ გინდათ, იქნება გავარიგო მეთქი. იმათ ძალიან გაეხარდათ. სოვდაგარ მიკიჩამა სთქვა, მე დიდი ხანია გულში მედოვო, აბა წადი და გაარიგეო... მარხვდება კიდეცა და ქორწილიც მალე გავაჩაღოთო.

ვანო (თეკლეს)

მერე ქალი რა კარგი ყოფილა!

ქაბატუა

ტანციონში გაზდილი! რა ფრანციცული, რა ფორტუპიანი, რა ნასწავლი! აი, თუ ჩემი არა გჯერათ, თქვენ ძმისწულს ჰკითხეთ. ის, მგონია, იმათსა დადის.

ვანო

აბა ჯერ წაგვიკითხე, რა გიწერია მაგ ქაღალდში.

ქაბატუა

(დიდ სათვალეებს წამოიდებს ცხვირზე)

ფულათ რვაასი თუმანი, ხალასი ოქრო... სულ

პოლიმპრიალები აქვს მიკიჩას თავის ქალისთვის შეგროვილი... ოთხასი თუმნის შენახული მზითევი. ახლა ახალი უნდა იყოს: ერთი ძვირფასი საგვირგვინო კაბა, ეღირება, სულ ცოტა, ოცდაათი თუმანი. ოროლი დუჟინი თეთრეული, ნახევარ დუჟინი კაბები, სამკაული, წვრილმანი, ფერხსაცმელი - სულ იანგარიშეს ხუთას თუმნამდის. ეს არის. დანარჩენზედაც მოველაპარაკებით. ორი ათას თუმნამდის დგება. მიკიჩა ნატარიუსის პირობით შეეკრა თავის ქალს, თუ ორ თვეზედ სულ არ ჩააბაროს, სახლები და მაღაზია აუწეროს.

თეკლე (გახარაბული)

ქა, შე გასაგლეჯო, რუფაკებისა არა უთქვამთ-რა?

ქაბატუა

რა ძალა აქვთ, თუ მოვითხოვთ. აი სია დამიწერე და ჯანსაც კი არ გავაგდებინებ!

ვანო (მხიარულად)

ძალიან ყოჩაღი ყოფილხარ, ქაბატო, არ ვიცოდი.

ქაბატუა

ვა! მაშ არ იცოდი? სომხები იტყვიან: ლუნ პუსტიკე, ჰამა მეწე კწუმ!.. ჯერ მიყურეთ, მე პატარა დედაკაცმა რა შტუკები გავაკეთო!

თეკლე (სიცილით)

დიდი კუდიანი ხარ, ვინც არ გიცნობს! წამოეთრიე, რუფაკები დაგიწერო (მიდის)

ქაბატუა (ვანოს)

იქეიფე, კნიაზ, ოხერი ფული ბევრია! (მიდის). თათრები იტყვიან: ფლოვი იანი იშტაია გერაქ ოლსუნ! (გადიან).

ვანო (მიაძახებს)

თეკლე! ქაბატუას ეხლავე ხუთი თუმანი მიე, დასჭირდება.

მეოთხე სანახავი

ვანო, მერე ტიმოთე და კოტე

ვანო (წამოდგება)

კაცს თუ ეწვიოს ბედი, რიგიანი უნდა იყოს! ეს ამოდენა ფული, მშვენიერი ქალი... გაგორდი და გამოგორდი! (ჩაფიქრდება) ხომ იტყვიან, კაცის თვალი გაუმაძღარიაო, მაგრამ ძალიან ადვილათ კი სტყუვდება: ერთი ხუთჯერ გიჟი სერგუშკას ფაიტონით აიარ-ჩაიარე ქალაქში და ორი ათასი თუმანი ჯიბეში გდია! მაშ რა ნახეს მაგ ოხრებმა ჩემში?.. ეხლა კი კარგათ მოვიყვან ჩემ საქმეს: ასეთი დაჩა ჩავჭიმო კაკლებთან წყაროზედ, რომ, ვინც იქ შევიდეს, ეშხით დაიბნიდოს!.. (მღერის) "კოკობო ვარდო, არ დამაგდო, ვარ მონა შენი..." ჰაი-გიდი, კნიაზო ვანო! ვინ უნდა ჭამოს ორი ათასი თუმანი და ლამაზი გოგო!.. ჰაიდა, კნიაზჯან!..

ტიმოთე (შემოვარდება)

ბატონო, იცი, რა მოგახსენო...

ვანო (შეხტება)

მხეცო! ჰოტპუ! რა ნაირათ შემოვარდი, გული გამიხეთქე! ბოსელში ხარ, თუ რა ღმერთი გაგიწყრა!

ტიმოთე

პატარა კნიაზი მობძანდა და...

ვანო

ვინ პატარა კნიაზია?

ტიმოთე

ჩვენი პატარა კნიაზი, კოტე.

ვანო

მერე რა თავ-პირს ინტვრევ? მობძანდა და აქ დაუხვდებით! გასწი, კარი გაუღე.

ტიმოთე (გაუღებს ღრეჭით)

მობძანდი, შენი ჭირიმე.

კოტე (შემოდის)

ოჰ, ტიმოთეს გაუმარჯოს! შენც ქალაქში ხარ?

ტიმოთე

ღმერთმა შენი თავი მიცოცხლოს (გადის)

კოტე (ქუდს დასდებს)

ბიძა ჩემს ვახლავარ. (ხელს ჩამოართმევს).

ვანო (ხელს აძლევს)

ბონჟურ, პრენს კოწია! როგორა ხარ? დაჯექი.

კოტე (დაჯდება)

თქვენ როგორა ხართ? დიდიხანია ქალაქში ხართ?

ვანო

ერთი კვირა იქნება. სხვა, ახალი ამბავი?

კოტე

მშვიდობა. ცოლის შერთვას ვაპირებ, ბიძა ჩემო და უნდა თქვენთან მომელაპარაკნა...

ვანო

ერიჰაა! მაშ ერთად გადავიხადოთ ქორწილი, უფრო ცოტა დაგვიჯდება.

კოტე

როგორ? თქვენც აპირებთ რამეს?

ვანო

ქორწილს. ერთი კაი ლუკმა ვიშოვე. საქმეც გავათავეთ, ხვალ თუ ზეგ ჯვარს დავიწერ.

კოტე

ოჰო! მაშ მომილოცავს. (ხელს აძლევს).

ვანო

ვინ არის შენი საცოლე, აქვს რამე?

კოტე

კარგი გაზრდილი ქალი, ნასწავლი, მდიდარი. გაგიჟებით ვუყვარვარ და მეც მიყვარს; მაგრამ, მგონია, მშობლებს ადვილად ვერ დავიყოლიებთ...

ვანო

მამა უცხონდათ კი არ შეგვეხვეწებიან. არ დავიყოლიებთ და დავახვიოთ ბიჭები, ერთი კარგა დავზურგოთ და ქალიც მოვიტაცოთ! შენ ჯერ კარგა ეცადე, როგორმე შინაურულად მოახერხო. მეც, ჩემო ძმავ. მომწყინდა ამდენი ქეიფი და თავისუფლად სიარული. თუთხმეტი წელიწადია ცოლი დავმარხე და თუთხმეტჯერ სახლში პური არ მიჭამია, სულ აქეთ-იქით ვაღამებ ჩემ სიცოცხლეს. ეხლა კი მოვიკეცამ სახლში და ხელს მივყოფ ოჯახობას... შენც ვინძლო ფეხი მაგრა მოიკიდო და მასწავლებლობას თავი არ დაანებო. მართალია, მამა შენმა მთელი თავისი წილი ვალში დაურიგა და შენ არა დაგიტოვა-რა, მაგრამ არა უშავს-რა, ჩემი მამული შენი არ იქნება?

კოტე

მადლობელი გახლავარ, ბიძა ჩემო... მართლა, ვინ არის

თქვენი საცოლე?

ვანო (თვალს უზამს)

ჩემსავით დარდიმანდი, ლამაზი, კოხტა, ძალიან მდიდარი... მართლა, თუ ერთათ არ მოგვიხდება ქორწილი, შაფერათ გამომყევი; такой шик зададим, что...

კოტე

ბიძა ჩემო! თქვენ მაინც ძალიან იცით ქალების არჩევა...

ვანო

მაშ, ბიჭმა იცის და! მაშ, ამდენი ხანი უცოლოდ რათ დავაღამე? (ღიმილით). იცი, ბიჭო, რა გითხრა, знаешь, я боялся, კარგია, რომ ცოლს ირთამ, თორემ знаешь,

მეშინოდა, არშიყობა არ დაუწყოს მეთქი! ისეთი ლამაზია, რომ...

კოტე (მხიარულად)

მაგას რას ამბობ, ბიძა ჩემო?.. რა გვარია?

ვანო

რა გვარია! ჰმ, ჰმ! რა გვარია! მილიონერის ქალი!.. знаешь ты, мешоками у него золото! მიკიჩ ტყუილ-კოტრიანცის ქალი არ გაგიგონია?

კოტე (გაფითრებული)

ტყუილ-კოტრიანცის ქალი?!

ვანო

ჰო, რა ძალიან გაგიკვირდა? მე რაღა ურიგო ბიჭი ვარ!

კოტე (გაშმაგებული იქით)

ჩემი საცოლე, სონა! ამისთვის გაურიგებიათ!..

ვანო

ჰა, ჭკუაში არ დაგიჯდა? (დააცქერდება) რა მოგივიდა, ყმაწვილო, როგორ გაფითრდი?

კოტე

არაფერია, გაივლის! ცოტა მეძინა და თავბრუ მეხვევა.

ვანო

ე რა ფერი დაგედო, ავად ხომ არა ხარ? ჰაი, შე ლაჩარო, შენა!

კოტე

დასწყევლოს ღმერთმა, რაღაც დამჩემდა! არა უშავს-რა, შინ წამლები მაქვს...

ვანო

Ничего слушь, немношка холодни вода помажь და...

კოტე

არა მიშავს-რა, ეხლავე წავალ... (ადგება).

ვანო

პატარა დაიცადე მეც საქმე მაქვს ქალაქში, ერთათ წავიდეთ. მამიდაშენს მაინც არა ნახავ? მეც ეხლავე მოვალ (შუა კარით გადის)

კოტე (მარტო)

ესეც შენი იმედები, როგორ თავზარი დამცეს... სხვა მაინც თხოულობდეს ვინმე, რომ ხმა მაინც ამოვიღო... თორემ ბიძა ჩემი!.. რა უნდა ვუთხრა ბიძა ჩემს?!.. გაყმაწვილებული მოხუცი ყმაწვილზედ უარესად თავის ნებისაა! ჩემს დღეში მაგ ქალის მეტი არავინ მყვარებია და მაგასაც მართმევენ! მართალია, სონა მე ვერ დამთმობს, მაგრამ იმის ვაჭარი მამა?!. იმას ვინ დაიყოლიებს?! ის ქალს არ გაუგონებს! მე არაფერი არა მაქვს, ბიძა ჩემი

მდიდარია! (ჩაფიქრდება). არა! არა! ყოველი სიმდაბლე უნდა მოვითმინო და ნათესავობაც უნდა დავივიწყო, სონას კი თავს ვერ დავანებებ! მე ვგრძნობ, რომ უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლიან! რას მიქვიან ეხლა ბიძა, ძმა, მამა... მე ეხლა აღარავინ არა მწამს! ეს წყეული ხანუმა მაინც ვიპოვნო სადმე, სონას ამბავი ვკითხო...

მეხუთე სანახავი

იგივე და ხანუმა

კოტე (მიეგებება)

ოჰ, ხანუმ, რა დროზედ მოხვედი! შენთან დიდი საქმე მაქვს!

ხანუმა

ჰა, სალამალექ! რა ამბავია? გულში ხომ პაჟარი არ გაგჩენია!

კოტე

არ გეხუმრები, ხანუმი...

ხანუმა

კუდი ხომ არ მოგწვია! (ჩადრს დაკეცავს, თავზედ დაიდებს და ტახტზე ჩამოჯდება). ჰა, სონამ შემოგიკეთა? ერთი ბიძა შენს მოვრჩე...

კოტე

ღვთის გულისათვის ნუ ხუმრობ, უნდა მიშველო რამე...

ხანუმა

მე ჩემი ტაქცია მაქვს, გითხარ, შვილო, და გავათავე: თავადისშვილი - ორმოცი თუმანი; აზნაური და ჩინოვნიკი - ოცი თუმანი; დაბალი ხალხიც, როგორც მზითევი ექნება, იმის შესაფერად; შვიდ თუმანზედ ნაკლებ კი არ შეიძლება არავისგან. ეს არის.

კოტე

ოხრად დარჩეს ეგ ფული, მაგაზედ ვინ გელაპარაკება!..

ხანუმა

ვა! მაშ სხვა რა გინდა? თუ ფული იქნება, რა გაჭირდება! გინდა პატრიარხსაც შევრთო ცოლი?

კოტე

ეჰ, ერთი გამიგონე და! რა დროს ხუმრობაა, საქმე იშლება...

ხანუმა

რომელი საქმე იშლება? ჩემი დაწყობილი საქმე მოიშალოს? შენმა გაზდამ, ხუთს ასეთ ღენერალს შევრთე ცოლები, რომ თითო ოთხმოცდა თვრამეტის წლისა იყო, ერთ კვირაზე იმათი ქელეხიცა ვჭამე. ცოლიანი კაცებისთვის შემირთვევინებია ცოლები!.. ოთხი ღვდელი გამიკრეჭინებია!.. ერთი ჩემ კარაბადინში ჩაიხედე, რეები მიწერია! ქვეყანას სულ უკუღმა დავატრიალებ! მაშ შენ კარგად არ იცნობ ხანუმასა, შენ ეს (ხელით აჩვენებს) გალესე.

კოტე

ღმერთო ჩემო! მაგას წინ რა უდგას? შენ ეს გაიგე, რომ ქალს ძალით ათხოვებენ!

ხანუმა

როგორ თუ ათხოვებენ? მერე ვის აძლევენ!

კოტე

საქმეც ის არის, ვის აძლევენ! - ბიძა ჩემს!.. ქორწილი ხვალ ექნებათ.

ხანუმა (წამოდგება დოინჯით)

რაო, რაო? როგორ თუ ბიძა შენს? მერე ჩემი დასტური აუღიათ? ბიძა შენი უჩემოთ ირთავს!.. იჰ, იჰ! ნეტავი ხანუმას თიებსა! ფოშტის ცხენივით ქალაქის ქუჩები მაქელინა, ორმოცი წლის ჟამი ამაცუნცრუკებინა და ეხლა სხვას ირთამს! არა, შვილო, ჩემს კარაბადინში ეგრე არ მიწერია! მე უფრო ვიცი, ვის როგორი ქალი ეკადრება!.. აი ნუსხა მომიტანია იმისთვის და ის ქალი უნდა შეირთოს, რომლის კარზედაც მარბევინა...

კოტე

გეუბნები, ადამიანო, ტყუილ-კოტრიანცის ქალს ირთამს.

ხანუმა

მერე რომელი წვერ-ცამეტა ტერტერა იქნება, რომ იმას ჯვარი დასწეროს! მგონი, თავიანთ ბლაღოჩინებისაც არ

ეშინიანთ ღვდლებს ისე, როგორც ჩემი!.. ქალი გამაგიჟებინა, რამდენი სული დავწვი მაგ ჯიბე გაფხეკილი კნიაზისათვის, ჰაი-ჰარათ მზითევს ალაგებენ და ეხლა ატკაზი!

კოტე

აბა რა ვქნა, მითხარი?

ხანუმა

როგორ თუ რა ქნა? ვერ შეირთამს მეთქი, გეუბნები! მთელ ევროპიას შევძრამ!.. ის ქალი ჩემი მრევლია, ვისაც მინდა, იმას მივათხოვებ, ჯერ ჯაფის ფასი დამითვალოს, რაც მარბევინა, მგონია, სულ უცოლოთაც დავაგდო! ვის ეხუმრებიან? მეე? საცაა პენციას მივიღებ: ოც და ათი წელიწადია ამ საქმეს ვემსახურები. ხუთი

გუბერნატორისათვის შემირთვეინებია ცოლი... რამდენი უშვილოსათვის შვილი მიყოლებია; ცის ძირამდის არი გავარდნილი ხანუმას ოსტატობა...

კოტე

მაშ იმედი ვიქონიო?

ხანუმა

არა, შვილო, შენ ნუ გეშინიან! მხოლოდ იცოდე, ტკბილი სიტყვით კაცი ვერ გაძღება! სადაც კომლი მაღალია, მეც იმისი მაყარი ვარ. რაც გითხარი, წინათვე იძლევი, ხელს მოვკიდებ, თუ არა და...

კოტე

ოღონდ გვიშველე რამე და ეხლავ ვალს ავიღებ და შენს ოც თუმანს ჩაგაბარებ, ჩემთან გამოიარე. ოცსაც სონა მოგცემს, ხომ დაგპირდა...

ხანუმა

ბაშ-უსტა! დრუსტ ასუმ! (ხელს აძლევს). ეხლა კი მე ვიცი.

კოტე

აი მე მივდივარ...

ხანუმა

მიბძანდი... ფულისათვის გამოვივლი.

კოტე

გამოიარე და მიიღებ. აბა, ხანუმი, თუ ოსტატი დედაკაცი ხარ! (გარბის).

ხანუმა

კარგი მეთქი, ქა! ასე აურ-დაურევ საქმეს, როგორც დომხალი (დაჯდება). სხვას ირთამს? ვნახოთ, როგორ შეირთამს! ათი თუმანი ფული ქალისაგან ამიღია და უკანვე მივცე რაღა! რა ანგელოზი მნახეს მეცა! ასე აურიო დავთრები ამ კნიაზს, რომ სულ ფუტკრები ეხვევოდეს!.. ეს სულ იმ კუსპარა ქაბატუას ბრალი იქნება. იმას უნდა ჩემ შემდეგ ჩემი ადგილი დაიჭიროს! ზედ შუაზედ რომ გაიპრიწონ, სანამ მე ცოცხალი ვარ, ქალაქში სხვა მაჭანკალს არ გავაწაწანებ! (ქოქოლას აყრის) აი, ფჩანას, ფჩანას, ქაბატო, რაც შენ ხანუმას ოხტში ვერ მოხვიდე!

მეექვსე სანახავი

იგივე და ვანო

ვანო (შემოდის)

ოჰ, ოსტატო ხანუმ, ჩემს ნახვამდისაც გიცოცხლია!

ხანუმა

ქა, რას მემართლები? მერე მე რომ არ ვიცოცხლო, ამოტელა ბარიშნა ქალებს პასუხს შენ გასცემ? შენ დაასაღებ მაგათა?

ვანო

მართლა და, ძალიან დასაკლისი კი ხარ ამ ახალგაზრდა

ქალებისათვის. ვინ იცის, სულ შენ მზეს ფიცულობენ.

ხანუმა

მაშ არ იცი? რამდენი უმანკო გული ლოცულობს ჩემთვის! ლამაზები კიდევ არაფერი, საქმე ის არის, რომ ზოგჯერ ორი თეძოთი კოჭლს და თვალებზედ ბისტ-გადაკრულებს შენისთანა კნიაზებზედ გავასაღებ ხოლმე!

ვანო

აი, ოჯახი ამოგებუგა შენა!.. დიდ ბედნიერებას კი შეჰყრი კაცს!..

ხანუმა

მაშ ქა, ყველამ რომ ჩალაღაჯი წაიღოს, დავესკას კი

გასაღება არ უნდა?

ვანო

შენს სულს უხაროდეს საიქიოს! (იცინის).

ხანუმა

ფიქრი არ არის! დიდ ცოდვასთან ცოტა მადლიც გასჭრის! რას ამბობ, მე რომ ამ კვირაში ერთი ჭარხლის წნილივით დამჭავებული გავასაღე, გინდ ეკლესია ამიშენებია.

ვანო

აი, გაგაფუჭა ღმერთმა!

ხანუმა

მარა შენ საღ ქალებსაც მიწუნებ და აბა, სხვაგანა ნახე... მართლა ქა! სულ დამავიწყდა, აი ნუსხა მოგიტანე. ჩქარა უნდა მეემზადოთ, მარხვდება. დედოფლიანი სულ მზათ არიან...

ვანო

ვინ დედოფლიანი?

ხანუმა

ქა, ვისთანაც გამგზავნე. ძლივს-ძლიობით დავიყოლიე, ზაჰლა წამერთო იმათ ჩიჩინში... კნიაზს ქალს როგორ მივცემთო!..

ვანო

არ მისცემენ და საჭიროც არ გახლავთ... თავიანთვინ შეინახონ.

ხანუმა

არა, ბოლოს კი დავითანხმე. აბა, მე საქმეში გავერიო და ის საქმე...

ვანო

ტყუილათ შეწუხებულხართ!

ხანუმა

რა შეწუხებაა! ფულს იმისთვის ვიღებთ, რომ გავისარჯოთ...

ვანო

ეეე, ოჩონ პეტრე! მე მაგას კი არ გეუბნები... ქალი არ ვარგა, ძალიან გონჯიაო.

ხანუმა (იქით)

ოჰ, ქაბატო, თუ ხელში ჩამივარდი! (იმას) ქა, საქონელს არ ყიდულობენ უნახავათ და ცოლს ვინ შეირთავს! მართალი და ტყუილი შენი თვალით ნახე, სხვას რათ უჯერებ? (იქით) ხელმეორეთ იშლება საქმე! (იმას) შენ მზითევი იკითხე და ქალი ხომ ჩვენ ხელთ არის, თუ არ მოგეწონება, ნუ შეირთავ რა! კნიაზ, ეს იცოდე, დიდ დოვლათსა გკერძამ. (იქით) ასეთი ქალი გაჩვენო იმ მაიმუნის მაგივრად, რომ სულ დავთრები დაგეკარგოს...

ვანო (იქით)

ეს გასაწყვეტნი ყველა თავისას აქებს და რომელი ერთს დაუჯეროს კაცმა.

ხანუმა (ნუსხას იღებს)

შენ ყური დამიგდე, კნიაზ!

ვანო

აბა, წაიკითხე ჯანი გავარდეს, ქალსაც ვნახავ და...

ხანუმა

მაშ! მაშ! ქრთამი, როგორც გითხარი, ხუთასი თუმანი. მზითევიც ესა: ერთი გვირგვინის კაბა, ერთი ვიზიტისა,

ერთი დამაშნი და სამიც საშინაო. თითო დუჟინი თეთრეული წმინდა ბატისტ-პალატნოსი. ჩულქები, საპოჟკები ნახევარ დუჟინი. ერთი შუბა. ერთი ვიზიტკა ტალმა, ერთიც პოლკა. ორი ხალიჩა, ერთი ქეჩა, ერთი დუსპალნი კრაოტი, ორი ხელი ლოგინი, სამი მუთაქა, დუჟინი საური, დუჟინიც ჩარსავი. სამოვარი თავის პრიბოლით: ვერცხლის პოდნოცი, დუჟინი ვერცხლის ჩაის კოვზი, მოლოჟნიკი, ჩაის საწურავი, სახარნიკა თავის მაშით, სუხარნიკა, - სულ ვერცხლისა. მარმარილოს უმივალნიკა თავის სასაპნეთი და საჩოტკეებით. ორი სუფრა, იმის იარაღი: დუჟინი ვერცხლის სტოლის კოვზი, ერთი ფლავის კოვზი და ვერცხლის ჩამჩა, დანა-ჩანგალი, სამი სამარილე, საშარბათე, საგარციცე და მურაბის ტასტი. ქალის სამკაული: ორი ზურმუხტის ბეჭედი, ორი იაგუნდისა, ერთი ლალისა, ერთი ფირუზისა, ათ თუმნიანი ბრასლენტი, რვა თუმნიანი ზარის საყურეები, სარკე, სამი ხელისყუთი, ვერცხლის კავების

დასაკულულებელი და ერთიც სარდაფის შუშტაკის გასალესი. (ჩქარა-ჩქარა) ლენტები, ბანტები, შპილკები, ქინძისთავები რაღა სახსენებელია. ესენი ბევრი აქვს. სულ მზითევი სამას თუმანი დგება. მეტი რა გინდა, ქალიც რიგიანია.

ვანო

როგორ თუ რიგიანი? განა ლამაზი არ არის?

ხანუმა

აბა, სული როგორ დავწო, თავის დღეში ტყუილი არ მითქვამს: რომ ვსთქვა, ძალიან ლამაზია მეთქი - არ არის.

ვანო

არ არის და მე უფრო ლამაზიც მეძლევა და დიდი მზითვისაც.

ხანუმა (განგებ გაკვირვებული)

რას ამბობ, კნიაზ-ჯან?

ვანო

რა გესმის?

ხანუმა

იმ ქალს რაღა პასუხს აძლევ, ამოტელა მზითევი რო აყიდვინე?

ვანო

რათა ყიდულობდა რა?

ხანუმა

როგორ თუ რათა? შენ სწორე სიტყვა მომეცი, ერთი კვირა სირბილით მომღალე, ქორწილის დღე დაუნიშნე და ეხლა მიზეზს იდებ?

ვანო

ქალიც რომ ვარგოდეს, მზითევი ცოტაა. მე რომ ქალს მაძლევენ, სწორეთ დახატულია და ორი ათასი თუმანიცა აქვს.

ხანუმა

მერე შენ გინახავს ის ქალი?

ვანო

მე არ მინახავს, მაგრამ ქვეყანა კი აქებს.

ხანუმა

რომელი ქვეყანა? დამანჭული ქაბატუა?.. ერთი მითხარი, გენაცვა, რა პატიოსნება არის, თავადის შვილი ბრძანდები, ქალს ამისთანა ბიაბრობას აყენებ და სახელს უტეხამ?! მერე ჩვენი ჭორიანი ქალაქის ამბები არ იცი, რეებს გამონასკვამენ!..

ვანო (ადგება).

რას ჩამაცივდა, გიჟია ოხერი! (გაჯავრებით) აღარ ვირთამ

ცოლსა! წადი და შენ შეირთე, თუ ძალიან გეცოდება! (მოუმატებს) მამა ჩემი არ წამიწყნდება, კაცმა უნდა კეტს წამოავლოს ხელი და სულ თავ-პირი დაგამტვრიოთ, თქვე კუდიანებო, თქვენა! ქვეყანას ატყუვებთ და სულ რაღასაც თვალთმაქცობთ!

ხანუმა (ამრეზილი)

ეგეთ სიტყვებს რათ ამბობ, კნიაზ? უზდელათ რათ მიხსენიებ ჩემ ღირსებას!... როგორ თუ თავ-პირი დამამტვრიოს! ვის შეუძლიან? მთელი ქვეყანა ოსტატ დედაკაცათ მიცნობს, ვის რა ნება აქვს, თავ-პირი დამამტვრიოს?.. თვალი იმ ქალსაც დაუდგეს და იმის მთხოვნელსაც, მე რაღაში ჩამჩხირეთ!.. მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ ეგრე ჩესტი არ არის პატიოსანის გვამისა!

ვანო

ძალიან კუდი მოგეწო! მარა, ფულებს რომ იჩხრიალებთ და ტარტაროზის მსგავსებს ასაღებთ, მადლობას ვინ გეტყვით! ეს ჯადო, ესა.

მეშვიდე სანახავი

იგინივე, თეკლე, ქაბატუა, ბოლოს ტიმოთე

ხანუმა (თავს უკრავს)

კნეინა თეკლეს ვახლავართ!

თეკლე

მშვიდობა შენი, ხანუმი, ამბავი? (დივანზედ დაჯდება).

ხანუმა

მშვიდობა.

ქაბატუა

(ხანუმას თავს დაუკრავს, იქით)

ეს ქოფაკი აქ საიდგან გაჩნდა!

ხანუმა (იქით)

ერთი ამ უცხვირპიროს უყურეთ! ესეც რომ მაჭანკლების მარაქაში ერევა! დაიცადე, ასე გაგიგალო ეგ დამანჭული თავი, რომ სულ არ მინდა იძახო. ამ სულელი კნიაზის გადარევა სულ ამ მაიმახის ბრალია. (სიჩუმე).

ვანო (ხანუმას)

წადი და ეგრე მოახსენე შენს გამომგზავნელებს.

ხანუმა

ქა, რა უნდა მოვახსენო! აღარა ხუმრობთ?

ვანო

რას ტუტუცობ, რა მეხუმრება!

ხანუმა

მაშ ეს აყალ-მაყალი რაზედ ამაშლევინე?

ვანო

რა აყალ-მაყალი? ახლა ძალიანაც ნუ გამოიდებ თავს, მამა გიცხონდა...

ხანუმა

ჰა, ჰა! მამის ხსენება ნუ იქნება! მე არავისი სახსენებელი მამა არა მყოლია!

თეკლე

ვანო! რათა გაქვს ეგ საძაგელი ხასიათი?

ვანო

მა რას ჩამციებია ციებ-ცხელებასავით! გიჟია ვიღაცა არის!..

ხანუმა (ქაბატუას)

ჩისიმანუმ?!. საქმე გამარიგებინა, ქორწილის დღე დამანიშვნინა და ეხლა ატკაზზე შედგა; გაგიგონიათ ასე მასხარათ ქვეყნის აგდება?

ქაბატუა

ქა, შენ რომ სამოცი წლის ადამიანი გაურიგო, უთუოთ უნდა შეირთოს? ყველას თავისი გემო აქვს: ალბათ არ მოსწონს და არ ირთავს! (ვანოს კაბას უსუფთავებს ტანზე).

ხანუმა

ქაა! ეს ვიღა არის? აქეთ გვიბძანეთ, მოდნის მაჭანკალო?

ნეტა ვიცოდე, შენ ვიღა გკითხავს?!.

ქაბატუა (წამოდგება)

ვის ეძახი მაჭანკალს, შე ბებერო კუდიანო?! ახალი მოდისაც შენა ხარ და ძველი მოდისაც! მე რომ აქა მხედავ, მე ამ სახლის შვილი ვარ. ქოფაკი!

ხანუმა (გაკაპასებული)

შენ შენთვის ეგდე, ემანდ მეცამეტე გოჭივით ნუ ეჩრები, თორემ კატასავით თავს გაგიჭეჭყ!

ქაბატუა (გაიწევს)

ეხლავ თეძოს აგათრევინებ, შე ბებერო ტურავ, შენა!

ვანო (იჭერს)

კარგია, მამა შენი ნუ წაგიწყნდება, დაწყნარდი!

ხანუმა

ერთი გაუშვით ეგ უდღეო, რომ რწყილივით გავსრისო!

თეკლე

კარგია, ადამიანო, რა გაჩხუბებთ, აქ ჩხუბის ალაგი არ გახლავთ!

ქაბატუა (იქით)

ეს ბებერი ტურა! ესა! (ისმის) ეხლა ბურთი და მოედანი ჩვენია: შენ გარიგებულ ქალს აღარა თხოულობენ, მაგრა

შეინახე ზანდუკში, გამოგადგება!.. კნიაზ ფანტიაშვილი ირთავს მიკიჩა ტყუილ-კოტრიანცის ქალს. წადი ეხლა და თავი ქვას ახალე!

ხანუმა

თავი ქვასაც ახალე და ჭირსაც!.. მერე უნახავათ შეირთამს იმ მაიმუნს? თუ ჩემ არჩეულ ქალს ისა სჯობდეს, დეე შეირთოს!

ქაბატუა

შენ არჩეულ ქალს არა, შენ თავს დაადარე, შენმა სიცოცხლემ!

თეკლე (ხანუმას)

თქვენ მაგაზედ ნუ სწუხართ! ქალსაც ვნახამთ და მშობლებსაც.

ვანო

ვნახამ ქალსა, მარა თვალებს ავიკრამ! არც შენ დაგიჯერებ, არც ამას.

ხანუმა (იქით)

დახეთ ამ ბატის ჭუკს, რა ოინს მიშვრება! (იმას) კნიაზ, გეუბნებით, თვალებს ნუ იბრმავებთ ტყუილად. შეირთე, ვისაც გეუბნები, თორემ ინანებ! მოტყუება კარგი არ არის!

ვანო

რაო? ვინანებ? თქვენმა დღეგრძელობამ საციმბირო საქმე

კი არ გამიხადო.

ქაბატუა

წადი, წადი, ხანუმი, ოსტატ დედაკაცს გეძახიან, პატარძალი არ გაგიცივდეს, მალე მოუნახე ვინმე!

ხანუმა

რახან მასხარათ ამიგდეთ ეს ნამსახური დედაკაცი, აბა, წადით და შეირთეთ! მაშ ხანუმა ცოცხალი რათ უნდა იყვეს, რომ იმას დამმარცხებული გამოუჩნდეს ვინმე!

თეკლე

მითომ რატომაო?

ვანო

თვალს კი არ მოგთხრი? ადე, დაიკარგე ეხლავ ჩემი სახლიდგან, კინაღამ დაგიჯერე და თავი დავიღუპე!

ქაბატუა

შენ გეუბნებიან, ოსტატო ხანუმი, საჭირო აღარა ხარ, მიბძანდიო!

ხანუმა (ანთებული)

მაშ უპასუხოდ სახლიდგან მაგდებთ რაღა? მაშ დედაკაცი არ ვიქნები, თუ თქვენივე კბილით თქვენივე ხორცი არ გაგლეჯინოთ!

ვანო

ხმა გაიკმინდე, კარგია, თორემ, მამა ჩემი არ წამიწყნდება, მე ვიცი შენა...

თეკლე

(ვანოს ხელს დაუჭერს და მიჰყავს)

რას ელაპარაკები მაგ აშაქარ დედაკაცს? წამოდი, ამტენი იღრინოს, სანამ მოეწყინება! (გადიან).

ხანუმა (მიაძახებს)

შეგირცხვათ პატიოსნება, რა კარგი ხალხი თქვენა ყოფილხართ! შენი ცოდვის მზიდავი ვიყო, ტეტია კნიაზო, თუ შენ ოინს არ მოგივიდე! მე ცოცხალი ვიყო და შენ ცოლის შერთვას ეღირსო...

ქაბატუა

ქა, თავის სახლში ლანძღამ? არ უნდა და არ ირთამს, რას ემართლები? (მიდის თეკლესთან)

ხანუმა (ხელს დაუჭერს)

საით მიბრძანდებით, კნეინა ქაბატო? პატარა მოთმინებით, მე თქვენთან საქმე მაქვს.

ქაბატუა

რა საქმე? არა, იმ ქალზედ როგორ ეუბნებოდი ლამაზიაო, იარმუკის მენახშირესა ჰგავს, არ ვიცნობ რაც არის? სად ის და სად მიკიჩას ქალი, ღმერთი არ არის?

ხანუმა (თითს უქნევს)

ეს კუდიანობა სულ შენი ამბავია! რა გინდა ჩემგან, დედავ და თვალო, რაზედ მართმევ ლუკმას? (გაჯავრებით) მითომ გინდათ ხანუმას ოხტში მოხვიდეთ? ისემც გაუხარია შენს გასაგისს!

ქაბატუა

შენ გაიხარე და შენმა შვილის შვილებმა, შე ენა წანკლიანო ქოფაკო!

ხანუმა

ხმა ჩაიწყვიტე, თორემ ეხლავ სულს გაგაფთხობინებ!

ქაბატუა

მეხი კი დაგეცა მაგ ბებრუცუნა თავზედ!

ხანუმა (შეუტევს)

ხმა, შე გულკვდრის შვილო!

ქაბატუა

(ხელს მოჰკიდებს და მიათრევს).

გადი, ეხლავე დაიკარგე, თორემ პოლიციას თავზედ დაგახვევ, შე მთვარის გიჟო, შენა!

ხანუმა (ბუწუწებში სწვდება)

უი შე, წუწკის შვილო, შენა!.. (ერთმანეთს ეწევიან და თან

კივიან).

ტიმოთე (შემოვარდება)

რას შვრებით, ადამიანო, დაგიჟდით?! ერთი ამათ შეხედე როგორ ჩაუბღუჯნიათ ერთმანეთი! (იცინის და ტაშს უკრავს). ძიძგი, ძიძგი, მამალო! მე გიშველი, დედალო!.. (ორჯელ).

ვანო (კარებიდგან უყვირის)

რას უყურებ, ბიჭო, ვერ გააშველებ?

ტიმოთე (შუაში ჩაუვარდება)

რასა შვრებით, ხალხო? (გააშველებს).

ხანუმა

(ქოშს გაიხდის, უნდა ქაბატუას მიარტყას და ტიმოთეს კი სთხლეშამს).

ტიმოთე (ჯოხს წამოავლებს)

თავი გამიხეთქეთ, თქვენი სინსილა კი გაწყდა! (გამოუდგება და ყველანი გაცვივიან).

ფარდა

მეორე მოქმედება

სცენა: მორთული ზალა ტყუილ-კოტრიანცის სახლში. მარჯვენა მხარეს (სცენიდამ) როიალი, სარკე უკანა პლანზე, წინ დაფენილი ტახტი, მარცხნივ დივანი, სტოლი

და სავარძელ-სკამები.

პირველი სანახავი

სარა და სონა

სარა

(ტახტზე ზის მოკეცილი, კრიალოსნით)

შვილო, სხვა არა იყოს რა, ღვთის მცნება მაინც უნდა გახსოვდეს, რომ უმცროსთ უნდა გაუგონონ უფროსებსა, რათა, ღმერთმაც დღეგრძელი და ბედნიერ ჰყოს მათი სიცოცხლე! ეგეც არ იყოს, მშობელი მამა ბედნიერების მეტს რას მოინდომებს თავის საყვარელი ნაშობისათვის?

სონა

დიდედა! სწორე გითხრა, საქმე გამიჭირე მაგ შენის უთავბოლო ქადაგებით! თქვენ მე ისეთ სატანჯველში ჩამაგდეთ, რომ ღვთის მცნება კი არა, თვით ღვთის არსებობას და სარწმუნოებასაც უარსა ვყოფ! რა გესმით, რა გელაპარაკოთ!..

სარა

უი, უი, უი, შვილო, შვილო!.. ღმერთს როგორა გმობ?! უი, დამიბნელდეს თვალები და დამიყრუვდეს ყურები! (ხელის გაპყრობით) ზეციერო მამაო, ნუ შეისმენ უმეცრებით წარმოთქმულს ბავშვის სიტყვებს!.. მე მომმართე შენი რისხვა და ამ ბავშვს კი აპატიე!.. როგორ იქნება, შვილო, ეგრე წარამარათ ლაპარაკი?!

სონა (წამოხტება)

ნუ გამიჭირეთ, დიდედა, საქმე!.. ნეტა ვიცოდე, რა გინდათ ჩემგან?!

სარა

შვილო! შენი ბედნიერების მეტი რა უნდა მინდოდეს? გენაცვალოს დიდედა, შვილო, დიდი გვარის კაცი, დიდი ყმის და მამულის პატრონი, თავადი...

სონა

მე შენ გთხოვე, მაგას ნუღარ გამიხსენებ მეთქი! რაც შენი საქმე არ არის, ჩუმად უნდა იყო! მე სულელი არა ვარ და თუ ჭკუაში მიჯდებოდეს, არავის ხვეწნა არ მინდა!

სარა

წადი, გენაცვალე, მოირთე და მოიკაზმე; ქაბატუამა სთქვა, თორმეტ საათზედ მოვა კნიაზი შენ გასაშინჯათაო, მაგ ტანისამოსით ხომ ვერ, დახვდები? შვილო, კნეინა გახდები...

სონა (გააწყვეტინებს)

დიდედა, რას ჩამაცივდი? ლამის სიბრაზით გული ამომვარდეს და, შენ უფრო მიმატებ ცეცხლს!.. თუ ძალიან მოგწონს კნეინობა, წადი და შენ შეირთე, ვიღაც კნიაზია, მე არა ვთხოვდები!

სარა (თითს ტუჩზედ მიიდებს, სიჩუმე)

უი! უი! ვინც რომ პანციონში და გემნაზიებში ქალები დაზარდოს, იმას წაუწყდეს სული და ცოცხლივ იობის

მატლი დაეხვიოს! მეორეთ მოსვლა რაღა შორს არის, როდესაც ამისთანა ლაწირაკი გომბიოები ამ დროულ დედაკაცებს მასხარათ გვაკეთებენ! ჩემი სიყვარულის მაგიერია?

სონა (გაეცინება)

დიდედა, მაპატიე, უზრდელად მოგექეც. რა ვქნა, რაც შენი საქმე არ არის, რომ ერევი! (აკოცებს, იქით) ამას ხომ არც "ჰო" შეუძლიან და არც "არა", ტყუილად თავი რად შევიწუხო ჯავრობით, ისევ მივეფერები, თორემ წუწუნის თავი ვისა აქვს. (იმას) ხომ აღარ მიწყრები, დიდედა!

სარა (ღიმილით)

ჰაი, შე ლირფო, იცი რომ მიყვარხარ და გულს მალე მოვიბრუნებ! შენს მეტი ვინა მყავს, შვილო, ცათა

ქვეყანაზედ? მოდი მომეხვიე! სამის წლიდგან ამ მკერდზე ხარ გამოზრდილი (მოეხვევა). ღმერთო ზეციერო, შენ გამიბედნიერე ჩემი სოფიო... რეები მაქვს, შვილო, შენთვის! ჯერ სამასი თუმნისა თვალ-მარგალიტი მაქვს. შენ მე გამიგონე...

სონა

კარგი, დიდედა, ხელმეორეთ ნუ დაიწყებ. (იქით) ვაი იმას, ვისაც სახლში მოხუცებული ჰყავს, ისიც დედაკაცი.

მეორე სანახავი

იგინივე და აკოფა

აკოფა

(კარებში თავს შემოჰყოფს, კაბა აცვია, კაბის კალთა მხარზედ გადაგდებული აქვს, ხელში - წითელი ხელცახოცი თხილით და ქიშმიშით, მღერის). “ოდეს ზღვა დაშრეს, დიდედაჯან, ქვიშა გამოჩნდეს, თევზი მთას წავიდეს სიარულითა, მგელი თხას მისდევდეს ჭიანურითა”!.. (მივა ახლოს). როგორა ხარ, დიდედაჯან, როგორ? (ხელზე ჰკოცნის).

სარა (ღიმილით)

გიჟო! შენ როგორღა ხარ? როგორ იმგზავრე? რა ჭკუა მოიტანე, სადაც იყავი, იქიდგან?

აკოფა

ჭკუას ჩვენ ქალაქში ვინ შემოუშვებს - კანდრაბანდია!

სარა

მაშ არ დაჭკვიანდი?

აკოფა

ძალიან ძვირია, დიდედაჯან, ჭკუა! პატიოსნად თავისუფლად დავდივარ, რათ მინდა ჭკუა? ისიც სტრახში შესატანი გამიხდება, მერე რომ დაიწვას, ვიღა მიზღავს?

სონა (ზის დივანზედ)

აკოფ არტემიჩ! მე ვეღარ დამინახე?

აკოფა

ოჰ, სონა მიკიჩოვნაჯან! რასა ბრძანებთ, კაცი ედემის წალკოტში შევიდეს და იადონები ვერ დაინახოს?! მერე დიდედა ახალგაზრდობისას რა ბრმა იადონს ეგვანებოდა! (მივა ახლოს, ხელს ჩამოართმევს, მერე გვერდში უღიტინებს). ჰა, როგორა ხარ, სონა მიკიჩოვნაჯან? (ხელცახოცს აძლევს).

სონა

ეს რა მოგიტანია, აკოფ? (შინჯავს, მერე სტოლზე დასდებს).

აკოფა

რა ვიცი, ხილია: ფსტა-ნუში, აღჯანაბადი, ნუყლი, თხილი, ქიშმიში...

სონა

ამეებს ხომ პატარობისას მიზიდავდი, ეხლა დიდი ვარ, კამფეტები და პეროჟნები უნდა მომიტანო ხოლმე.

აკოფა

კარგია, ნეჟნოსტობას თავი დაანებე!.. მამა შენიც პეროჟნების მეტს არაფერსა სჭამს, აი! ჯვარს დავიფიცამ, ჯვარს, თუ თავის სიცოცხლეში ხურმის მეტი რამე ხილის გემო იცოდეს!..

სარა (ღიმილით)

მასხარათ შენი თავი აიგდე, შე ლირფო!

აკოფა

ისკარიოტელი ვიყო, თუ ვსტყუოდე! (სარასკენ წავა). სხვა, დიდედაჯან? რატომ ასე დაგიგვიანეს საიქიოდგან პოვესტკა? მე იმიტომ ჩამოვედი, უნდა ზაიავლენიე გავგზავნო იქა, სტრახში შეტანილი ხომ არ ჰგონიხართ.

სარა

ახლა, ბიჭო, სულ ეგრე მასხარათ უნდა დაბერდე?

აკოფა

მაშ რა ვქნა, დიდედაჯან? (გვერდში უღიტინებს). უჰ, შენი სულისა, დიდედა!

სარა (სიცილით)

კარგია, ქა, გვერდები ნუ ჩამამტვრიე! მიამბე, ფოდრატი როგორ წაიყვანე?

აკოფა

ძალიან კარგა, დიდედაჯან! მახლას, ჭამაც ვიცი და მოგებაც!.. ჩვენი ზოგიერთი ვაჭრები რომ მილიონებს ინახავენ, მამა უცხონდათ, სამოთხეში თავდაყირა ჩაცვივიან! какой чорт!... (მღერის) "სანამ ცოცხალვარ ასე ვიქ, ვახარებ ჩემსა იასა; მოვკვდები, გაუხარდება სამარის კარსა ჭიასა!" მაშ რა გეგონა!.. დიდედაჯან, მოდი დღეს მე და შენ ერთი ქრისტიანულად დავთვრეთ და მერე რუსულად ვიტიროთ.

სარა

სატირალი რა გვაქვს, შვილო, ქორწილს ვაჩაღებთ.

აკოფა

როგორ თუ ქორწილს? ვისას?

სარა

სონას.

აკოფა (სიცილით)

ერთი დიდედას უყურეთ, ამ სიბერის დროს როგორ კუდი გაიქნია! შენც მასხარაობ, დიდედი?

სარა

თითონ შენ მასხარავ, არა გჯერა?

აკოფა

ეჰ! კარგია ერთი, და...

სარა

სონას დღეგრძელობამ!

აკოფა

მართალს ამბობთ? ქორწილი გაქვთ, ქორწილი? კარგი, დიდედი, შენი თავი არ დამადალვინო!

სარა

ბიჭო სულ ხომ გადარეული არ უნდა იყო!

აკოფა

მაშ მართალს ამბობ? არ მატყუებ? აბა, მაშ სული დაიფიცე, შენ ის ძალიანა გწამს.

სარა

ბიჭო...

აკოფა (თითს უქნევს)

ჰა, დიდედაჯან, სული არ დაივიწყო!

სარა

სული არ წამიწყნდეს.

აკოფა (წამოხტება)

ვაი, ვაი, ეს რა მესმის, სონაჯან, მოგილოცო?

სონა

არა, გეხუმრებიან.

აკოფა

ჰო, დიდედი?

სარა

არა, შვილო, მაგის მამა იმიტომ გეძებდა დღეს, რომ ეგ უნდა ეთქო.

აკოფა

მაშ მართალი ყოფილა?! ჰა, სონაჯან, როგორა ხარ ქეიფში? ჰა, გული ფანცქალებს, თუ არა? ერთი სიძე მითხარით, სიძე, რომ ლოთიანათ თავში ჩავაფარო!

სონა

დიდი შემძლებელი ქართველი კნიაზი.

აკოფა

ქართველი კნიაზი? მაშ თავში ჩაფარება არ შეიძლება: ერთი ვინმე ტუტუცი ხანჯლიანი იქნება!

სარა

ტუტუცი შენა ხარ! ჩვენი სიძე დარბაისელი ვინმეა.

აკოფა

ეჰ, კარგია, მამა გიცხონდა შენცა! რა დარბაისლობა გამოადგება თქვენთან? მგონია, ცარიელი ყველისა და პურის ჭამით სული ამოართოთ!

სარა

შენმა სიცოცხლემ!

აკოფა

სონაჯან! ახლა ვინ იცის, გამარჯობაც არ გვითხრა, კნეინა, რომ გახდები? ვაში სიატელსტვა! მგონია, ასე

გაიფხვერები, როგორც გალანცკის მამალი! კოზლაზედ ერთი ხმალიანი ლაქია... დაროგუ კნეინუ!.. ჰაი, ქუდის ხდა! ჰაი, პაკლონები! ჰაი, კავალრები! . მერე ვის? სოფია მიკიჩოვნას!.. ვაი ჩვენი ბრალიცა! განსვენებულ პაპა შენს ფინაჩის დუქანი ჰქონდა აშპაშხანაში, ორ წყვილ ჩექმას შვიდაბაზათა ჰკერამდა... მართლა, რომ ამბობენ, ეს ოხერი ქვეყანა ტრიალებს, თორემ ეს რა ამბები ხდება!.. ამის პაპა კბილით ჯღანებს ეწეოდა, თულუხჩებს ჩექმებს უკერებდა... იმისი შვილისშვილი კი ვაში სიატელსტვა, კარეტა, რისაკები, ლაქია!.. მერე საიდგან? ჩორტ იო ზნაეტ!..

სარა

ყბედო! ახლა ყბები არ დაგეღალა?

აკოფა

დიდედი, ნეტა შენ რაღა გიხარიან? იქნება იმედი გაქვს, სონამ მაშინაც დიდედა დაგიძახოს? ტყუილად ნუ ფიქრობ! მაშინ იტყვის: ესეც ერთი საცოდავი ბებრუხანა გდიაო, ჩვენი ძიძის გამდელიაო და... (ყურში უჩურჩულებს).

სარა

დაიკარგე, გიჟო, რეტიანო! (ხელს ჩაარტყამს).

აკოფა

ჰო მეთქი, დიდედი! მაშ არა და თავის გვერდზე კარეტაში დაგსომს... სონაჯან, როგორ გაიბერები! (აჯავრებს),"ბიჭო! ეი, ბიჭო! კნიაზები მობრძანდებიან, პადიეზდის კარები გაუღე"!.. ჩვენ რომ მივალთ, დიდედი? "ბიჭო! კუხნაში

შეიყვანე, პატარა მოიცადონ, რა დროს მოსვლაა!”... სონაჯან! ეხლავე გეუბნები, მე დავიდარაბის თავი არა მაქვს, შენს გოსტინაში პირდაპირ ჩემის პატიოსანი პალტოთი, ქუდითა და კალოშებით შემოვალ...

სონა

რეებს ამბობ, ნეტა ვიცოდე! მე სულაც არ მეხუმრება.

აკოფა

ის ჩვენ ვიცით... ეე! ჰა, კარგი, ნუ მათქმევინებ, თორემ ეს-ეს არის წამოვროშე, ხომ იცი, ჩემთვის პრილიჩია არ არის?.. რას ჩამოგიყრია ყურები, იქეიფე რაღა! გუშინ მამა შენს სამი ათასი თუმანი ჩამოვუტანე ფოდრატებისა, სჭამე რაღა! ასეთი ქორწილი გაგიმართო, რომ... საზანდარი ჩემია, ეხლავე მითქომს... მერე რა ჯურის

შიქასტაც გინდა...(მღერის) “სიყვარულო! რა გრძნობა ხარ, რისგანა ხარ შედგენილი: ღმერთმანა გყო, თუ ეშმაკმა კაცის გულში შთანერგილი?”..

მესამე სანახავი

იგინივე და მიკიჩა

მიკიჩა (გამოდის)

ოჰ, გიჟო, შენც მოსულხარ? წუხელი გაძებნინე, სად დაიკარგე?

აკოფა

სად დავიკარგე, მე ვიცი, კრუჟოკში წავიდოდი! “ნოვი სვეტში” გავათენე. რას ამბობ, ექვსი თვეა ქალაქში არა

ვყოფილვარ, სადღაც თათრებში გადამკარგე... არც ფულის მოგება მინდა, არც იმ სიშორეზედ წასვლა!..

მიკიჩა

მოიცა, ბიჭო, მე შენთან სხვა საქმე მაქვს...

აკოფა

მართლა, ბიძა ჩემო, სონას ქორწილს აპირებთ?

მიკიჩა

ჰო და იმიტომ გეძახდი, მაგრამ რა გინდა ქნა, აღარაფერი არა გამეგებარა. ზედიზედ ორი ეკსტრენი დეპეშა მომივიდა. ფოდრატების საქმეზედ მიბარებენ გორში. არ ვიცი, თუ რავქნა! არ წავიდე, ხუთი ათასი თუმანი ხელათ

იკარგება! ვა! ღმერთი არ არის!! ჩემს შვილებს საზრდო გავუწყვიტო?! წავიდე და ესეც ხათაბალაა: თუ დღეს ქორწილი არ მოვახდინეთ, ხვალ, ხომ იცი, დიდმარხვა დგება, აღდგომამდის უნდა დავიცადოთ. მე კი ორი კვირის უკან ამტრახანში უნდა წავიდე, სამი წლის საქმე ამიღია. აბა, ერთი მითხარი, ვინ უნდა უგდოს ამათ ყური: ბებერი დედა და ყმაწვილი ქალი? შენც შენს საქმეზედ უნდა წახვიდე.

აკოფა

მაშ რა გწადიან?

მიკიჩა

რა მწადიან, ამაღამ უნდა ქორწილი მოხდეს. ამ ხალხს ხომ უპატრონოდ ვერ დავყრი, უნდა დავაბინაო თუ არა?

მართალია, ჩემ სონას აქამდინ დედა არა ჰყოლია, მაგრამ მე სულ გვერდით ვყვანდი. ეხლა, ვინ იცის, სამს წელიწადს ვერც კი ვნახო. ამის ძმებიც ხომ სწავლაში არიან გრანიცაზედ. აბა რა უყო?

აკოფა

მერე ხომ არ გადააგდებ, არ იტყვი, ვის აძლევ?

მიკიჩა

საქმეც ეგ არის და! ამ იღბალზედ ბედნიერება ვიპოვნე. არ იცნობ შენ კნიაზ ფანტიაშვილს?

აკოფა

როგორ არ ვიცნობ, ერთ დროში ჩემი აფსონი იყო...

(იცინის). ვა,
ერთხელ მე და ის რომ ორთაჭალაში გვჟეჟეს!.. ვაიმე, დედავ, რა ამბავი იყო!..

მიკიჩა

მოიცა, ტუტუც!.. კარგი მამულის პატრონი, კნიაზი, კაი გვარიშვილი... რა უყოთ, რომ ნაქვრივალია!..

სონა

მამა! მგონია, გუშინ საკმაოდ გელაპარაკე, არ შემიძლიან, იმას მივსთხოვდე.

მიკიჩა

კარგია, შვილო, ნუ იცი ახირება! (მაღლა) ერთი შენ თავსაც

დახედე, ვინა ხარ და! მე რა უყო, რომ შეძლება გაქვს!.. ერთი კაცი რიგიანად გამარჯობასაც არ მეუბნება!.. ოხრათაც დარჩეს ეს ფულები! არ გინდა, ქვეყანაში გამოხვიდე?

სონა

თავის დღეში არ გავთხოვდები და მაგ უტვინო კნიაზს კი არ შევირთამ.

მიკიჩა

უტვინო შენა ხარ, რომ გვარიშვილობის ყადრი არ იცი! ახლა ეშმაკის ცხენზედ ნუ კი შეჯდები! მამა გიცხონდა, ძალიან გაიბერე, ნამესტნიკის შვილი შეგირთამს! მამი შენის შვილზედ ეგეც მეტია... ახლა ჩემთავზედაც ნუ მალაპარაკებ და...

სარა

რა შენი საქმეა ქალბატონობა და კნეინობა! შენ უნდა ან ბაზაზის ცოლი იყო, ან ყაზაზისა, ან მეწვრიმალისა, რომ შენი თავი დააფასო!

აკოფა

ჰო, სონაჯან, ახლა როდი უნდა აწყენინო მამა შენსა.

მიკიჩა

რის აწყენინო, რომ თავში ტვინი არა აქვს! მაგ კაცს კარგი მამული აქვს, მთელ მაგათ გვარს ისე ვიცნობ, როგორც ჩემი ხუთი თითი. ეხლა ისეთი დროა, რომ სიმდიდრე მარტო მკვიდრი მამულია. ფული რა არის, ფული?! ხელის

ტოლა მიწა ფეხქვეშ არა გაქვს, რომ თავისუფლად დადგე!! აქ სხვა პოლიტიკური საქმეც არის და...

აკოფა (გაკვირვებით)

პოლიტიკური? ნეტავი ვიცოდე, რა იქნება!

მიკიჩა

ჯერ ერთი, რომ მაგ კნიაზს ჩემი ხუთასი თუმანი მართებს, ეგ მე თხოვნას ბევრს ვერას დამიწყებს: ხელში არ მიჭირავს, სწორედ დავახრჩობ! რასაც მივცემ, ჩემ ქალს მივცემ... მეორეც, რომ მთელი მაგისი სახლიკაცების მამულს სულ ხელში ჩავიგდებ: ერთი არ არის, ჩემი ფული არ ემართოს... მერე რა მამულია! მადანია, რაღა მადანი!.. იქნება რა ხდება, რა ვიცი... დროებას თავისი მოაქვს... ერთი ვნახოთ...

აკოფა

მართლა, არ გაგიგია, პარუმ მიკიჩ, ბრმა ჰიოვანეს შვილი რომ არის პარიჟში ნასწავლი... აი ჩვენი ბრმა ქულქჩის შვილი... იმას ერთი პროექტი გამოუცია: ეჩმიაწინი უნდა დიდი რაღაც ზაოდი იყოს, იქიდან აზრუმში უნდა რკინის გზა გაიყვანოს, გოგჩის ტბაზე პარახოდები და ვინ იცის...

მიკიჩა

ვინ იცის, ჯერ კიდევ რა ხდება... ჩვენ ჯერ ჩვენთვის ვიყოთ.

სონა (გაბრაზებული)

რაც გინდათ, გადაწყვიტეთ და მე კი ჩემის ცოცხალის

თავით ჩემს უნებურად ვერავინ გამათხოვებს.

მიკიჩა

ნუ ამიხირდები მეთქი, შვილო!.. კი არ შემეხვეწები?! (აკოფას) შენ იცი, რას გეუბნები? აბა დღეს უნდა დატრიალდე, ჩვენებს შეატყობინო, ვინც მოასწრო, ვინც არა და არ დაგვემდურებიან; რა უყოთ, საქმე უცბათ ხდება. იმათთვის მერე გადავიხდი ქორწილს. მე სასიძოსთან მომილაპარაკნია და საქმეც გათავებულია. ეხლა მოვა, ნახამს და საღამოზედ ჯვარის წერა იქნება. მე ამაღამ უთუოთ ჩამოვალ, ვახშამზედ აქ ვიქნები. აბა სარისტა რიგიანად გაადევნე. ხანუმაც დავიბარე, შინაური დედაკაცია, გიშველის... შვილო, სონა, წადი რაღა ჩაიცვი. ეგრე ხომ არ დახვდები!.. ქალო, არ გესმის შენ ჩემი ლაპარაკი?! ეეს, ეს რა ჯოჯოხეთი გამიხდა!

აკოფა

მაგისი მე ვიცი, ჩაიცომს, მა რას იზამს! თუ არ შემეხვეწება, არც კი დავწერ ჯვარსა და!

მიკიჩა

აბა, მე მიგვიანდება, უნდა წავიდე. მოდი ერთი, დედი, ჩემი რამეები რომ გაბარია, მომეცი. აკოფ, შენც მოდი, კიდევ რამეს გეტყვი (ოთახში შედიან).

აკოფა (სონას მიუბრუნედება)

სონაჯან, უარს ნუ ეტყვი, შენი ჭირიმე! ასეთი ქეიფის იშტაზე ვარ, რომ მგონია ქუდი დავხიო. ახლა, შე დალოცვილო, კნეინობა მართლა ისპანახის ფასად ხომ არ იყიდება! (გადის)

მეოთხე სანახავი

სონა, მერე ხანუმა

სონა (გაჯავრებული დადის)

დააწყეთ თქვენი პლანები! რამდენიც გინდათ, თავში ქვა იხალეთ! აქვე ყელს გამოვიჭრი და კოტეს კი არ ვუღალატებ! ეს გასაწყვეტი ბებრები! თითონ ყველა გრძნობა დახშული აქვთ და ყმაწვილი ქალის გულში კი არ იხედებიან. რა ჩემ ჭირათ მინდა, ვინც მე არ მიყვარს, ვისაც სიამოვნებით თვალებში არ ჩავხედავ და ყელზედ არ მოვეხვევი! ღმერთო, რა გამიჭირეს სიცოცხლე! რომ სულ გაწყდნენ, იმ კნიაზს არ ვეჩვენები (გაჯავრებული). უჰ, ეს გასაწყვეტი ხანუმა რაღა იქნა! რაღას იგვიანებს!

ხანუმა (შემოდის)

ოჰ, დრასტი, მოი პაჩტენია, სონა მიკიჩოვნა!

სონა

სადა ხარ აქამდის? კოტე რას ამბობს?

ხანუმა (ჩამოჯდება, ჩადრს მოიხდის)

ქა, დამაცადე, სული მოვიბრუნო. რას ამბობს და ჯვარი დაგვწერეო. არა, მე რომელი დეკანოზი ვარ, ჯვარი დაგწეროთ? (ბურნუთი).

სონა

შენ გენაცვალე, ხანუმჯან, მიშველე რამე! ჩვენები კოტეს

ბიძას მაძლევენ. თუ არ მიშველე, ღმერთმანი, სახლიდგან გავარდები, წყალში თავს დავიხრჩობ! შენი ჭირიმე...

ხანუმა

მოიცა, შვილო, მოიცა!.. უჰ, უჰ, უჰ! რაკი აცუნცრუკდებიან ეს ბარიშნა ქალები, შენი მტერი, თოფის წამალივით იფეთქებენ, თუ ხელი მიაკარე!.. ტა, ტა, ტა!

სონა

ხანუმი! რა დროს ეგენია?

ხანუმა

შენ ნუ გეჩქარება, არხეინათ იყავი. რისა გეშინიან, როდესაც ჩემისთანა ადვოკატი გყავს? შენ რაც დამპირდი,

ხელი გაანძრიე. კოტემ კი ოცი თუმანი დამითვალა...

სონა

ფული მზათა მაქვს, ეხლავე მოგცემ ოც თუმანს.

ხანუმა

მორჩა და გათავდა!.. შენმა გაზდამ, საყდარში რომ იდგეთ შენ და ის კნიაზი და ჯვარს იწერდეთ, ისე მოგაშორებ და სხვას ამოუყენებ გვერდში, რომ შავი ქვაც ვერ გაიგოს! რისა გეშინიან? ხანუმამ თუ მოინდომა, მტკვარი აღმა წავა! შენ ორმოცი თუმანი გამინაღდე! ამ საქმეში ნისიობა არ შეიძლება.

სონა

ოცი თუმანი კი არა, ყმათ დაგისახლდები... მაგრამ საცაა. ის კნიაზი უნდა მოვიდეს ჩემ გასაშინჯათ.

ხანუმა

მეც ის მინდა, რომ მოვიდეს. ძალიან კარგი, შენმა გაზდამ! მეც აქ დაუხვდები. იმან რომ პანჩურით გამომისტუმრა...

სონა

თუ დღეს ვერ მოვახერხეთ ჯვარის დაწერა, მერე ხომ იცი, მარხვდება...

ხანუმა

მოვახერხებთ. შენ ეს მითხარი, მამა შენი შინ არის?

სონა

შინ არის, მაგრამ ეხლა გორში მიდის, საჭირო საქმე აქვს და საღამო ზედ დაბრუნდება. მითომ დღეს ჩემ ქორწილს აპირებენ, ყველაფერი აკოფას ჩააბარა, დიდი მზადება აქვთ.

ხანუმა

იმ ნამზადისს ჩვენც კარგა გიახლებით... ქა, განა აკოფა ჩამოსულა?

სონა

გუშინ ჩამოვიდა. იმას სტოვებს მამა თავის მაგივრად.

ხანუმა

აი სახელი გაუწყდა იმას. ერთი ვნახო მაინც. ჩემი კავალერია. მაშ საქმე გაჩისტულა!

მეხუთე სანახავი

იგინივე და აკოფა,

აკოფა (გამოდის)

ამას ვისა ვხედავ? ხანუმა არაქელოვნა! აი, ჩემი ჭირი შენ!.. შენ კი გენაცვალე მაგ თეთრ-ყირმიზ სულში, მოდი, ერთი გაკოცო!

ხანუმა (ხელსა ჰკრავს)

დაიკარგე იქით, გიჟო! (ხელს აძლევს). ახლა, ბიჭო, სულ

ეგრე სულელათ უნდა დაბერდე?

აკოფა

სხვა, ხანუმ, как паживаишь?

ხანუმა

სლაბოღ!..

აკოფა

ხანუმი! კიდევ ბევრი დაგრჩა კოჭლები, წელკავიანები, ბისტიანები? შე ოჯახდაქცეულო, ბაღადელნია გაქვს, თუ რა ამბავია!

ხანუმა

შენმა სიცოცხლემ, შენ ეგრე თქვი და მარგალიტივით ვაჟებზე ვერ ვასაღებ!..

აკოფა

ვაი, შენი სული წაწყდა! შენ მაჭანკალი კი არა - ყასაბი ხარ, რამტელ დამტვრვულ-დაჩეხილებს ასაღებ!

ხანუმა

ახლა, თავლაფიანო, რამტელს გალესამ, რომ ერთი კაი ნუგბარი შენც გიშოვო?

აკოფა

ვიღა დაგრჩა, შვილო? რაც შენ გონჯები დაასაღე... ისევ

შენ თუ შეგირთამ, თორემ სხვა ვიღა დაგრჩა?

ხანუმა

კარგია, გადარეულო! შენ ეს მითხარ, სონას საქმე როგორ გადაწყვიტეთ?

აკოფა

ვაი! დღეს არის რაღა ქორწილი, აკი შემოგითვალეს. ეს იცოდე, მარტო მე და შენ ვრჩებით სახლში, ამის მამა სხვაგან მიდის. აბა, ხანუმი, ერთი ლეზგინკუ უნდა ჩამოუაროთ მე და შენ ბუქნით, რომა...

ხანუმა

ნეტა რას ტუტუცობ, ყური დამიგდე! ქალის ძალათ

გათხოვება გაგიგონიათ? მითომ თუ შენც ამის ბიძაშვილი ხარ და გული გეწვის! თქვე ოხრებო, ქალი ტირილით თვალებს ისივებს...

აკოფა

ჰა, ჰა, ახალი ბარათები ნუ გახსენი! ხმა ჩაიკმინდე, საქმე არ ჩაშალო, თორემ ზედ გალავინცკის პრასპექტზე ჩამოგახრჩობ!

ხანუმა

ეე, დაუშტვინე, შენ ხუმრობა ნუ კი გგონია, ემანდ ქალს თავს მოაკვლევინებთ! რაც აქა ვარ, ჯერ სამჯერ გული შეუწუხდა და ძლივს მოვაბრუნე! ამის მამისა მეშინოდა, ვერ დაგიძახეთ...

აკოფა

ჰოოო? სონაჯან, რა დაგემართა?

სონა

აკოფ! თუ ჩემი ძმა ხარ, ამ ხიფათს ამაცდინე!

აკოფა

რა ხიფათს?

სონა

მე არ მიყვარს ის კაცი და ვერ შევირთამ.

აკოფა (უკმაყოფილოდ)

კარგია ერთი, შენ გაზდასა, და!

სონა

ხომ ძმა ხარ ჩემი, გევედრები, ამ სატანჯველს მომარჩინო მე სხვა მიყვარს.

აკოფა

ეგ რაღა ყმაწვილობაა, გიყვარს რომელია? მე კი ცოტა ვინმე მიყვარს, მაგრამ ვინ მომართმევს!

სონა

უკანასკნელად გეხვეწები. მამა ჩემს მოელაპარაკე, თორემ ბევრს ინანებ, მაგრამ გვიანღა იქნება...

აკოფა

ეს რა ჯოჯოხეთში ჩამაგდეთ, თქვენი სულიც წაწყნდა!

სონა

ვინც მიყვარს, თუ იმას მიმცემთ, ხომ კარგი, თუ არა და არა ვთხოვდები.

აკოფა

მერე ვინ არის რომ გიყვარს?

სონა

მაგ კნიაზის ძმისწული - კოტე ფანტიაშვილი.

აკოფა

აი გაწკეპილი, გამხმარი ბიჭი რომ არი, უჩიტელი?

ხანუმა

გამხმარი,თქვენმა სიცოცხლემ,შენი გოგრა აქვს. რეტიანო, თავის წონა ჯამაგირს იღებს.

აკოფა

იმაზედ ხომ ადრე იყო ლაპარაკი, მამა შენს არ უნდა: მამული არა აქვსო, მამული, მამული!..

სონა

მე იმედი მაქვს, რომ ჩემის მზითვით და იმის ჯამაგირით ჯერ კარგად ვიცხოვრებთ, მერე კიდევ შევიძენთ...

აკოფა

შეიძენთ! თქვენ რომ მშრომელი ხალხი ხართ! წადი, თქვენი პარუსკობა კი დაიქცა! ნასწავლი კაცი გინდა, სხვა ხომ არაფერი? (ტაშს შემოჰკრავს) ეს რა დროებაა! რამ სიმაღლეზე ებღაუჭება ეს ხალხი!! კარგი, კარგი, ნუ ნაზობ! ფულიანი ხარ და გული მაგრა გაქვს? ეჰ, მახლას!.. ღარიბი უნდა იყო, ქმარი გენატრებოდეს, რომ კამბეჩები სტაცკი სოვეტნიკები გეგონოს!

სონა

აკოფ! იცოდე, მე ეხლა მეგობარი მიჭირს, ძმები შორსა მყავს, მამაჩემის ჯიუტი ხასიათი ვიცი, - გთხოვ, როგორც

ძმას, დამიხსნა ამ განსაცდელისაგან. ჩემს სიცოცხლეში არ დავივიწყებ.

აკოფა (ტირილის ხმით)

სონაჯან, მიყვარხარ, ღმერთმა ხომ იცის, მაგრამ მამა-შენს როგორ გაუბედო, რა წყალში ჩავარდე!.. ნეტა ფეხი მომტეხოდა და არ დავბრუნებულიყავი.

ხანუმა (ქოქოლას აყრის)

მეხი კი დავაყარე შენ ვაჟკაცობას! ცარიელი ენა ხარ, შე უბედურო! შენი არაფერი არ გვინდა, ოღონდ ჩვენ მოგვყევი და ხელი არ მოგვიშალო: საქმეს მე მოვაწყობ. ხომ მიცნობ? სიპი ქვიდგან ზეთს გამოვადენ!

აკოფა

ვაი, ვაი, შენი სული წაწყნდა! რომელი ოხერი ტარტაროზი იქნება ამაზედ უარესი!..

მეექვსე სანახავი

იგინივე, მიკიჩა და სარა

მიკიჩა (შემოდის)

ოჰ, ხანუმ, რათ დაგიგვიანია?.. დაუპატიჟებლათ აღარ უნდა მოხვიდე?

ხანუმა

რა ამბავია?

მიკიჩა

არ გითხრეს, დღეს ჩემ სონას ჯვარსა ვწერ? მე სხვაგან მივდივარ, დიდი საქმე მაქვს და აბა, რაღა გეხვეწო, შინაური ადამიანი ხარ როგორც იცოდე, აკოფას მოეხმარე. (სონას) აი, შვილო, შენი მზითევი (ქაღალდს აძლევს) ეს ის პირობაა, გუშინ ნატარიუსთან რომ დაგიწერე: თუ ორ თვეზედ შენი ორი ათასი თუმანი არ ჩაგაბარო, მაღაზია და სახლები ამიწერო... გამომართვი, შვილო, შემირიგდი; ჯერ ეს იყოს და მერეც ხომ შენი ვარ და შენი. ეე! ეხლა გულზედაც ნუ მომიყვან და!

ხანუმა

გამოართვი, შვილო, მამას როდი უნდა აწყენინო, შენი მშობელია. (ჩუმათ) დასტყუე, გამოგადგება.

სონა (ხანუმას ჩუმათ)

თავში იხალონ, არ მინდა!

სარა

გამოართვი, შენ გენაცვალოს შენი დიდედა.

მიკიჩა

მაშ, აკოფ, შენა გქონდეს და ჯვარი რომ დაიწეროს, ჩააბარე. (აძლევს).

აკოფა

ბატონი ბძანდები. (გამოართმევს). სონა, აბა, ეხლა კი ვიქეიფოთ...

მიკიჩა

როგორც დაგარიგე, შვილო აკოფ, ისე მოიქეცი...

აკოფა (უკმაყოფილო)

ერთი ხათაბალა არ გამოვიდეს, ბიძა ჩემო, ამას პირი იქით მიაქვს და...

მიკიჩა

რა ხათაბალა? (გაჯავრებული) ამდენი ხვეწნაც მეყო! ჩემი დაწყობილი საქმე ურიგო არ იქნება! მე ვუბძანებ და დღესვე ჯვარი უნდა დაიწეროს! მე ვუბძანებ და ჩემთვის უნდა მოკვდეს! როგორც მიმიცია მაგისთვის სიცოცხლე, ისე წავართმევ კიდეცა, მე ნება მაქვს...

აკოფა

ახლა რა ვიცი... რო მოხდის რამე... ამას არ უნდა და ... მერე მე უნდა დამაბრალოთ...

მიკიჩა (ძალიან გაჯავრდება)

ბიჭო! შენ რაღა ჩემი გამჩენი გაგიწყრა, ბუნტია, თუ რა არის?!. რისა გეშინიან, შე ყურმუსაღო. მე გიბძანებ და ჩემი ბძანება აასრულე რაღა!.. გინდა ხელწერილი მოგცე, თუ რა გინდა? შენ ჩემ მაგივრად გიშვებ რაღა აქ! შენ რა მოგეკიხება!. აი ეხლავე ხელწერილს მოგცემ (მიდის). თქვენი ქოქი გაწყდა, თქვენი!... (კარებიდგან) კნიაზის სახელი ვიცით?

ხანუმა

კოტე ჰქვიან.

მიკიჩა

ჩემს სასიძოს ვამბობ, აი (შედის).

აკოფა

იმას, მგონი...

ხანუმა (მოაჩქმეტს)

ჩუ, ხმა გაიკმინდე!

აკოფა

ვაი, შენი სული წაწყნდეს, შენი!.. ბიჭო! ეს კუდიანი უთუოდ დავიდარაბაში გამაბაბამს!

სარა

შვილო, სონაჯან, მეც ჩვენებიანთსა ავალ, ჩემი რამეები აბარიათ და ჩამოვიტან, დღესვე ჩაგაბარებ. სანამ ჩაიცვი, გენაცვალე, სიძე-კნიაზი მობძანდება. აი დეიდა ხანუმაც გიშველის, კარგა მოირთე.

მიკიჩა (გამოდის)

აჰა! (კითხულობს) ჩემი საკუთარის სურვილით ვაძლევ ჩემ ქალს სოფიოს კნიაზ კოტე ფანტიაშვილს. მიკიჩ ტყუილ-კოტრიანცი.

სონა

(გაუხარდება კოტეს სახელს რომ გაიგონებს, მაგრამ სიხარულს მალამს).

მიკიჩა (აკოფას)

დაიჭი, ლობიო! (აძლევს ქაღალდს). პლუტობის მეტი არა იცი რა! სონაჯან, შვილო, ღმერთმა გაგაბედნიეროს. (აკოცებს) ამაღამ აქა ვარ.

აკოფა (კითხულობს)

ბიჭო! იმას ხომ ვანო ჰქვიან!.. ძიაჯან...

ხანუმა (მოაჩქმეტს)

ხმა გაგიწყდეს, თუ გაჩუმდე!

მიკიჩა

კიდევ მოგაგონდა რამე?

ხანუმა (ღიმილით)

სულელი! მე მეკითხება, ამაღამ ძია უთუოთ ჩამოვაო (აკოფას) ჩამოვა, მაშ! (იმასვე ჩუმათ) კრინტი, თორემ სახელს გაგიწყვეტამ!

მიკიჩა

ჩამოვალ, მაშ! უთუოთ!

აკოფა (იქით)

კაცო! საციმბირო საქმეს გამიხდის ეს წყეული დედაკაცი!

მიკიჩა

აბა, დედი, წავიდეთ. ვინძლო ყოჩაღაო იყოთ. ამაღამ უთუოთ ჩამოვალ. ნახვამდის! (მიდიან).

აკოფა (სარას მიაძახებს)

დიდედი, შლეიფი აიწიე, ფეხი არ დაიდგა!..

მეშვიდე სანახავი

სონა, აკოფა, ხანუმა

სონა (მიუახლოვდება)

აბა, აკოფჯან, ეხლა ხომ თავის გასამართლებელი იარაღი გაქვს: ხანუმამ სწორეთ ის ყმაწვილი ჩააწერინა, ვინც მე მიყვარს... მიშველე რამე, ნუ დამღუპავ! მოდი, იმაზედ ჯვარს დავიწერ და მერე რაღას იზამს მამაჩემი?!

აკოფა

კარგია ერთი, შენ გენაცვალე, რა ხუმრობა არის!

ხანუმა

უტვინო! უტვინო! რიღასი გეშინიან? შემთხვევა გაქვს და შეეწიე რაღა შენს ბიძაშვილს! მოიტა ეგ წერილი, თუ შენ გეშინიან...

აკოფა

გასწი, დამეკარგე იქით, შენი სახელიც გაწყდა! ეს დოკუმენტია, ამის ძალით კამჩატკაში გამგზავნიან...

ხანუმა

ბედოვლათო! შენი ბრალი ხომ არ იქნება...

სონა

აკოფ! სინიდისს გეფიცები, თუ სურვილი არ ამისრულდა, სიცოცხლეს მოვისწრაფებ! ეხლა რაც გინდა, ჰქმენი...

აკოფა

ეს, ეს რა დარდუბალაში ჩავარდი! საით გავიქცე? რა ვქნა? ვა, ამისთანა სკანდალიც იქნება?!

ხანუმა (სონას)

შენ ერთი ი მზითვის ქაღალდი დასტყუე! (მაღლა) თავათ მზითევში მოატყუილეს - ორი ათასში ათას ხუთასს აძლევენ!

სონა (მითომ მწუხარებით)

მე კი არ ვიცოდი მამი ჩემის ამბავი...

აკოფა (ქაღალდს გახსნის)

ვინ მოგახსენა? ორი ათასია, მაშა?

ხანუმა

რაღას უმალამ, ხომ უნდა გაიგოს? (სონას) ხელიდგან

გამოსტაცე.

სონა

შენგან არ მეგონა, აკოფ, თუ... (ტირის).

აკოფა

ვაი, არა გჯერა? რა გატირებს, აი ნახე, თუ ორი ათასი არ არის!

სონა

რათ მინდა, რომ ვნახო? ვიცი, რომ ათას ხუთასია, ნატარიუსმა მითხრა.

აკოფა

ახლა ჭიანური ნუ გახდები, და! კითხვა ხომ იცი, მაშ რას აკეთებდი შვიდი წელიწადი ინსტიტუტში? აჰა, წაიკითხე (თვალებში აჩეჩებს).

სონა

(გამოართმევს, თვალს გადაავლებს).

ხანუმა (სონას)

აღარ დაანებო!

სონა (ქაღალდს ჯიბეში ჩაიდებს)

მადლობა მომიხსენებია. ეხლა თვალი ყველასაც დაგიდგებაო! აბა, ხანუმი, გაიქეცი კოტესთან, ჩემი

მოწმობა ყუთში მაქვს, იმასაც თავის მოწმობა აქვს, ეხლავე ჯვარი დავიწეროთ.

ხანუმა

აბა შენ შეემზადე, მე ეხლავე აქ დავიბადები... (გარბის).

აკოფა (დეეწევა და დააბრუნებს)

სად გარბიხარ, შენი სულიც წაწყნდა? ახლა, სონაჯან, ყელს ნუ გამომჭრი, მოიტა ეგ ქაღალდი...

ხანუმა

ბიჭო შენ რა? კაცმა ვინც გითხრა, იმაზედ არ უნდა დაიწეროს ჯვარი? ფიე! აი ჯვარის მადლი გაგიწყრა, რომ არა გესმის რა!

აკოფა (პირჯვარს იწერს)

ასტვაწ! ტერ ასტვაწ! ეს რას მიშვრებიან!! დედაკაცო, შე ოჯახდაქცეულო, მახათაზე ჩამომახრჩობენ! ვაი, ვაი, ვაი!..

ხანუმა

ბუზსაც ვერავინ აგიფრენს!

აკოფა

სონაჯან! ეს ხომ ეშმაკის ვირზედ შემსვი!

სონა

თუ ჩემი სიკვდილი არ გინდა, ხანუმას გაუგონე.

აკოფა (იქით)

რა გგონიათ, იქნება მართლა თავიც მოიკლას... რა ვიცი, განათლებაა!.. კაცო! ეს რა მიყვეს ამ კუდიანებმა! ოხ, ხანუმი, ერთხელ მაინც დაუბუბნავი არ გადამრჩები! (იმათ) ოღონდ სკანდალს მაინც ნუ მოახდენთ და რა გაეწყობა...

სონა (მოეხვევა)

ოჰ, ჩემო აკოფ! ხომ ვიცი, ჩემი ბედნიერება გინდა და ამით მაბედნიერებ კიდეც.

აკოფა

ის ახმახი რომ უნდა მოვიდეს ეხლა? აი მეთორმეტეა

(აჩვენებს საათს).

სონა

მართლა! როგორმე უნდა მოვიშოროთ.

ხანუმა

თქვენ არხეინათ იყავით.

სონა

აკოფა

როგორ?

ხანუმა

შენი კაბა და რამეები მომეცი, მე ვეჩვენები... ჯერ ხომ არსად არ უნახივხარ შენა?

სონა

არა.

ხანუმა

მე მოვირთვები და გამოვალ შენ მაგივრათ. აკოფ! შენ კი არ გაგეცინოს, თორემ თავს მოვიკლამ!..

აკოფა

ვაი, შენი სული წაწყნდა! ეს რა ფინთი ვინმეა! ყაჩაღია რაღა!

ხანუმა

სონაჯან! სანამ რამდენიმე ფრანციცული სიტყვა დამიწერე ქართული ასოებით, რომ წამოვროშო ხოლმე: იმან იცის, რომ შენ ფრანციცული იცი. ქაღალდი აკოფას მიეცი, რომ მომაგონოს ხოლმე; აგრეთვე შენი პატარა ფორტოპიანი კარებთან მოვწიოთ და მე რომ ხელები დავატყაპუნო, შენ იქ დაუკარი... დანარჩენი ჩემი საქმეა, როგორც მოვაწონებ თავს. აი, მე მივდივარ, შენც მომეშველე, სონა, ჩაცმაში. (მიდის). ასე გაუხადო საქმე თქვენ კნიაზს, რომ სულ კუდით ქვა ვასროლინო! ამ სახლიდგან კი არა, მგონია, ქალაქიდგანაც გაიპაროს... მაშ! ზნაიშ, ვი, კაკოი მალადეც ხანუმ? (გადის).

სონა(ხანუმას)

მეც ეხლავე მოვალ.

აკოფა

სონა! ეს იცოდე, რომ შენი გულისთვის ჩავდივარ ამ საქმეს და ძალიანაც მეშინიან.

სონა

რა ვქნა, რისა გეშინიან? შენ რა? შენ ესე ეტყვი მამას: მე დიდიხანია ვიცოდი, რომ სონას კოტე ფანტიაშვილი თხოულობდა-თქო და შენ თითონაც წიგნში ისე ჩამიწერე-თქო, რომ კოტეზედ დასწერეთ ჯვარი... მე რას მოვიფიქრებდი თუ თქვენ სახელი შეგცდათ-თქო... ერთიც კნიაზი ფანტიაშვილია და მეორეცა-თქო.

აკოფა

ვა, განა მე არ ვიცი, რომ მაგ წყეულმა ხანუმამ წამოიძახა კოტეს სახელი!

სონა

რა ვქნა, რომ იცი. ასე უთხარი. მითომ არ იცოდი.

აკოფა

სონაჯან, ღმერთმანი, მამაშენი სამსახურიდგან დამითხოვს, მერე?

სონა

დაგითხოვს კი არა! თუ გაწყრება, ისევ ჩემზედ, შენ რას გემართლება? შენმა მზემ, აკოფ იქნება განგებამაც

გამოგზავნა ეხლა, რომ უბედურება არ მომხდარიყო. მე მამას დავარწმუნებ, საქმე რომ ესე არ მომხდარიყო, თავის ქალს კვდარს ნახავდა.

აკოფა

ახლა იმ შენ კოტესთან ბედნიერი იქნები? შეუძლიან შენი შენახვა?

სონა

რატომაც არ შეუძლიან! ჯამაგირს კარგს იღებს, ყმაწვილი კარგია, მე საკმაოდ მზითევი მაქვს, მამაც მალე შემირიგდება, ისიც შემეწევა. სხვა არა იყოს რა, ბიძის მამული კოტეს არ დარჩება? სხვა ვინა ჰყავს მაგის მეტი?

აკოფა (პირჯვარს იწერს)

არ ვიცი, არ ვიცი!. ეს რა ამბავი ხდება!..

სონა

რაღა არ იცი, გაგზავნე ბიჭი, ვინც მამამ გითხრა, დაუძახონ, იმ კნიაზს გავისტუმრებთ თუ არა, მაშინვე ჯვარს დავიწერთ. შენ შენებურად მხიარულად იყავი, არ შეგატყონ რომ იცი რამე და ჰფარავ. მითომ არაფერიც არ იცი, შენებურათ თავი მოიგიჟიანე.

მერვე სანახავი

იგინივე და კოტე

კოტე (ჩქარა შემოდის)

Здравствуй, Соня (ხელს აძლევს). როგორა ხარ, ჰა? მე დავინახე, რომ მამა შენი და დიდედა სადღაც მიდიოდნენ და გამოვექანე... როგორ არის საქმე, ჰა?

სონა

ძალიან კარგათ! ჯერ მოდი, გაგაცნო ჩემი ბიძაშვილი. აკოფ! ესეც ჩემი საქმრო, შენი სასიძო.

აკოფა (ხელს უშვერს)

აკოფ დარდიმანდიან.Очинь приятна, ваши сиятельства, с вами познакомиться.

კოტე (ხელს აძლევს)

კოტე ფანტიაშვილი. მგონი, სადღაც მინახვიხართ?

აკოფა

არ ვიცი, არ მახსოვს. (იქით) კაი ადგილს კი მნახამდი სადმე, აი!

კოტე (სონას)

შენი წერილი მომივიდა და ხანუმამაც დიდი ნუგეში მომცა, მაგრამ საქმე როგორ ბოლოვდება, შენი ჭირიმე, მითხარ, ლამის გავგიჟდე?

აკოფა (იქით)

ვაი, ვაი! რა ძალიან მოზდებია ამ საცოდავს!

სონა

მამას არ უნდა, რომ შენ შეგირთო; ამიტომ რომ მამული არა გაქვს...

კოტე

Боже мой, რა გახდა ეს მამული!..

სონა

მოითმინე... ბიძა შენი გულით უნდათ. აკოფას ჩააბარა ჩემი თავი, რომ დღეს იმაზედ ჯვარი გადამწეროს, მაგრამ აკოფა ჩვენ მხარეზეა, არა?

აკოფა

ეჰ, მახლას, ყველაფერი კუდიანი ვარსკვლავის ბრალია!

რას იზამ?

სონა

ბიძა შენი ეხლა ჩემს გასაშინჯათ მოვა და ჩემ მაგივრათ ხანუმა ეჩვენება...

კოტე (სიცილით)

Не может быть!...

სონა

მაშ! ეხლა ირთვება. ბიძა შენი რომ წავა, ჩვენ ეკლესიაში წავიდეთ და ჯვარი გადავიწეროთ. მამა თორმეტ საათამდის ვერ მოვა, გორშია.

კოტე (აკოფას მოეხვევა)

Ах, голубчик **აკოფ**, позвольте мне обнять вас в знак благодарности за такую великую услугу!

აკოფა (იქით)

ერიჰა�ა! (იმას) Очинь благодарим, очинь благодарим!

სონა

წამო, ხანუმას ჩაცმა ვუშველოთ და დაწვრილებით იქ გელაპარაკები, (ჩქარა გადიან).

აკოფა (მარტო)

ერიჰა, ამასაც ჰყოლია, აი რატო ასე დაფრინამს!.. მე კი არ

ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა! ყველა თავის ჭკუისას ეძებს და თავის ჰამქარს. რაღა თქმა უნდა, რომ ერთმანეთი ეყვარებათ და კარგ უღელს გაწევენ! ვა, ფეხის ფრჩხილებიდგან ნაპერწკლები სცვივათ! უჰ, თქვენი სულისა! იყავით ბედნიერნი. მე ახლა აღარ ვნანობ. აფსუსი არ არის ამ გვრიტების გაშორება? ვა, უღმერთობაა, რაღა. დეე, რამდენიც უნდა იჯავროს პარუმ მიკიჩამ, მე მაგათ ხელათ ჯვარს გადავწერ... მაგრამ რა ვიცი, კაცის თვალი ბრმა არის: იმ კნიაზს რომ ხანუმა მოეწონოს?! (გადაიხარხარებს) ვა, სეირი ის იქნება აი! ჯანი გავარდეს, თუ მოეწონება, თავში იხალოს!.. ვაი, ხანუმი, შენი სული წაწყნდა! ეს რა ფოკუსნიკი ვინმეა! (ფანჯარაში იყურება). ვაიმე, კნიაზი მოდის, არიქათ!.. (კარებთან მივა) ხანუმ, შე ოჯახდაქცეულო, ჩქარა მომეშველე! (კარებს გაუღებს) მობრძანდით, ვაში სიატელსტა!

მეცხრე სანახავი

იგივე, ვანო, მერე ხანუმა

ვანო (მორთული შემოდის)

მშვიდობა ამ სახლს! (აკოფას) მშვიდობა თქვენი!

აკოფა (ხელს გაუშავერს)

მე ამ ოჯახის ბიძაშვილი გახლავარ.

ვანო (ხელს აძლევს)

დიდათ სასიამოვნოა მე... ხომ გეცოდინებათ, ვინცა ვარ?

აკოფა

გიცნობთ კნიაზ, დაბძანდით. (იქით) ვაიმე, ვერ მიცნო, დაბერებულა!

ვანო

ჩემმა სასიმამრომ გამომიარა და მითხრა, რომ უცბათ საქმე გასჩენია და ამაღამ კი უთუოო მოვა.

აკოფა

ჭეშმარიტებასა ბძანებთ! (იქით) სად დამეკარგა ის ჯადოქარი!! (სიჩუმე).

ვანო

დღეს იღბალზედ ძალიან კარგი დარი დადგა

აკოფა (იქით)

ვა, მეარშიყება? (იმას) დიახ. (სიჩუმე).

ვანო

ქორწილი უთუოთ დღეს უნდა იყოსო...

აკოფა

მაშ! მაშ! (სიჩუმე).

ვანო (ღიმილით)

ძალიან კი აქებენ ამ თქვენ ქალსა და...

აკოფა

ჰო, დიახ! კნიაზ, უფრო თვალი გახლავთ, ვის როგორ თვალზედ შეხვდება. ჩვენი ქალი, რასაკვირველია, რომ ლამაზია! (იქით) ისე დაგიმშვენდეს გვარი, როგორც ლამაზი ხანუმა იყოს!..

ვანო

ჭეშმარიტათ თვალი გახლავთ. იმ წინაზედ უღელი კამბეჩი ვიყიდე, თვალით ძალიან კარგები, მივრეკეთ შინ და მეორე კვირაზედ დაიხოცნენ.

აკოფა

დიახ, ხანდახან მოხდება ხოლმე. (იქით) ხანუმი! რა იქენი? (იმას) ძალიან ირთვება ეს ჩვენი ქალი. (ადგება).

აბა ვნახო. (მივა კართან) გამობძანდით, ქალო! (სიცილი წასკდება, იქით.) შენი ჭირიმე, დედავ, რასა ჰგავს ეს წყეული ხანუმა!...

ვანო (ტანისამოსს ისწორებს)

ხანუმა

(გამოვა ევროპიულად მორთული, აკოფას ქაღალდს აძლევს)

ჰა, აკოფ. არ დამღუპო, სიტყვები მითხარი ხოლმე.

აკოფა (სიცილს ძლივს იჭერს)

აი, კნიაზო, თქვენი ნევესტა, ესეც ხა...(მითომ აფურთხებს გადაასხვაფერებს) ხა! ხა! ხა! ესეც კნიაზი ფანტიაშვილი.

ხანუმა

(ჯერ ლორნეტკით შეხედავს, მერე მარაოს ქნევით მიუახლოვდება).

აკოფ, მითხარი.

აკოფა (ყურში ეუბნება)

ბონჟურ, პრენს ფანტიეფ!

ხანუმა

ბონჟურ, პრინც ფანტიეფ!

ვანო (თავს უკრავს)

დიდათ სასიამოვნო გახლავს. (გაშტერებული შესცქერის).

აკოფა (ხანუმას ჩუმათ)

სთხოვე, დაჯდეს.

ხანუმა

როგორ უთხრა?

აკოფა

რა ღმერთი გაგიწყრა, რით ვერ დაისწავლე (უკითხამს) прошу содиться.

ხანუმა (ხელით აჩვენებს)

прошу, садись. (ყველანი დასხდებიან, ხანუმა შუაში. სიჩუმე).

აკოფა (ხანუმას)

ხმა ამოიღე, შე ოჯახდაქცეულო!

ხანუმა

ქა, რა ვსთქვა მერე?

აკოფა (ყურში უჩურჩულებს).

ხანუმა

ილ ფე ბოტან! (ქართულად: დღეს მშვენიერი დარია).

ვანო (წამოიწევა, აკოფას)

მე მიბძანებენ?

აკოფა

არ ვიცი, მე და ჩემმა ღმერთმა. ეგ მგონი, ფრანციცული იყო.

ვანო (დაჯდება).

ქართულათ არა ლაპარაკობენ? (გაშტერებული უყურებს).

ხანუმა (სიცილით)

როგორ არ ვილაპარაკე но ქარქა არ იცი კარტული.

ვანო

მაშ, ბატონო, რომელ ენაზე უფრო გეადვილებათ ლაპარაკი?

ხანუმა (მუჯლუგუნს წაჰკრავს)

აკოფ! შე პირშავო?

აკოფა (უჩურჩულებს)

ხანუმა

По французски.

ვანო (ღიმილით)

მე, სწორე მოგახსენოთ, მწყრალათ გახლავართ ფრანციცულზედ.

აკოფა (იქით)

ხანუმა კი, ამისმა სიცოცხლემ, უფრანციცულოთ პურს არა სჭამს!

ვანო (იქით)

რა ვქნა, ეს რა სხვანაირი მოდის ქალია! თითქო ლამაზიაო? ეს სწორეთ ქაჯია და ვინ იცის, ორი ჩემი ხნისაც იქნება!..

აკოფა (ჩუმათ)

ჰა, ხანუმ, უთხარი რამე, ადე, გაიარ-გამოიარე.

ხანუმა

(ადგება კოჭლობით და მარაოს ქნევით გაივლის და გამოივლის).

მე რომ პაპამ პარიჟში ცამიღო, ძალიან პატარა იკავი მე. იქ კარტული სულ დაგავიცხდა. ეხლა კი ძალიან გინდა ისწავლო. მალე ისწავლებ (წინ დაუდგება და მარაოს თვალებში უქნევს). სხვა, პრინც, თქვენი კამბეჩები როგორა ბძანდებიან? ბევრი გაქვთ?

აკოფა

კნიაზ! საქონელსა გკითხამთ.

ვანო

რაც ერთსა და ორს თავადს შეეფერება, გახლავთ. (გაშტერაბული უყურებს).

აკოფა (ჩუმათ)

ხანუმჯან! ყოჩაღათ იყავი, გაქცევას აპირებს!

ვანო (იქით)

რა ვქნა, ეს რა ამბავია? ეს რა ფინთი ჯოჯოხეთი ყოფილა! ცოტა ჭკუაზედაც სუსტად ბძანდება, აი!

ხანუმა

კნიაზ! კორცილი როდის გააკეთებთ, ჰა?

ვანო (გაშტერბული)

აი ვნახოთ და!.. (იქით) ისემც ღმერთი გაგაჩანაგებს რაც მე შენზედ ჯვარი არ დავიწერო! ამას რომ ხუთი მილიონიცა ჰქონდეს, რა თავში ვიხლი?! სწორეთ მოჩვენებაა ეს ოჯახდაქცეული!

ხანუმა

კნიაზ, რომანსი გიყვარს? დაუკრამ.

ვანო

თქვენი ნება გახლავთ (იქით) მომშორდი ერთი თავიდგან!

ხანუმა

(როიალთან მივა, დაჯდება და გასწორდება).

ვანო (აკოფას)

ეს არის ქალი?

აკოფა (თავგამოდებით)

მაშ ვინ იქნება?! დღეს ცოტა ფერზედ ვერ არის, წუხელის ცოტა ისპანახი უჭამია და ხომ მოგეხსენებათ სურავანდი...

ვანო

რას ბძანებთ, რის სურავანდი? ძალზედ ბებერია და კოჭლიცა ყოფილა!

აკოფა

არა, კნიაზ, რის კოჭლი, ახალი პოლსაპოჟკაა და უჭერს...

ხანუმა

(ხელებს უტყაპუნებს როიალს და აკაკანებს).

Я тебе лублу... я тебе не забуду... ты скоро мне позабудешь, но я не забуду тебе....

ვანო

(რომელიც გათავებამდის გაცხარებით აკოფას ელაპარაკებოდა).

მშვიდობით ბძანდებოდეთ! მე მაგ ქალის შემრთველი არა ვარ!

აკოფა (მითომ გაკვირვებით)

რას ბრძანებთ, კნიაზ?!

ვანო (გაცხარებული)

რა გესმის? განა ესე კაცის მოტყუება შეიძლება?!

აკოფა (მკაცრად)

რა დროს ეგენია, კნიაზ? მაშ ჯვარს არ იწერ?

ვანო

რა ჯვარს? რას ამბობ? მშვიდობით! (მიდის).

აკოფა (ტყუილად გაჯავრდება)

თქვენ ეგრე ადვილად ვერ წაბძანდებით!

ვანო

აბა, ვინც ბიჭია და წინ დამიდგეს! (ხმალზე ხელს წაიღებს).

აკოფა

არიქა, ხანუმი, მიშველე! (გარბის).

ხანუმა

პრინც! რას ჩქარობთ? (მარაოს ქნევით მისდევს, ის უკან-უკან მიდის) ოპერის ბილეთი არა გაქვთ? კრუჟოკში ჩნელათ არა ხართ? დღეს ოპერაში ცავიდეთ, ლოჟა აიღეთ...

ვანო

(უკან-უკან მიდის და კარებთან რომ მივა)

თავი დამანებე, რაღაც მაჯლაჯუნა ჰყოფილხარ!!. (უცბათ გავარდება).

ხანუმა (სიცილით მიჰკივის)

კნიაზ, პრინც, постой, я тебе лублу....

აკოფა (ხარხარებს)

არიქა, კნიაზ, მოვიდა ხანუმა!.. დერჯი ემუუ!..

კოტე, სონა

(ხარხარით გამოცვივიან)

ოჰ, ღმერთმა დაგღუპოს, ხანუმი!

ხანუმა

რაღას დაგიღიათ პირები, ჩქარა საყდარში!

ყველანი (ხარხარით გაცვივდებიან)

ფარდა

მესამე მოქმედება

სცენა: დეკორაცია პირველის მოქმედებისა

პირველი სანახავი

თეკლე, მერე ტიმოთე

თეკლე (სარკის წინ ირთვება).

რა ვქნა, ამ ჩემმა ძმამ ასრე რათ დაიგვიანა!.. უთუოთ სადილათ იქ დაიჭირეს. საცაა, ჩვენი ნათესაობა უნდა შეიკრიბოს და ჯვარის საწერად უნდა გავემგზავრნეთ. (საათს ნახავს). რაღა დარჩენილა, ორი საათის უკან უნდა ეკლესიაში ვიყოთ. რამდენი ვეჩიჩინე, მალე, დაბრუნდი მეთქი, მაგრამ რა, იმან თუ კომპანია ნახა, ხომ თავს ვეღარ დაახწევს! (გამობრუნდება). ტიმოთე! ტიმოთე!

ტიმოთე (შემოვა)

ბატონო, შენი ჭირიმე!

თეკლე

ვისთანაც გაგგზავნე, სუყველასთან იყავი?

ტიმოთე

სუყველასთან, შენი ჭირიმე! დეიდაანთა ბძანეს: თქვე დალოცვილვბო, პატარა ადრე ვერ იტყოდით, თუ აგრე გეწადათო?.. (ღრეჭით) რამხელა ვაჟკაცი გამხდარა ი გიგუცა!.. ასეთია, ერთი ვეება იმას თურმე ვეცანი. ჯერ კი ხმა არ გამცა და მერე კი...

თეკლე

რა დროს ეგ არის? შენ ის მითხარი, რა გიპასუხეს, მოვალთ თუ არაო?

ტიმოთე

მაშ! მაშ! თაინათ მოვალთოო. ძალიანაც გაეხარდათ. სტუმრებიცა ჰყვანდათ და მე უბძანე, ე სტუმრებიც წამაასხით მეთქი. ძალიან კარგიო. ჩემის ვარაუდით ერთი ექვსამდის სული მოვა.

თეკლე

კაპიტანიანთ რაღა პასუხი მოგცეს?

ტიმოთე

დიდი მადლობა შემოთვალეს და მოსვლაზე ცოტა დაყოყმდენ: შენ წადიო და ჩვენ კი არ ვიცით, იქნება მოვიდეთო, დოჰტოღრივ კი ვერ გეტყვითო.

თეკლე

ჩემ კოტესთან არ იყავი?

ტიმოთე

როგორ არ ვიყავი. (თავის ქნევით) უჰ, იქ სადა მდგარა? სწორედ ზეცაში დგას! რო არ შემრცხვეს, ორასი ფეხი კიბე დავთვალე, სულ ჭერში მდგარა. უჰ, ისე მოვიქანცე, ისე მოვიქანცე, რომ მუხლებში წყალი ჩამიდგა. აბა, ვისაც ტყირპის გაგდებინება უნდა, იმ კიბეს უნდა შეუყენონ აი!..

თეკლე (გულმოსული)

შენგან ხომ კაცი პასუხს ვერ ეღირსება...

ტიმოთე

ეხლავე, შენი ჭირიმე... ავედი, როგორც იქნა და ერთი ვნახოთ, კოტე ირთვება... ისეთი კი გაეხარდა ჩემი მისვლა, რომ... როგორა ხარ, ჩემო ტიმოთევო, რისთვის გარჯილხარო? დამსვა და ერთი კაი მორდილი ტაქანი, იმ დღეს ბატონს რომ მოუტანე, წორეთ იმისი, აჩისტინი ოტკა გადამახუხა. მე უთხარი, ქორწილში გვეწვიე მეთქი, იმან მითხრა: თუ გინდათ, თქვენ მეწვიეთო, მეც ქორწილი მაქვსო! (ჩაიცინებს) რა ნაირი ხუმარა რამ არის! იმტელი იხუმრა, იმტელი იხუმრა, რომა... მეც ქორწილი მაქვსო, ასე თქო...

თეკლე

ჰაი, შე თავლაფიანო, მამიდა რომ არა ნახე-თქო...

ტიმოთე

ეგეც უთხარი, მე და ჩემა ქრისტემ და იმან მითხრა, მე და ჩემი ცოლი ერთად მოვალთო!.. იმტელი იხუმრა, რომა...

თეკლე (მხიარულად)

ცოლს გაჩვენებ, შე გიჟო, შენა-თქო!.. მოვა! მაშ რას იზამს!

ტიმოთე

სხვას ხომ არაფერს მიბრძანებ?

თეკლე

არაფერს.

ტიმოთე (მიდის)

თეკლე

ტიმოთე, მოიცა. შენ სხვა ტანისამოსი არა გაქვს რა?

ტიმოთე

როგორ არა მაქვს, სოფელში მაქვს ერთი აქლემი ყელის ჩოხა, შვიდ უზალთუნი მივეცი, ასეთია, რომა...

თეკლე

ტუტუცო! სოფელში კი არა, აქ თუ გაქვს მეთქი? დღეს სუფთათ უნდა გეცვას.

ტიმოთე

აქა? აქ არა მაქვს.

თეკლე

მაშ ეგრე ხომ არ იქნები, იცი, რას იზამ?

ტიმოთე

არ ვიცი.

თეკლე

ჰო და, რო არ იცი, შენი ბატონის ყავისფერი ახალუხი რომ არის, ის ჩაიცვი, შენ გაჩუქა და აი ფულიც... (იღებს) ერთი თუმანია, საღამოზე ჩაირბინე და კარგი ჩოხა იყიდე (ფულს აძლევს).

ტიმოთე (გამოართმევს)

მადლობელი ვარ, შენი ჭირიმე! ღმერთმა გააბედნიეროს ჩემი ბატონი და შენც შენი მიშა გაგიზარდოს. იმის ბედნიერებასაც ისე შეგასწროს, როგორც დღეს ბატონის ბედნიერებას. (მიდის.) ე საჩოხეც ხომ გავიკარ! (გადის).

მეორე სანახავი

იგივე, მერე ვანო

თეკლე

ნეტავი კი მეც წავყოლიყავ ჩემ ძმას და ჩვენი სარძლო მენახა. კარგ ცუგრუმელას კი ამბობენ და არ ვიცი, თვალში როგორ მოუვიდა. გენაცვალეთ, ესეც მეტი ახირებაა: ორი ათასი თუმანი და მზეთ: უნახავი ქალიც! თქვენმა მზემ, ცოტა გონჯიც რომ იყოს, არა უშავსრა...

ვანო (შემოდის)

თქვენი სინსილა კი გაწყდა!.. (ქუდს სტოლზე დასდებს).

თეკლე

ყმაწვილო! ასე დაგვიანებაც გაგიგონია? ან ჩაცმა გინდა, ან დახურვა...

ვანო (დაჯდება)

რა ჩაცმა?

თეკლე

როგორ თუ რა ჩაცმა? მაშ არ ჩაიცვამ ახალ ტანისამოსს? მოგიტანეს... შენ კი აქამდის სადღაც დასეირნობდი! სად იყავი?

ვანო

ილიკოსთან პოდვალში და რიგიანათაც გადავკარი.

თეკლე

რა დროს გადაკვრა იყო? როგორ შეიძლება, ყმაწვილო...

ვანო (შეჰყვირებს)

ისე შეიძლება, რომ დღეს სისხლი უნდა დაიღვაროს... ტიმოთე! ბიჭო!

ტიმოთე (შემოვარდება)

ბატონო?

ვანო

წადი ეხლავე, გესმის, თავპირის მტვრევით გაიქეცი და აი, ქაბატუა რომ არის, მაჭანკალი...

ტიმოთე

ვიცი შენი ჭირიმე...

ვანო

ეხლავე აქ მომგვარე. ჩქარა! სულ კინწისკვრით წამოიყვანე.

ტიმოთე

ბატონი ბძანდები. (გარბის).

ვანო

მორჩი! ერთი თვალის დახამხამებაში! (ადგება). მე თქვენ გიჩვენებთ სეირს...

თეკლე (გაშტერებული უყურებს)

ეს რა ამბავია, არ მეტყვი?

ვანო

ის ამბავია. (გაჩქარებული დადის). თქვენი სინსილა კი გაწყდა, ჰა!

თეკლე

რა იყო? რა გინდა ქმნა?

ვანო (შეჰყვირებს)

სისხლი! სისხლი! გესმის, თუ არა? სისხლი!..

თეკლე

რა ვქნა, რა გაღრიალებს? იქვე დაგეძინა, სადაც დალიე!.. რა დროს ეგენია?

ვანო

რა უდროსია, რას ამბობ, ჩემო დაო? ყელი გამომჭრეს!

თეკლე

ვინა? რა იყო?

ვანო

შემარცხვინეს, ქვეყანაში თავი მომჭრეს!

თეკლე

ახა, ღმერთო ჩემო!.. არ იტყვი. რა ამბავია? (გაჯავრებული) ქა, ხატის ღვინო დაგილევია, თუ რა არის?!

ვანო

რის ხატის ღვინო, ადამიანო, მომატყუილეს!.. (დაჯდება) ოხ-მე!

თეკლე

როგორ თუ მოგატყუილეს?

ვანო

აბა, წაბძანდი ღა ნახე შენი სარძლო ქალი, რომელიც ანგელოზათ დაგიხატეს!..

თეკლე

რა, არ ვარგა? არ მოგეწონა?

ვანო

რა ვარგა, ადამიანო, მაჯლაჯუნა ყოფილა! დაჯორჯებული, ერთი რაღაც ჯმუხი, სამოცი წლისა, ორივ თეძოთი კოჭლი და კიდევ რა ვიცი...

თეკლე

ნეტა რას ამბობ? აბა, თითონ მიკიჩა რომ არ არის სამოცი წლისა, იმისი ქალი საიდგან იქნება? რავქნა, ძალიან ლამაზს ამბობენ და შენ საიდგან გეჩვენა ეგრე? იქნება კარგა ვერ გაშინჯე?

ვანო

ნეტა ვიცოდე, რას ამბობ? რა ვერ გავშინჯე, აი ესე ვუყურებდი, როგორც შენა, მთელი ერთი საათი ვუყურე და რა ვიცი... არც დალეული ვიყავი, რომ იმას დავაბრალო...

თეკლე

ახლა ქაბატუა რაღათ გინდა, რომ დაიბარე?

ვანო

ერთი უნდა ვკითხო, ჯერ ერთი, რატომ თითონ არ წამომყვა, თუ რამე სიძაღლე არ ედო გულში და მეორეც, ექვსი თუმანი რომ დაგვტყუა და ქალი ძალზედ გვიქო,

ვის ატყუებდა?!. სხვა არა იყოს რა, იმ წყეულმა ხანუმას გარიგებული მაინც რათ ამაცდინა!.. დღეს რომ მოვდიოდი, ის ქალი დამანახვეს, ღვთის წინაშე, ისიც გონჯია, მაგრამ მიკიჩას ქალს კი ბევრითა სჯობია. აბა, მითხარი, ეს მოსათმენია? ტყუილათ ის ოსტატი ხანუმაც შემომალანძღვინა მაგ კუდიანმა, მაგან!

თეკლე

ქა, მერე ვინ გაჩვენა ქალი? როგორ იყო?

ვანო

წეღან რომ მიკიჩამ გამომიარა, მე ხომ მაშინთავე იმათსა წავედი... კარებში ერთი ახალგაზრდა ბიჭი დამხვდა, ქალის ბიძაშვილი ვარო. შევედი. ვილაპარაკეთ... გამოვიდა ქალი, ქალი კი არა - მაჯლაჯუ ნა, და ჩამომიარა

ჩაᲮჩაᲮით, ძალᲖე კოჭლი იყო. რაღაც ფრანციცულათ ერთი ორი სიტყვა წამოროშა და აუყენა ფორტუპიანს ტყაპატყუპი... და მოჰყვა ჩᲮავილს! მერე ჩემთან მოვიდა და ცოტა გაწყდა თვალი გამომთᲮარა, ი რაღაც ეშმაკი საᲑუᲖეა, იმითი!.. მტკნარი ტუტუცი ყოფილა! მეც ავდექი, შევაფურთᲮე და წამოვედი.

თეკლე (იქით)

ვერ უყურებთ ამ მუᲖმუᲖელა ქაᲑატუას! (იმას) სᲮვა არავინ არ გინაᲮავს?

ვანო

ვინ უნდა მენაᲮა? მარტო ორი Ბიძაშვილი იყვნენ: ქალი და კაცი.

მესამე სანახავი

იგინივე, ტიმოთე და ქაბატუა

ტიმოთე (შემოვარდება ქაქანით)

მოვიყვანე! ემანდ შემხვდა, დაუჭირე ქეჩო და სულ ძუნძულით წამოვიყვანე..

თეკლე

კარგია, წადი, (ტიმოთე გადის) ვანოჯან, ერთ ამბავს ნუკი დააწევ, ცოტა წყნარათ...

ქაბატუა (შემოდის)

საღამო მშვიდობისა! მადლობა ღმერთსა კარგათა ხართ;

ამ შეჩვენებულმა ბიჭმა გული გამიხეთქა, ჩქარა, ჩქარაო! ის იყო მეც მოვდიოდი... მართლა. ქალი როგორ მოგეწონათ?

ვანო

მშვენიერება ყოფილა! ისემც ღმერთი ააშენებს შენს ოჯახს!

ქაბატუა

როგორ, გენაცვა?

ვანო

ადე, დაიკარგე ჩემი სახლიდგან, შე კუდიანო, შენა! ეგრე სინდისზე ხელის აღებაც შეიძლება?

თეკლე

ვანო! ვანო!

ვანო (ყვირის)

გამშორდეს!.. გამშორდეს! თორემ აქვე, კარებზედ ჩამოვახრჩობ მაგ წყეულ შეჩვენებულს, მაგასა!

თეკლე

კარგია, რა დაგემართა? (ხელს მოჰკიდებს). შენ ოთახში შედი, მე მოველაპარაკები.

ვანო

როგორ თუ ოთახში? ზედ შუაზედ გავაპობ მაგ მაწანწალას, მაგას.

თეკლე

კარგია მეთქი, ყმაწვილო! (შეიყვანს ოთახში და გამობრუნდება).

ქაბატუა (გაკაპასებული)

როგორ თუ მაწანწალა! მეც ხომ თქვენი ყმის გოგო არა გგონივართ? მაწანწალაც და ბრიყვიც ის არის, ვინც სხვას ეძახიას. ნუ მათქმევინებთ, თორემ ეხლავე დავამტკიცებ, ვინც როგორია! ძალიან მეკნაჭება, თუ კნიაზი ბძანდები! ბევრი თქვენისთანა კნიაზები გაგვიტარებია ლეჩაქ ქვეშ!..

თეკლე (ამაყათ)

ახლა ძალიანაც ნუ გამოიდებ თავს! როგორ შეგკადრეს, რომ მაღალი სიტყვა გითხრეს! დიდი ამბავი მომხდარა!

ქაბატუა

დიახაც, არა! რათ მეკადრება?! დედავ და თვალო, ეგრე უმიზეზოთ ლანძღვა გაგიგონია?

თეკლე

მერე რა არის, ნასვამი კაცია.

ქაბატუა

უი ქიიის! ეგ რომ ნასვამია, ზოგი მეც მკითხე, რომ შიმშილით კუჭი მეწვის. მე რა ვქნა, რომ ნასვამია?

თეკლე (გაცხარებული)

მე ნებას არ მოგცემ, რომ აქ ენა ატარტარო! შენ იმის პასუხი მომეცი რათ მოატყუილე და თავი შეარცხვენინე ჩემ ძმას?

ქაბატუა

მითომ როგორა?

თეკლე

როგორა და ისრე, რომ ფულები აიღე, კაცი ააპილპილე, ესეთი და ისეთი მშვენიერი ქალიაო, ის კი არა თუ, გონჯი და საძაგელიც ყოფილა!..

ქაბატუა (ღვარძლით)

ვინ მოგახსენათ? თქვე დალოცვილებო, თუ იმაზედ ლამაზები თქვენს კნიაზებშიაც გახლდათ, ქალაქში რაღა მოგატუნტულებდათ? გონჯიაო! აფსუს, მიკიჩას ქალო!

თეკლე

თქვენ ცოტა სხვილ-სხვილს ლაპარაკობთ და არ შეიძლება ცოტა ენა დაიმოკლოთ?

ქაბატუა

სულაც არა, თქვენმა მზემ! უთქმელები სამარეში წვანან. ის მე ვიცი, რა გონჯიც არის!

თეკლე

ადამიანო! რა გაყვირებს, ცოტა დაბლა ვერ ილაპარაკებ?

ქაბატუა

მე ბატონი არავინ არა მყავს და არც მოპარულ საქონელს ვასაღებ, რათ ვილაპარაკებ დაბლა?! (აჯავრებს) გონჯიაო!

თეკლე (გაცხარებული)

ქაა, რაც მე მაქვს დასაყვირი და გასაჯავრებელი, პირიქით ესა მლანძღამს! ეგ ენა ნუ წაგიგძელებია, თორემ სულ კინწისკვრით გაგაგდებინებ!

ქაბატუა (დოინჯს შემოიყრის)

როგორ თუ გამაგდებინებ? ჩემიც გემართოთ და

გამაგდოთ კიდეცა?! თქვენ თოთხმეტ თუმანს იყავით დაპირებული, მომეცით დანარჩენი ცხრა თუმანი და მე თითონ გიახლებით.

თეკლე (გულ-მოსული)

ცხრა თუმანი კი არა, ხმლის წვერზედ უნდა აგაგოთ, რომ მოგვატყუილე და გონჯი ქალი მზეთ უნახავად დაგვიხატე, პირიქით ფულსაცა თხოულობ?

ქაბატუა

ჰოოოო! ეხლა კი გავიგე, რაცა გნებავთ! ფულს არ იძლევით, ჰო? იმასაც ვნახამთ! - ეეე! დედიჯან, ვისთანა თამაშობთ, ვისთანა?.. "გონჯი!.." დიახ, დუჟინობით გეგულებათ იმისთანები!! "გონჯი!" მთელ ქალაქში გათქმული სილამაზით, სწავლით, ჭკუით, გონებით

მიკიჩ ტყუილ-კოტრიანცის ქალი და “გონჯი!” აფსუს! აფსუს! ანგელოზივით ქალო... არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო!

თეკლე (გაწიწმატებული)

ხმა ჩაიკმინდე, შე ურცხვო! რაღა პირით ლაპარაკობ? მაგრამ რა ზრდილობა მოვსთხოვო ნაგდებს, მაწანწალა მაჭანკალს! ეხლავ დაუძახებ ბიჭებსა და სულ ცემა-ტყეპით გაგაგდებ! ეს ღორის კბენარი, ესა!..

ქაბატუა (უკან დაიხევს)

“ზდილობა!” ”გონჯი!” პატარა სხვაც რამე გააპტყელეო! (მაღლა) სწორე შემატყობინეთ, იძლევით ჩემ ცხრა თუმანს, თუ არა? რა მიზეზებს ეძებთ? პირდაპირ მითხრათ. ფულს არ გაძლევთ-თქო! ქალს რაზედ

უტეხავთ სახელს?.. “გონჯი!..”

თეკლე (გაცხარებული)

მოდით და ამ აშარს ელაპარაკეთ! გასწი, გასწი, სანამ ჩემი ძმა არ გამოსულა, თორემ, მგონია, შენი ცოდვით ქვა იწოდეს, ისეთს დღეს დაგაყენებთ. დეე, ეგ ხუთი თუმანი დაიკარგოს, დროს კიდევ გიპოვი...

ქაბატუა

მაშ, ეგ არის თქვენი პატიოსნება? მე წინათვე ვიცოდი, რომ ასე იზამდით! ფულის მოცემა არ გინდათ და მაგას იგონებთ, ჰოო? ეგრე ცოტა გამოუცდელებთან მოიქეცით, იქნება დაგიჯერონ!

თეკლე

თუ გინდა, რომ ეგ შენი ტყავი მთელი წაიღო, გასწი, მერეცა გნახამთ.

ქაბატუა

ძალიან კარგი! (კარებთან მივა). ცხრა თუმანი არც ამაშენებს, არც დამაქცევს, მაგრამ თქვენ პატიოსნებას კი ქვეყანა შეიტყობს. ისე გადმოგაბრუნოთ, რომ სად თავი გქონდეთ, სად ფეხები, ვერ გაიგოთ! ასე მოგთითხნოთ, რომ მტკვარმაც ვერ გაგრეცხოთ! (კარებში). ქაბატუა კი ვერ მიხვდებოდა, რა მიზეზებსაც მოუღებდით! მეხი კი დაგაყარეთ მაგ გაფხეკილ თავებზედ (გავარდება).

თეკლე

ახი არა მაქვს, ეხლა ერთი ბიჭი გამოუყენო და სულ თავ-

პირი დავამტვრევინო! ღვთის წინაშე. ჩემზედაც კი ახია: ყველა მაწანწალას თავს ვუყადრებ და დედაშვილურად ვექცევი. ახია, სწორეთ, ჩემზე!

მეოთხე სანახავი

იგივე, ტიმოთე, მიკიჩა, მერე ვანო

ტიმოთე (შემოდის)

ქალბატონო! წეღან რომ ერთი კაცი გახლდათ, ის არის და ბატონს კითხულობს.

თეკლე

სად არის? ეს სწორეთ ტყუილ-კოტრიანცი იქნება.

ტიმოთე

აგერა ფაიტონში ზის და მკითხა, ბატონი შინა ბძანდებაო?

თეკლე

სთხოვე მობრძანდეს.

ტიმოთე (გადის)

აი, მოდის კიდეცა.

თეკლე

შიშით გული მისკდება, ჩემ ძმასთან ჩხუბი კი არ მოუვიდეს!

მიკიჩა (შემოდის)

საღამო მშვიდობისა (თავს უკრავს).

თეკლე (უმადურად)

ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, დაბძანდით.

მიკიჩა (დაჯდება)

პირდაპირ ვაგზალიდგან მოვდივარ. როგორც მივედი ქსანზედ, ისიც მოდიოდა ზევიდგან, ვისთანაც საქმე მქონდა და ისევ უკან გამოვბრუნდი. ეს არის ჩამოვედით და ჩვენი საქმეც გავარიგეთ. ბარემ გზათ მოვდიოდი და ვსთქვი, ერთი ჩემ სიძეს შეუვლი მეთქი, ნუღარ იგვიანებს. ეხლა კი ფიქრი არ არის, რიგიან ქორწილს გადავიხდით... კნიაზი შინა ბძანდება? ვინ იცის, დღეს

სულ დარბის, მზადებაში იქნება.

თეკლე

შინ არის, ოთახშია, ეხლავე გამოვა (მივა კარებთან). ვანო!

ვანო

რა გინდა?

თეკლე

შენი ნახვა უნდათ.

ვანო

ეხლავე. (გამოვა).

მიკიჩა (მიეგებება)

კნიაზ სიძეს ვახლავარ.

ვანო (ხელს არ აძლევს)

მე ძალიან მიკვირს, რომ ასე კადნიერად ჩემ სახლში შემობძანდით.

მიკიჩა

უკაცრავათ, ნამგზავრი გახლავართ, ცოტა გავმტვრიანდი...

ვანო

საქმე მაგაში არ გახლავთ! (თანდათან უმაღლებს ხმას) ჩემი გაუპატიურება ადვილი არ გახლავთ, მე თავადის შვილი ვარ!

მიკიჩა

ბძანდებოდეთ. ვიცი, ძალიან კარგი! ვა! დღეს ხომ არ გიცნობ...

ვანო

საქმეც ეგ არის, რომ დიდი ხანია მიცნობ... ესე მასხარათ აგდება და თვალთმაქცობა ჩემთან არ გამოდგება...

მიკიჩა (გაშტერბული)

რა ამბავია? არ მესმის!

ვანო

ისა, რომ თქვენ ცრუ და თვალთმაქცი ყოფილხართ!

მიკიჩა

ვა!

ვანო

რა ვა?.. მაგრამ გადაგიხდით, ჯერ დამაცადეთ! გასწავლით, როგორც უნდა მოტყუება!..

მიკიჩა

კნიაზ, ერთი გამაგებინე, და!

ვანო

თქვენ მე მიქეთ თქვენი ქალი, ლამაზიაო, მაჭანკალმა ხომ ცამდის ასწია...

მიკიჩა

ძალიან ჭეშმარიტად მოქცეულა, მერე?

ვანო

მერე ისა, რომ გონჯი ყოფილა და არ ვირთავ! მაშ! არ ვირთავ!

მიკიჩა

როგორ, კნიაზ, რას ამბობ?

ვანო

იმას, რომ ხნიერია. ძალზედ გონჯი, კოჭლი, მოთხრილი და სხვა რაღა გინდა?!

მიკიჩა (გაშტერებული)

როგორ? ჩემი ქალი - გონჯი, კოჭლი, ხნიერი?!

ვანო (გაცხარებული)

კარგი, გეყოფათ! თავათ წელან ერთი გადამრჩა აუკუწავი...

მიკიჩა

ვა! გინდა, ათასჯერ ამკუწე, მაგას როგორ გათქმევინებ ჩემ ქალზედ!

ვანო

ფრთხილად ამ გაჯავრებულ გულზე, თორემ მამაჩემი არ წამიწყნდება...

მიკიჩა (მაღლა)

რა გულზედ, რას ამბობ? ჩემ სახლში იყავი? ჩემი ქალი ნახე?

ვანო

სწორეთ ჩემი თვალით ვნახე. ერთი საათიც ველაპარაკე.

მიკიჩა

აქ რაღაც ამბავია!.. ქალაქში ცალი არა ჰყავს, თვრამეტი წელიწადია ჩემ კალთაში ვზდი! და შენ მასწავლი ჩემ ქალს?.. აქ ერთი ავაზაკობაა! თუ ჩემი ქალი არ გინდა, სახელს რაზედ უტეხამ?!

ვანო

მაშ შენ გეგონა, კოჭლსა და ბრმას გადავეკიდებოდი?..

მიკიჩა

ვინ არის კოჭლი და ბრმა, რასა ბძანებთ? კარგი კაცი იქნები, თუ იმის ცალს ქალაქში ნახავ!

ვანო

სახუმრო საქმე არ არის მეთქი, კაცი შემომაკვდება!

მიკიჩა (თავგამოდებით)

ბატონი ბძანდები. წავიდეთ, წავიდეთ და ერთათ ვნახოთ! სამი კაცი ავიყვანოთ და თუ ჩემ ქალს ლამაზი დაუძახონ, ძალიან ლამაზიცა, მაშინ?

ვანო

რაც გინდა, სთქვი!

მიკიჩა

ძალიან კარგი, მობძანდი! საქვეყნოთ ქუდი მოვიხადოთ,

ვინც გამტყუნდეს. მობძანდით! ერთი შევიტყოთ, ეს რა ამბავია, ვისი ფოკუსებია? რას ამბობ, თუ ჩემი ქალი არ მოგეწონა, მაშ ქვეყანაზედ არავინ არ მოგეწონება!

ვანო (იქით)

ერთი ამათ უყურეთ, რა გაუტეხარი ხალხია!

მიკიჩა

მობძანდით მეთქი! მანდ რაღაც ამბავია! (იქით) რის კოჭლი? დღეს თუ მოიტეხა ფეხი, თორემ... ფეხიც რომ მოეტეხა, რაღამ დააგონჯა?.. თუ სულ თავპირი დაიმტვრია, რაც მე წავედი, ხომ ლოგინშიაც იწვებოდა და მაშასადამე, ვერც ესა ნახავდა. (იმას) მობრძანდით.

ვანო

წამოვალ, მაგრამ დიდი სკანდალი კი მოხდება! იცოდე, კაცი შემომაკვდება!

მიკიჩა

მობძანდი მეთქი!

ვანო (გაცხარებული)

თქვენ როგორღაც სამგლე გოჭივით ატეხილხართ!.. წავიდეთ. ჩაიცვი, ჩემო დაო, შენც წამოდი. (მაღლა) ეს იცოდეთ, სისხლი დაიღვრება! (გადიან).

ფარდა

მეოთხე მოქმედება

სცენა: ზალა ტყუილ-კოტრიანცის სახლში გაჩაღებული საქორწილოთ. მარჯვნივ წინა ზლანზე დივანი, კედლის ძირებზე ჩამომწკრივებული სკამები. იატაკი ხალით დაფენილი. ანთებული ჭაღები.

პირველი სანახავი

ხანუმა, მერე სარა

ხანუმა (ზალაში ფუსფუსებს)

მეხი კი დავაყარე იმ გამოტვინებულ თავზედ! წავიდეს და ეხლა ესპოროს ხანუმას! რა უმანკო ანგელოზი მნახეს მეცა! ჯიბრში ჩაუდგნენ და ისიც მე? ბევრს კი გაიტანენ!.. ეე! რას ამბობთ, ერთი წისქვილი არ დატრიალებულა ჩემ თავზედ, თორემ სხვა რა არ გადამხედია! ერთი პიანიცა

პოლკონიკი იყო, თავის ცოლს მეჯვარეთ გავაყოლე; ამაზედ კაკალი ერთი კვირა უსმელ-უჭმელი ერთ ორმოში დამამწყვდიეს, მაგრამ, როგორც იყო, თავი დავახწიე!.. ერთ უშვილო კნეინას ძალათ შვილი ვაყოლიე: ლოგინში ტყუილათ ჩავაწვინე და სხვისი ახლად დაბადებული ლოფლოფი ბავშვი შეუგორე... დღესაც არავინ იცის, იმისია თუ სხვისა! შეცვლით ხომ რამდენი გამისაღებია, ვისი საცოლე ვის შეხვედრია და ვისი საქმრო ვისა რგებია! ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი რამეები ჩამიდენია... და ამის შემდეგ კნიაზი ჯიბრში მიდგება, წავიდეს ეხლა და სადაც თავისი სთქვას, იქ ჩემი. სულ უცოლოთ დავსვი თუ არა? მეხი კი დაეცა!.. იმის საცოლეც გავათხოვე, თხუთმეტი თუმანი ავკარ. აქედგან ხომ სამოც თუმნამდის ავწაპნე! რა უშავს, "შინაური დედაკაცია ხანუმა! ქორწილი მაგათა კი არა - ჩემია. კარგა მოუთაროებ კიდეც. სახლი ჩემ ხელთ არის .. მაგრამ დასწყევლა ღმერთმა, წუხელი სიზმარში თავზედ ყვავი

დამჩხაოდა! (დაფიქრდება). ქა, თვალიც დაუდგება, ჩემთან რა ხელი აქვს! (პირჯვარს იწერს). ჩემთანა არს ღმერთი, ჩემთანა არს ღმერთი!

სარა

ხანუმი! ხანუმი! (ნელ-ნელა შემოდის) რა იქენ?

ხანუმა

აქა ვარ, დიდედაჯან! (იქით) ქა, აი რაზედ ამიხდა სიზმარი: ყვავი არ არის, მა რა ეშმაკია!

სარა

შვილო! მალე მოვლენ?

ხანუმა

ეხლავე, დიდედაჯან! მოდიანო, ყმაწვილები მოვიდნენ, ოთახში ქაღალდს თამაშობენ. დიდედი, შარბათი და თასი მზათა გაქვს?

სარა

სუყველაფერი მზათ არის. შენ მიუტანე და მე დავლოცამ.

ხანუმა

ბატონი ბძანდები.

სარა (ჩამოჯდება, ბურნუთს სწევს)

რა ვქნა, მე კიდევ ჰაზრს ვერ მოვსულვარ; ჩემი მიკიჩა

ამბობდა, ჩვენ სიძეს ქართული კაბა აცვიაო და ეხლა როგორ ეცვა?

ხანუმა (იქით)

ახლა შენ დამიწყე დავა, თვალიც დაგიდგება! (იმას) ფრაკი აცვია, დიდედა!

სარა

რა ფრაკი?

ხანუმა

აი კალთებ მოგლეჯილი სერთუკი რომ არის! ბოლოდაგლეჯილ ქათმებს რომ გვანან!

სარა

ეგ რათა, ქა?

ხანუმა

რა ვიცი, ქა, განათლება არის, ესე უნდაო! (იქით) ახლა გამოძიებაში შედი, შენმა სიცოცხლემ!

სარა

ქა, სადაური განათლებაა ბოლომოგლეჯილი სერთუკი! ის არა სჯობდა, მამა-პაპურად კაბის სახლები გაეფრიალებინა, ან კიდევ ქულაჯა ჩაეცვა...

ხანუმა

ეგრე უნდაო, დიდედი! განათლებას ეხლა ჩვენში მაიმუნობას ეძახიან!

სარა (ბურნუთს სწევს)

მართლა, რომ მაიმუნობაა! აბა, რა საკადრისია დაგლეჯილი სერთუკი!.

მეორე სანახავი

იგინივე და აკოფა

აკოფა

(შემოდის სიმღერით, უკან დუდუკი დაკვრით მოსდევს)

”ნაჭერ-ნაჭერ ღრუბელი მოდის მაღლა მთიდგანა,

დაბეჭდილი წიგნი მამდის საყვარლისგანა...” (დუდუკს გააჩუმებს და თავის ალაგას დასხამს). დიდედიჯან, მე ვარ მახარობელი, შენი გამხარებელი! მამილოცავს შენი სონას ბედნიერება! მოგდიან სიძე და ქალი. (ხელზედ აკოცებს).

სარა (მხარს აუხვევს)

ესეც შენი სამახარობლო.

აკოფა (მხარზედ დაიხედავს)

ეს სადაური რა არის! ხომ გელაქნურის ტილოა! (დაუყვირებს). მოიტა ბაღდადი!

სარა

კარგია, სულელო, რა გაღრიალებს! მოდიან?

აკოფა

მოდიან მაშ! რო ათავებდნენ, მე ნელ-ნელა სიმღერით წამოვედი, ცოტა გადაკრულშიაცა ვარ. საცაა, ისინიც მოვლენ. (იქით) პარუმ მიკიჩამ მითხრა: "დუხავოი მუზიკა" იქირავეო! ამ ქრისტიანულ მუზიკას რომელი "დუხავოი" სჯობიან! ლეკური დავკრათ, რომ ანტიკა! (შეჰყვირებს) უჰ, შენი ჭირიმე!

ხანუმა

რა გაღრიალებს, შე თვალ დამდგარო? ჯერ კიდევ ბიძა შენს ატჩოტები უნდა მისცე!.. რა უყავ იმის წიგნი, არ დაკარგო!..

აკოფა

ეგ რა მამაგონე, შე დასაღუპავო?! არ დაიჯერებ. ხელათ გამოვფხიზლდი შიშისაგან?!

ხანუმა

გეხუმრები, ეხლა ფიქრი აღარ არის.

აკოფა

კაცო! რო ვფიქროობ... ეს რა ქენი, შე ჩასაკირავო, შენა! (მუშტით) ოხ, ხანუმი! შენთვინაც მოვიცლი... ოჰ, რა ფოკუსნიკი ვინმე ხარ?!.

ხანუმა

კარგია, მამა გიცხონდა, ჭკუას ძალას ნუ ატან!..

აკოფა (ღრიალებს)

მოდით რაღა, დავლიოთ! ეეე! (მღერის) “ვაი, საყვარელო, შენ და მე... გულში დანა შენ დამე...”

ხანუმა

აკოფ! ფაიტონები დადგა, მგონია, მოვიდნენ.

აკოფა

მობძანდით, გენაცვალეთ! (კარებთან გაიქცევა).

მესამე სანახავი

იგინივე და ნეფიაანი

აკოფა

აბა ტუშ, ტუშ! (უკავენ, აკოფა ტაშს უკრავს და ხტის. ყველანი ულოცავენ, შარბათს ასმევენ, თეფშს გაატეხინებენ).

აკოფა

(ამის შემდეგ მეზურნეებს გააჩუმებს)

სარა

(მიიწვევს ნეფე-დედოფალს დივანზედ)

აბა, გენაცვალეთ, მობძანდით.

კოტე (დაჯდება)

აკოფ, აქეთ მოდი. ყმაწვილები არ მოსულან?

აკოფა

ზოგი მოვიდა, ზოგიც ეხლა მოვა. ერთი ეს მითხარი, ხილი აქ გამოვიტანოთ?

კოტე

იქ შევალთ, სულ ერთია, აქ რა საჭიროა... что за глупости!

აკოფა

Конечно, რომ ღლუპოსტი!

კოტე

ჯერ კი ყმაწვილებს დაუცადოთ... სანამ მე დავათვარიელებ. (შედის).

აკოფა

ვა! ქორწილი გვაქვს, რას დაჩუმდით? აბა ლეკური! ეე! ქრისტიანულათ დაჰკარით! (უკრავენ. აკოფა ჩამოუვლის, მერე ხანუმას ჩამოაყენებს). აბა, ხანუმი. გენაცვალე მაგ დაგლეჯილ სულში! ტაშ!.. ტაშ!.. (ორნი თამაშობენ).

მეოთხე სანახავი

იგინივე, მიკიჩა, ვანო, თეკლე, მერე კოტე

მიკიჩა (თამაშობის დროს შემოვა)

მობძანდით, კნიაზ, მობძანდით, აი ნახეთ: ეს ქალი იყო თქვენ რომ გაშინჯეთ? - აი ჩემი ქალი.

აკოფა (რომელმაც ზურნა გააჩუმა)

ძიაჯან! მოულოცე რაღა შენ ქალს!

მიკიჩა

რა უნდა მოულოცო?

აკოფა

როგორ თუ რა, ჯვარი დაიწერა.

მიკიჩა (გამშრალი)

როგორ თუ ჯვარი? ვიზედ?!

აკოფა (შიშით)

ვინც შენ მითხარი, იმაზედ რაღა! აი ეხლავე გამოვა სიძე...

მიკიჩა (შეჰყვირებს)

ვინ გამომჭრა ყელი?! ჯვარი დაუწერიათ, მერე ვინ არის?!

ვანო (შეჰყვირებს)

როგორ თუ ჯვარი დაუწერიათ?! უფრო უარესათ მასხარათ ამიგდეთ?! (ხანუმას და აკოფას). ეს სულ თქვენი საქმეა, და მე თქვენი სისხლი უნდა დავღვარო!

(იძრობს ხმალს და შეუტევს. წივილ-კივილი).

აკოფა (ფანჯრიდან გადახტება).

ხანუმა

(კარებში გავარდება. სულ დაიფანტებიან).

კოტე (გამოვარდება)

შედექით, ბიძა ჩემო! ეს ქალი მე მეკუთვნის!

ვანო (გაშეშდება)

როგორ, რას ამბობ?

კოტე

ეს ის ქალია, მე რომ გითხარით, ვირთამ მეთქი! ეს არის ეხლა ჯვარი დავიწერეთ.

ვანო (ხმალს გააგდებს)

ეს რა მესმის. იქნება მართლა?! (სიჩუმე დიდხანს) ბიჭო და ვერ მეტყოდი სწორეთ, რაღა კამედიებს აკეთებდი? მოდი, მომეხვიე! ღმერთმა გაგაბედნიეროს. (ჰკოცნის).

მიკიჩა (ყვირის)

ტყუილათ გარჯილხართ! არ მივცემ მაგას ჩემ ქალს!

ვანო

კაი დროც არის, თქვენმა მზემ. ვერ ხედავ, ჯვარი

დაუწერიათ?

მიკიჩა

რა ვქნა, რომ დაუწერიათ! ეგ ღარიბია, არაფერი არა აქვს...

ვანო (ამპარტავნად)

რათ იქნება ღარიბი, ვინ მოგახსენათ? შენ აქ მოდი... კოტე, შვილო, შენ ცოლთან დადექი. (ერთათ დააყენებს). ღმერთმა ისე გაგაბედნიეროთ, როგორც თქვენს გულს ჰსურდეს. სწორეთ განგებამ მოახდინა ესე ეს საქმე, თორემ ეხლა ჩემი ცოლის შერთვა დიდი სისულელე იქნებოდა. დღეიდგან ჩემი შვილები ხართ. მე ცოლის შერთვაზედ ჩემ სიცოცხლეშიაც აღარ გავიფიქრებ... დღეიდგან ჩემი მამული თქვენი საკუთრებაა. მე შენი ჭკვის იმედი მაქვს, კოტე!.. მეც სულ თქვენთან ვიქნები,

დავსტკბები და ვიმხიარულებ თქვენის ცქერით. (ორივეს ულოცავს) აბა, მიკიჩ, მოდი, შენც დალოცე. თეკლე, მოდი შენცა.

მიკიჩა

დიდი ხანი იყო ეგ შენი ძმისწული გადაკიდებული, მაგრამ ქალს არ ვაძლევდი, რადგანაც ჯამაგირის მეტი არა ჰქონდა რა...

ვანო

მე გეუბნები, მოდი მეთქი, დალოცე!

მიკიჩა

ახლა ცხოვრება უნდათ...

ვანო

გიჟია ეს ოხერი! მე მთელ ჩემ ქონებას ვაძლევ და შენ ორ სიტყვას ვერ ეტყვი?

მიკიჩა

რატომაც არა!

ვანო

ეგენი უფრო ტკბილათ იცხოვრებენ. სწორეთ ღვთის ნება ეგრე იყო. მე და შენ ისევ მეგობრათ დავრჩეთ. (ერთმანეთს ჰკოცნიან).

მიკიჩა

ღმერთმა გაკურთხოთ, შვილებო! თუმცა ჩემ უნებურათ საქმე დაიჭირეთ, მაგრამ ბოლო კეთილი აქვს: ბიძა მთელ თავის მამულს გაძლევთ... იყავით ბედნიერნი. (ორივეს ჰკოცნის).

ვანო

ეე! მოყვარევ, გაგვიმასპინძლდი, თორემ ზურგზედ ტყავს აგაძრობ!

მიკიჩა

ვინ შერცხვენილი არა! (იქით) ეს ვინ მოახდინა? უთუოთ აკოფას ძაღლობაა!

ვანო

ერთი ეს მითხარ, კოტე, მე ვინ გამაშინჯეს - ის ჯოჯოხეთი? ან ვისი შტუკები არის ეს ამბავი?

კოტე (სიცილით)

ხანუმა იყო, ბიძა ჩემო, ვერ იცანი? სახლიდგან რომ გამოაგდე, მაშ რა გეგონა, ვერ გადაგიხდიდა?

ვანო

იქნება მართლა? აი ქრისტემ შეაჩვენოს ის წყეული, რა ოინები მიყო! სად არის ეხლა?

კოტე

შენ რომ ხმალი ამოიღე, სულ კარში გაცვივდნენ.

აკოფა (კარებში თავს შემოჰყოფს)

ხანუმი! ხანუმი! ბუნტი გათავებულა, შემოდი. (თითონ შემოდის).

ხანუმა

ქა, რატომაც არ შემოვალ, ჩემი რა ბრალია?! (შემოდის)

აკოფა

არა და ჩემი ბრალია, რას ტუტუცობ?

მიკიჩა (ღიმილით)

აქ მოდი, ბიჭო, მე ეს გითხარი?

აკოფა (კოჭლობს)

რა დროს ეგ არის, მუხლის კვირისტავი გავიტეხე, ფანჯრიდგან რომ გადავვარდი... მაშ ვინ მითხარი? აი შენი წიგნი, რას სწერია? კოტე ამას არა ჰქვიან? (ჩუმათ ელაპარაკება).

ვანო

ხანუმავ! ჰაი, შე ჯადოვ! ეს რა კამედია ამიტეხე? მაგრამ ეხლა კი აღარ გემდური, შენ უფრო ჭკვიანი ჰყოფილხარ ჩემზედ...

ხანუმა

მაშ რა გგონია: განა მე სანანურ საქმეს ვიზამ? აბა ერთი

შეხედე, გვრიტებს არა გვანან? მე უფრო ვიცი, ვის როგორი შეჰფერის! მაშ!

ვანო

კარგია, შევრიგდეთ. ყველაფერი მიპატიებია. რადგანაც საქმე კარგათ მოიყვანე. აჰა, ეს ერთი კაბის ფასი ჩემის მხრით. (აძლევს).

ხანუმა

მადლობელი გახლავართ! მაგ საცოდავ ყმაწვილს რომ ეცილებოდი, დამისახელე, ვინც გინდა, თუნდა ქმრიანიც იყოს, დღესვე შეგრთო!

ვანო

აი გაგაფუჭა ღმერთმა! არა, შვილო, ქარისა არც მოტანილი მინდა, არც წაღებული.

მიკიჩა (აკოფას)

რაც მოხდა, მოხდა! აბა დატრიალდი, ყველაფერი მზათ იყოს, თორემ არ ვიცი, რას გიზამ.

აკოფა

სუყველაფერი მზათ არის, აი ყმაწვილებიც მოდიან, მარტო გამხიარულება-ღა გაკლიათ.

ხანუმა

ნახე, კნიაზჯან, ხანუმას კარაბადინს რა ძალა აქვს? მე შემიძლიან იმის ძალით ეხლავე აქლემათ გაქციო! მაშ!

ვანო

აი გაგაფუჭა ღმერთმა!

ხანუმა

მაშ ხანუმა არ დაივიწყო... ქა, რას ჩამოგიშვიათ ჩიჩახვები მამალი ინდაურებივით? აბა, გამხიარულდით, ქორწილი გვაქვს! (მეზურნეებს). აბა, კარგი ლეკური! (ხელებს გაშლის და ჩამოტრიალდება). კავალერი რა მექნა? აკოფჯან! აკოფ! (თამაშობენ).

(მათ შემდეგ ორი- სამი წყვილი ითამაშებს ლეკურის დროს)

ფარდა

1882 ꝗ.

რაც გინახავს, ველარ ნახავ

კომედია 3 მოქმედებად

მოქმედნი პირნი :

თ. დავით ჯამბარაშვილი კოხტაია - დავითის მსახური.
მებატონე, ვოენში ნამყოფი. საქუა - ტასიას საქმრო.
ორომსე - დეიდა დავითის
არტემ ივანიჩი - ამისი ქმარი. ავეტიქა
ზაქარია - დავითის მეგობარი. გიჟუა ქალაქის ბიჭები
ნიკო ყურაშვილი -დავითის ფიჩხულა
მოურავი სოსანა
კატინა - ქვრივი, დავითის ნაყმევი. ლიზა
ტასია - ამისი ძმისწული. მ ა გ დ ა ნ ა სოფლის გოგოები
ილუა - კატინას ვაჟი. პელუა

სტუმრები და მეზურნეები.

პირველი მოქმედება

სცენა. დარბაზი: მარცხნივ (სცენიდან) იატაკზე გაშლილია ხალიჩები, დაფენილია ლეიბებით და ზედ მუთაქები აწყვია; მარჯვნივ სდგას უბრალო ხის სტოლი და რამდენიმე უბრალო სკამი. კატინა ფუსფუსებს სახლში.

პირველი სანახავი

კატინა (მარტო)

რა უსამართლობაა, თქვენი ჭირიმეთ!.. რას ჩადის ე ჩვენი ბატონი!.. სად გაგონილა, მამას შვილი წაართონ!.. მგონი, დიდიხანია გამოცხადებულია, რომ ბატონყმობა გადავარდაო... მაშ ეს რაღა ამბები აქვს ჩვენს ბატონს! თავ-ბედისა არა გამეგება-რა... რა ვქნა, კიდევ

დაგვიბრუნდა ის მწარე დრო!.. ორი დღე არ იქნება, ბატონს მოურავი გამოეგზავნა ჩემ ძმასთან და უთვლიდა, შენი ქალი გამომიგზავნე, მოახლეთ მინდაო!.. ჩვენ ყველას ელდა გვეცა: დღე-დღეზე ქორწილს ვაპირებთ და ის კი ითვლევინება, გინდათ თუ არა, გამომიგზავნეთო. წავიდა ჩემი ძმა, ბევრი ემუდარა, მაგრამ ბატონს კინაღამ ცემით მოეკლა და გამოეგდო! დილას შემოვარდა მოურავი, დაუჭირა ხელი ჩემს ძმისწულს და ძალით წაათრივა - ბატონმა მიბძანაო! სიტყვა გვაქვს მიცემული, დღეს ჩვენი სასიძო უნდა მოვიდეს თავის ამქრით და ჯვარი დაიწეროს, ქალი კი ბატონსა ჰყავს! რა ვიცი, რა უბედურება იქნება ჩვენს თავსა! ამისთანა დაბრიყვება კიდევ იქნება!... გაგონილა!.. სადაც რა მოეწონება: ცხვარი, ძროხა, ხარი თუ ადამიანი - წამოავლებს ხელს და მიარბევინებს!.. არ ვიცი, ღმერთმანი, მარტო ჩვენთვის არის ბატონყმობა, თუ სხვისთვისაც?! სადა ხარ, ერთო კარგო პატრონო, რომ

სულ სისხლით არ ამოადენ ბატონს ჩვენს ამაგს!.. რაღა ვქნათ, ამოდენა ნამზადისმა რომ ტყუილად ჩაგვიაროს!.. (ჩაფიქრდება).

მეორე სანახავი

ილუა

(შემოვა, იოლიაში პურის ნატეხი უჭირავს და სჭამს).

დედა ჩემო! რას გამოჭიმულხარ ე მანდა? მახარობელი კიდეც მოვიდა, ნეფიანი მოდიანო და ძიაც ბატონთან წავიდა ტასიას მოსაყვანათა: ადე, აქაურობა დაალააგე...

კატინა (წამოდგება)

შვილო, და მერე რა პასუხს მოიტანს ჩემი ძმა ბატონისაგან? იქნება ქალი არც კი დაანებოს...

ილუა

რას ამბობ ერთი შენცა! არ დაანებოს რა, პაპას ბაღია! იმისი რა არის?.. ეხლა მოურავი შემხვდა და მითხრა, ბატონმა როდი იცოდაო, რო ტასია დანიშნული იყოვო!.. გაიგებს თუ არაო, რო ნეფიანი მოდიანო, მაშინვე გამოგზავნისო, იმას თქვენი ქალის ცოდო რათ უნდაო! მერე დღეს კაი ქეიფზედ არისო. ქალაქიდგან ტუმრები მოსვლია...

კატინა (გახარებული)

მართლა, გენაცვალე? შენ პირს შაქარი, შვილო! მაშ წადი, გენაცვალოს დედა, ჩამოუარე მეზობლებს, მობძანდნენ. უთხარი, კაცი მოგვივიდა-თქო. ტასიასი კი არა უთხრა-რა, სანამ ჩემი ძმაც მოიყვანს. განა, შვილო. ბატონს კი არ ეშინიან! ის უფრო დიდი მწავლული არ არის! განა არ იცის, რომ ქვეყანაა და სამართალი! ჯვარის დასაწერად

გამზადებულ ქალს როგორ წაგვართმევს!.. წადი,გენაცვალოს დედა!..

ილუა (ილუკმება)

ეჰ, ამი ჯულიც დაიქცა! მოვკვდი ამტელი სიარულით... დღეს ერთი ტაქანი ღვინოც არ დამილევია.

კატინა (მიფერებით)

გაისარჯე, გენაცვალე, შენ ქორწილშიაც სხვა გაისჯება!

ილუა (მორცხვათ)

ეჰ, დამანებე თავი! ქორწილი კი არა... იმისმა ტიალობამა! მაიტა, პატარა ყველი მაინც მამე!

კატინა

წადი, შვილო, კიდობანშია, ტაბაკზედ აწყვია, აიღე და ჩქარა ჩამოუარე მეზობლებს. სახლს ხომ ვერ გავაციებთ, ნეფიანთ უნდა დახვდეს ვინმე, თუ არა? აბა მორჩი, მალე!

ილუა (ამთქნარებს)

ღმერთმანი, წუხელის თვალი არ მომიხუჭავს... (მიდის თავის ფხანით) ე რა ჭირი აიტეხეს!..

მესამე სანახავი

კატინა მერე ლიზა

კატინა (დაჯდება)

გენაცვალეთ, ქანცი გამომეცალა ამდენი ფუსფუსით; მაგრამ ჯანი გავარდეს, ვინა ჩივის ჩემ დაღალვას, ოღონდ საქმემ კეთილად ჩაგვიაროს და გამიბედნიერდეს ჩემი

ტასია! (წუწუნით) სადა ხარ ეხლა,შე გაგლეჯილო და გაბრტყვნილო მაკრინე, რომ შენს ტასიას არ დალოცამ!.. ვაი შენი ბრალიცა, შე ჩაქოლვილო!.. ნეტა იმ დღის მომსწრეს, იტყოდა ხოლმე უბედური: ჩემი ტასიას ქორწილში სულ ბუქნას დაუვლიო!.. ვაი შენ ჩაქოლვას, დამწვარო დედავ!.. ეჰ, თვალიც დაგიდგება შენ, სიკვდილო! შენთვის არც ქორწილია და არც ნიშნობა! ვაი ჩვენი ბრალიცა! ამდენი უნდა ვეწვალოთ და ვიდაგოთ, ბოლოს კი მოვა მიქელ-გაბრიელი და სტაფილოსავით ამგვაძრობს სულსა! იჰ, თვალიც დაუდგება, როცა ანდა ამომაძრონ, ჩემთვის სულ ერთია. (მიდის კარებისაკენ) ჩემმა ძმამ რათ დაიგვიანა, ნეტავი ბატონმა რა უთხრა?.. (იხედება). აი სტუმრებიც მოდიან

მეოთხე სანახავი

იგივე და ლიზა

ლიზა(შემოდის)

მოგვილოცავს, კატინო, ტასიას ბედნიერება! ღმერთმა ისე გააბედნიეროს, როგორც თავის გული სთხოვდეს.

კატინა

შენც გაგაბედნიეროს, შვილო, მალე შენი ქორწილიც გვაჩვენოს...

ლიზა (მორცხვათ)

ქორწილი კი არა და... ჯერ არავინ არ მოსულა?

კატინა

კაცი მოგვივიდა, მოდიანო. თქვენ რაღა იქენით, შვილო, უცხოები ხომ არა ხართ, მეზობლები ხართ. დაირა მაინც

დაუკარით და დროება გაატარეთ; ისინიც საცაა მოვლენ.

ლიზა

გოგოები ყველანი მოდიან, დაირაც მოაქვთ და ბუზიკაცა... მაგრამ პატარძალი სადა გყავთ?

კატინა

ტასია, შვილო, ე მანდ კატარინესთან შევიდა, ჩიქილას არშია უნდა მოუვლონ და ეხლავე მოვა, სანამ შენ ქალები მოიყვანე.

ლიზა

მაშ წავალ და დაუძახებ.

კატინა

აბა, გენაცვალე, მალე. ყველას უთხარი, მოვიდნენ.

ლიზა

კარგი, კატინავ, კარგი (გაირბენს გარეთ).

კატინა

სტუმრები კი მოდიან, მაგრამ... კარგი საქმე არ მოგვივა, რომ იმ სასიკვდილემ ი ქალი არ დაგვანებოს!.. რა ვქნა, სიძეს ყველაფერს ვუამბობ და რაც უნდათ, ის ჩაიდინონ! (მიდის კარებისაკენ) აი, ქალებიც მოდიან.

მეხუთე სანახავი

იგივე, ლიზა, მაგდანა, პელუა და სხვანი

ყველანი

მოგვილოცავს, კატინავ, ტასიას გაბედნიერება.

კატინა

გმადლობთ, გენაცვალეთ. აბა, ხალიჩაზედ ჩამომწკრივდით და გამხიარულდით. ლიზაჯან, შენ იცი, შვილო, როგორც შემიქცევ ქალებს. (დასხდებიან).

ლიზა

აბა, ქალებო, გამხიარულდით. დაუკარით დაირა, ნაღარა, ბუზიკას მე დაუკრამ... რა ბაბაყულებივითა სხედხართ! ადე, მაგდანო, სათამაშოთ მოემზადე.

მაგდანა

ნეტა რა ვქნა! უწინ შენ ითამაშო!..

ლიზა

რას ტუტუცობ. ქალო? სუყველა უნდა ვათამაშო. ადექი ჩქარა!

მაგდანა (ნაზობს)

არ ვიცი, ღმერთმანი!

ლიზა

ითამაშე, ქალო!

მაგდანა

რა ვქნა რომ არ ვიცი?

ლიზა

იმდენი შავი ჭირი გეცეს! როგორ არ იცი, შე სასიკვდილევ! მაშ ორულელაანთ კალო ვისგან არის დატკეპნილი: გიჟი მოზვერივით რო დაფუნდრუკობ ხოლმე! დაუკარით დაირა. (ერთს) შენ ნაღარა, მე ბუზიკას დაუკრამ. (უკრავენ მაგდანა სოფლურათ თამაშობს).

ლიზა

(მაგდანას, თამაშობას რო გაათავებს)

აკი არ ვიცით? მიწამ კი გიყოს პირი!.. აბა, პელო, ახლა შენ...

პელუა

ვერა, გენაცვალე, ვერ ვითამაშებ.

ლიზა

რა ამბავიაო? ადე, ეეთრიე, თვალიც გამოგპრუწვია!

პელუა

დედ-მამა არ დამეხოცება, ვერ ვითამაშებ!

ლიზა

ნეტა რა ვქნა! რა მოგჩვენებია?

პელუა

ქალო! ხომ იცი, რომ გლოვიარეთა ვართ?

ლიზა

ვიზედ?

პელუა

ჩვენებიანთ პავლიაზედ.

ლიზა (ხელს დაუჭერს).

რა დროს პეტრე და პავლეა! ადე, ითამაშე, ქორწილია! სატირლად კი არ მოვსულვართ აქა!

ყველანი

ითამაშე, ქალო, არა უშავს რა.

პელუა

კარგია, დაუკარით (თამაშობს, ტაშს უკვრენ)

ლიზა

(თამაშობას რომ გაათავებს, პელუას)

აკი მგლოვიარეთ იყავი, კარგათ კუნტრუშობ...

მაგდანა (ლიზაზედ)

ახლა ეს სასიკვდილე ვათამაშოთ.

ლიზა

ჯერ დაიცადეთ, კატინა მინდა ვათამაშო. ითამაშე, კატინო!

კატინა

შენ კი გაიხარე! კუდი ვერ ამიწევია, შვილო, რა თამაშობისა მცხელა?

ლიზა

შენი თვალების ჭირიმე, კატინო, ითამაშე!

ყველანი

კატინო! ითამაშე, შენი ძმისწულის ქორწილია.

კატინა

კი არ დამცინოთ, გენაცვალეთ, დაუკარით! (თამაშობს და რომ გაათავებს) ქალებო! დრო გაატარეთ, მე მინდა სამზვარეულოს მივხედო. (გადის).

მაგდანა

აბა, ლიზავ, ახლა შინ ითამაშე!

ლიზა

ბუზიკას ვიღა დაუკრავს?

მაგდანა

აი, კატარინე.

ლიზა

დაუკარით! (უკვრენ, ის თამაშობს).

პელუა

ლიზაჯან, შენი თვალების ჭირიმე, კოჭლურათ რომ იცი, ისე ითამაშე, შენ გენაცვალე!

ლიზა

რაღა მიქნია!

მაგდანა

კარგია, ნუ იპრანჭები, ითამაშე.

ლიზა

ჯანი და სული წაგივიდეთ, დაუკარით! (თამაშობს).

პელუა

(ლიზას, თამაშობას რომ გაათავებს)

გოგოჯან, ერთი მარჩი დაუკარი!

ლიზა

ტაში კარგა ააყოლეთ! (უკრავს). ტაშ! ტაშ!

შორიდგან ისმის ზურნის ხმა «ქოროღლი»

მეექვსე სანახავი

იგინივე, კატინა და ნეფიაანი საქუა, ავეტიკა, გიჟუა, ფიჩხულა, სოსანა, მეზურნეები და კიდევ რამდენიმე სხვა სტუმარი ანთებულის წმინდა სანთლებით

კატინა (შემორბის)

გენაცვალეთ ქალებო, გამხიარულდით, აგერ ნეფიანიც მოდიან. (ისმის ზურნის ხმა და ღრიალი)

სტუმრები (შემოვლენ)

შვიდობა აქაურობას!

ფიჩხულა (მეზურნეებს)

აბა, ერთი ლოთიანი ბაღდადური!

ყველანი

ტაშ, ტაში! (სათითაოდ თამაშობენ).

ავეტიქა

ლეკური! ლეკური ჩქარა! განზედ! (თამაშობს).

გიჟუა

(თამაშობის დროს ღრიალებს)

ხალხნო! რომელი ხართ, ჩქარა ღვინო, თორემ დავიხრჩენით! ეეე!

სოსანა

ღვთის ცეცხლი, სანამ სხვა აგიტყდებოდეს რამე!.. (დასხდებიან, ზოგი მღერის, ზოგი ღრიალებს, ზოგი ერთმანეთს ელაპარაკება, ხმაურობა. ქალები ძირს ქეჩა-ხალიჩაზედ დასხდებიან და ქაღალდს თამაშობენ. ჩუმი ბაასი).

ილუა

(შემოაქვს ხონჩით საუზმე: ხორაგეული, ლავაშები, ჯამები და დიდი დოქით ღვინო)

აბა,თქვენი ჭირიმეთ, ქეიფი გასწიეთ. (სტოლზე დასდგამს და ჯამზედ ღვინოს დაუსხავს).

ფიჩხულა (ილუას)

ოჰ, მოყვარეევ, როგორა ხარ? აბა, ერთი შენებურათ დაასხი ღვინო!

ილუა

ამ საათში. (ყველას დაუსხამს).

ფიჩხულა (მღერის)

«ჰაი, გაფრენილო. გიწამე... გიწამე და გაიგონე»...

გიჟუა (ჯამით ხელში ადგება)

ბიჭებო, შეითნებო! ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ამ ოჯახის კეთილი ანგელოზი! (სვამს,დაჯდება).

ყველანი

ადღეგრძელოს!

ფიჩხულა (აიღებს ჯამს)

ეს ღმერთმა აცხონოს ნოე, რომ ღვინით დათრობა მოიგონა... (სვამს).

სოსანა (აიღებს ჯამს)

ანგელოზებო! გენაცვალეთ მაგ სულის ყანყრატოში, თქვენი სადღეგრძელო იყოს! აბა, ავეტიქჯან!

ავეტიქა (პურზედ დააწვეთებს ღვინოსა)

ეს ღმერთმა აცხონოს ჩემი დედ-მამა: მიკიჩა და ოსანა! (სვამს).

ფიჩხულა (ავეტიქას)

წადი, შენი, ნეგადიცა... ეგ რასა სვამ?

ავეტიქა

ვა! დედ-მამაზე ახლო ვინა მყავს? (სხვები იცინიან).

გიჟუა

სმენა იყოს და გაგონება! ესეც ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი ძმა ბიჭი საქულა! კეთილი იყოს მაგის ფეხი ამ ოჯახში, ჩვენი ძმობა ნუ მოუშალოს. (სვამს)

ყველანი

ამიიინ!

სოსანა (ჯამით ხელში ადგება)

საქულიჯან! შენი ქრისტეს ჭირიმე! გენაცვალე, ძმაოჯან, მაგ კოკობ სულში! ღმერთმა ისე გაგაბედნიეროს და გიცოცხლოს შენი გვრიტი, როგორათაც დედიშენის წყვილი ძუძუ სთხოვდეს! (სვამს). ფიჩხული! ალავერდი შენთან, შე ვირის დათვო!

ფიჩხულა

იახშიოლ, სოსანჯან! (ადგება ჯამით) საქულიჯან, შენი სადღეგრძელო იყოს! ღმერთმა კეთილი ლუკმა გაჭამოს, ძმაოჯან! შენმა მზემ ისე გაგინათოს, რომ არც დაგცხეს და არც შეგცივდეს! (სვამს). დაცლაზეა! უსტა, ავეტიქ, ალავერდი!

ავეტიქა

შეგეწიოს. (იღებს ჯამს). მახლას, ამოტელა ღვინო რა ამბავიაო? სწორეთ შავი ზღვა არის! (სდგამს). ვერა, ძმავ,

ვერ დავლევ, ისე დაგლოცამთ... ტიკივით გავიბერები, ხომ მოვკვდი? მე სულ რუმკებითა ვსომ...

ფიჩხულა

დალიე, თორემ ზედ თავზე დაგასხამ, გესმის თუ არა?

ავეტიქა (წყრომით)

არც კი მიკვირს შენი ჭკუისაგან! ბიჭო, ზოგჯერ რა ძალიან ტუტუცები ხართ ხოლმე? ეს რა ეშმაკებში ჩავვარდი.

გიჟუა (შეუტევს მუშტით)

დალიე, შენი დედმამის სულის... ჭირიმე-და! ჩქარა! გვწყურიან!

ავეტიქა (აიღებს ჯამს)

გაგხეთქოთ ღმერთმა! ეს ოხრები სწორეთ ღვინის ხორველები არიან!.. საქო, გაცოცხლოს, გიცოცხლოს შენი ნუგბარი. დაგაჭკვიანოს, თორემ ცოტა ჰოპოპების გაფრენა იცი ხოლმე! გახსომს ერთხელ აბანოში კინაღამ ჰაუზში დამახრჩე?! (ყველანი იცინიან). ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ჯიბის ბარაქა და ყადრი! (სვამს).

გიჟუა და ყველანი (დუდუკზე მღერიან)

ეს ბაღი ტურფად შემკული,
შიგ ვარდი გაბრწყინებული;
ვინ მოჰკრებს მებაღის მეტი
გინდ იყოს ვაჟკაცთ კრებული?!
სანამ ცოცხალ ვარ, ასე ვიქ,
ვახარებ ჩემსა იასა;
მოვკვდები, გაუხარდება
სამარის კარსა ჭიასა!
დუშკაჯან! შენი ჭირიმე.

ლამაზო! შენთვის ვსტირი მე!..

გიჟუა (სიმღერის შემდეგ)

კარგია, მუდრეგებო, დაჩუმდით! ახლა დავლიოთ. (იღებს ჯამს). ეს ღმერთმა აცოცხლოს ის ხე, რა ხეც რომ წყლის პირასა დგას და უწყლოთ კი ხმება. (სვამს). აბა, პოლკოვნიკებო, მიირთვით.

ფიჩხულა

ეს ღმერთმა აცოცხლოს ის ფარანი, რომელიც რომა, ეხლა, ვთქვათ, ძალიან ბნელი ღამეა - და რომელიც რომა ბნელ ღამეში გაგვინათებს და გზას გვიჩვენებს, გვეუბნება რაღა: აქეთ წამოდით, არსად ჩავარდეთო!

სოსანა

ეს ღმერთმა აცოცხლოს ის ვარსკვლავი, რომელიც რომა მთვარეს დასდევს უკანა, სიყვარულით არა შორდება, უნდა სულ უყუროს და მთვარეს კი ეჯავრება! (სვამს).

ავეტიქა

ეს ღმერთმა აცოცხლოს ის ჭკვა, რომელიც თქვენისთანა ტუტუცებისთვის ღმერთს არ მიუცია, თორემ ქვეყანაზედ ღვინოს ფასი არ ექნებოდა! (სვამს, ყველანი იცინიან).

გიჟუა

წადი, შენი სულელი პატრონიცა... ერთი ლეკური გავაცუროთ და (ქალებზე) ეს ანგელოზები ვათამაშოთ! დაჭკა! (ლეკური).

სოსანა

(ყველანი რომ ითამაშებენ, მეზურნეებს კარში გაიყვანს).

ავეტიქა

საქო! შენ რომ ამათ უყურო, წითელ პარასკებამდის არ აიშლებიან! რაღას უყურებ? უთხარ რაღა, ქალი მოიყვანონ; ხომ იცი გზა დიდი გვაქვს. (კატინა ადგება და ისა და საქუა სცენის უკანა პლანზედ ლაპარაკობენ).

გიჟუა (ქალებს გადახედავს)

ბიჭო! ბიჭო! ერთი შეხედეთ, ერთი შეხედეთ!.. ვაი! ვაი ვაი!.. აქეთ მხარეს რა კარგი გოგოები სცოდნია, და! უთუოთ მეც აქაურ ქალს წავიყვან...

ფიჩხულა

ბიჭო! წყნარათ იყავი, შენ შენი ღმერთი, თორემ ხომ იცი აქაურების ამბავი. კეტებით სულ თავპირს დაგვამტვრევენ!

გიჟუა

ვა, დაგვამტვრევენ რომელია? ცუდი რა მითქომს? მაშ სახლში ხომ არ დაობდებიან, არ უნდა დათხოვდნენ? (ლიზაზედ) ერთი შეხედეთ, ბიჭო, ერთი შეხედეთ, აი კელაპტარივით რო ურჭვია! შენი გულისა, შენი! რა ხოხობი ხარ!

ფიჩხულა

რა დროს ეგენია, მუდრეგო, მოჰყოლიხარ შენცა, ლამის მუცელში ხორველა გამიჩნდეს! დაასხი ღვინო!

ლიზა (გაწიწმატებული)

პირი კი გაგიშავდა, ვიღაც ოხერი გდიხარ! ჩუმათ ეგდე, თორემ, თუ ჩემს ძმას დაუძახე...

გიჟუა

დაუძახებ, მე ვიცი, ხელათ თავის და არ შემრთოს! რა იქნება?

ლიზა

თვალი შენც დაგიდგა და შენ შემრთავსაც!..

გიჟუა

თუ მე მწყევლი, დუშინკაჯან, შენ თავს რაღას ემართლები?! დამწყევლე, გენაცვა, დამწყევლე, შემაჩვენე, ჩამქოლე, მოდი, დამახჩე, - არ მეწყინება!. ااااჰ!.. ერთი შენი თავი შამწვარი მამცა!..

ლიზა

(წამოიწევს, ქალები დასმენ)

არ დაჩუმდები, შე ოხერტიელო, ვიღაცა ხარ!...

ავეტიქა

ვა! ვა! ეს ვისი რა არის? რა მაგარ-მაგარს იძახის ფრანციცული თუთიყუშივით! გოგუცკიჯან, რა იყო?

ფიჩხულა (გიჟუას)

კაცო! რიგიანად მოიქეცი, რას ჩადი, შე მხეცის კოლოფო?

გიჟუა

ერთი ხელი აიღე, მამა გიცხონდა! რას ვაშავებ? ის მე ვიცი,

როგორც მოვიქცევი...

ავეტიქა

ვა! როგორ არ გეცოდინება, გემნაზიაში სულ მაგას არ გასწავლიდნენ! (იცინის).

გიჟუა

დაიფანტე, შენი ოხერი... ეეე! მაიტათ ღვინო, დავლიოთ! აიღე, ფიჩხული! ისევ ისა სჯობიან, რომ დავლიოთ... საიქიოს რაც ანდრია დალაქმა წაიღო, იმას ჩვენ წავიღებთ! მეტს რას გამოვრჩებით ამ წუთი სოფელს!.. ვინ იცის, საიქიოსაც იქნება ღვინო, თუ არა?

ავეტიქა

ამბობენ, ძალიან ბევრი არისო. შენ იცი, რას იზამ?..

აქედამვე პატენტი წაიღე და იქ ტრაქტირი გააღე! (იცინის).

გიჟუა

ერთი ამ ხორველის ანგელოზს უყურეთ და, რა ამბავშია!.. (აიღებს ჯამს). ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ის ორი მტრედი, რომელიც ხის კენწეროზედ სხედან და არ შეუძლიანთ ერთმანეთთან გადაფრენა, ელიან ქარს, აგება ამოვარდესო და ეს ტოტები ერთმანეთს მიახალოსო!..

ყველანი

ღმერთმა აცოცხლოს!

ფიჩხულა

ესეც ღმერთმა ადღეგრძელოს ის მზე, რომელიც ჩვენ

დაგვათბობს და არ დაგვწვავს!..

საქუა (შეღრიალებს)

ერიჰა�ა!.. მართალს ამბობ?

ყველანი

რა იყო, საქო, რა ამბავია?

საქუა

ვა! რაღა რა ამბავია, ქალი ვიღასაც წაუყვანია!..

ავეტიქა

როგორ თუ წაუყვანია?

საქუა

რა ვიცი, (კატინაზე) აი ეს ამბობს... ვიღაც ოხერი ბატონი ჰყოლიათ, იმას წაურთმევია, მოახლეთ მინდაო...

ფიჩხულა

ვა! თუ წართმევაზედ იქნება, ბულვარზედ რომ ჩინონიკები დადიან ხოლმე თავის ლამაზი ქალებით, რომელიც მომეწონება, წამოვიკიდებ მგელივით ზურგზედ და გავაძუნძულებ! ეგ როგორ იქნება?!

ავეტიქა (კატინას)

ნათლიდედ, სწორეთ ამბობ?

კატინა

სწორეს როგორ არ ვამბობ, ჩემი ძმა ჯერ სამჯერ ყოფილა ბატონთან და არ ანებებს!

ავეტიქა

ვა! რო არ ანებებს, რომელი საბუთების ძალით არ ანებებს?

კატინა

რა მოგახსენო, შენი ჭირიმე, მოახლეთ მინდაო...

ავეტიქა

ვა! ეგ რა ზაკონია! მაშ რომელი ქალიც მომეწონება, წავავლებ ხელსა, მოახლეთ მინდიხარ მეთქი, ჰა?..

გიჟუა (ლიზას)

წამოდი, სულოჯან, მოახლეთ მინდიხარ!.

საქუა

კაცო, რა დროს ეგენია? რა დროს ეგენია? ვაიიი!

ფიჩხულა

(ხელს თვალებთან მიუტანს)

ეეე! მუდრეგ!

გიჟუა

ჰო, რა იყო? რას მომცვივდით, გიჟები არიან ოხრები! წავიდეთ რაღა! ერთი დავტრიალდე, როგორც ფირანას ჯორი!..

ფიჩხულა (საქუას)

ვაი, მე იმისი ფათრეთი... მერე რას ამბობს, ბიჭო?

საქუა

რას ამბობს... არ იძლევაო!

ფიჩხულა

როგორ თუ არ იძლევაო? ეეე! რას ამბობ? წავიდეთ, ბიჭებო, ერთი დავაკერო! რო ასტამით ვერ აფხიკოს!

სოსანა

ვაი, მე იმისი... სული კი დაიქცა! (იმკლავებს). ერთი ჩავაფარო რომ სამჯერ მიჭკამალაყი გადაიაროს!

გიჟუა

ვა! ერთი თვალით დამანახვეთ, რის კაცია! მოდით, წავიდეთ რაღა. (მიდიან).

ავეტიქა

მაიცა,. მაიცათ, ტუტუცები ნუ ხართ მეთქი! რო მიდიხართ! სად მიდიხართ? ჯერ ისა სჯობია, ერთი ვინმე გავგზავნოთ, იქნება ქალს იძლევა...

კატინა (გააწყვეტინებს)

დიახ, ნათლიჯან, მეც აგრე მგონია. იმ სასიკვდილე მოურავს რაღაც ენა მიუტანია ჩემ ძმაზედ და იქნება შესაშინებლად წაგვართვა ქალი. აბა, იმას რათ უნდა?

საქუა (გაცხარებული)

რის შესაშინებლათ, მამა გიცხონდა შენცა! მაშ საცა ვინმე კნიაზმა გიბრძანოთ, ყველას მიეცით ქალი, მერე მე უნდა წავიყვანო?! წადი, უთხარ, ეხლავე გამოგზავნოს და თუ შენ ძმასთან საქმე აქვს, იმას მოურიგდეს, ქალისა რა ბრალია?! ერთი ეს მითხარ, მართლა უმიზეზოთ წაიყვანა?

კატინა

უმიზეზოთ, უმიზეზოთ, ტასიას გაბედნიერებამ.

საქუა

მაშ წადი! მორჩა .. რაღასა დგეხარ?

გიჟუა

დედიჯან, ესე უთხარი იმ კნიაზს: შეითან ბაზრიდან პრისტავები მოსულან, შენი ნახვა უნდათ-თქო!

ფიჩხულა

თუ ქალი არ დაგანებოს, ღვდელს დაუძახოს და ეზიაროს! უთხარ, სულთამხუთავები შენ სანახავად მოსულან-თქო.

საქუა

კარგია, თუ ღმერთი გწამთ, რა დროს ეგენია! გაუშვით, წავიდეს. (კატინა გადის).

გიჟუა (საქუას)

რა ყურები ჩამოყარე უხეირო ჯორივითა, შენი პატრონიცა!.. რა მოხდა, რა არის? იმაზედ ხომ მეტი არ მოგვივა, ორთაჭალაში რო გვთელეს?! რა ძალიან ცოტა მოგხვედრია შენცა!.. ჩვენი ხორცი ისე გამაგრებულია, რომ სოლუა ყასბის მჭრელი ხანჯლითაც ვერას დააკლებ! წავიდეთ, ასე მიულეწო სახლ-კარი, ვინც შავიდეს,

დაბახანა ეგონოს!..

ავეტიქა

ბიჭო! რა ძალიან ტუტუცები ხართ! მიულეწო რა! შენი აშენებულია?! ერთიც ჭკუა მოიგროვეთ მაგ ოხერ თავებშია და! ხომ იცით! ეხლა ქვეყანაზედ ზაკონები არის? ზაკონმა თუ გაამტყუნა, ციმბირს იქით რომ ქვეყანაა, იქაც გაგზავნიან!.. გესმით, რას გეუბნებით? იქნება ის კაცი მართლა ხუმრობს და თუნდ არცა ხუმრობდეს, მაინც კიდევ ტკბილი სიტყვა უნდა... და თუ კიდევ არა გახდა რა, მაშინ მე ვიცი, რა ზაკონებიც ვთქომ. სუდში!..

საქუა (ყვირის)

რას ამბობ, კაცო, რას? ცოლი წამართო, ცოლი!.. მე იმას ტკბილ სიტყვას ვეტყვი? დედაკაცი ვარ?! არა, მე უნდა

წავიდე. (მიდის ჩქარა)

გიჟუა (ჩოხის კუდში წაავლებს)

მოიცა, საქულიჯან, მოიცა!.. სად მირბიხარ, რომ მირბიხარ? მე აქ ვიყო და შენ ადგილიდან ფეხი მოგაცვლევინო! რა გაჭირდა ისეთი? ერთი კაცი არ არის?! ოსმალოს ზარბაზანი ხომ არ არის?! თუ ჩხუბზედ იქნება... მოვიდეს, სპილოა, თუ რკინის კაცი, რომ დავარტყა!.. მაგრამ ეგრე არ იქნება, ჩემო ძმაო, ავეტიქა მართალს ამბობს: ჯერ წყნარათ ველაპარაკოთ და თუ არა გამოვა რა, მაშინ შენ მიყურე, რას ვშვრები! შემოხედე! (მუშტს უჩვენებს) ერთი დავადო თავში, რომ კამბეჩები დაინახოს, პირჯვარს იწერდეს!

სოსანა

ჰო საქულიჯან, ეგრე სჯობიან და თუ ვერაფერი გავხდით,

ხომ იცი ჩემი ამბავი: იმ წამსვე ასლანას გიჟი ყოჩივით დავეტაკები!...

ფიჩხულა

მაშ მოდით, ვინმე გავგზავნოთ, ჯერ შენ ნუ წახვალ, საქული!

ავეტიქა

მე წავალ. მაგისთანა ტუტუცი კნიაზების დაჭკვიანება მე უფრო ვიცი: ერთი-ორი სმეშნოი რამე უთხარი და მერე, თუ გინდა, ბურთივით ისროლე! მე მითომ არაფერი არ ვიცი, ვთხოვ, რომ ქორწილში გვეწვიოს, ამიტომ რომ შარცხვება და იქნება ქალი მაშინვე ჩუმათ გამოაქციოს. ქორწილში ისიც კარგათ დავათროთ და (გიჟუას) მერე შენ იცი, ტუტუცების უსტაბაშო! - შენებურათ რამე შარი მოუდე და ასე დანაყე, რომ ძვალი და რბილი

ჰარისასავით აერიოს!.. მაგრამ ჯერ კი გთხოვთ, თუ საქმე იყოს, სულ ტკბილი სიტყვა უთხარით, მაგითი ჩვენ არ წავაგებთ. თუ დაუყვირებთ, რა გამოვა, ის უარესათ დაგვიყვირებს, ამიტომ რომ იმას უფრო მსუქანი ჰოპოპები ეყოლება - კნიაზი არის!..

გიჟუა (უცბად ფანჯარისკენ)

ვა, ეს რა ამბავია, თავ-პირ დამტვრეული კაცი მორბის!

კატინა (შემოვარდება)

მიშველეთ, გენაცვალეთ, ჩემი ძმა მოჰკლეს!

ყველანი

(გაცვივდებიან ხმაურობით).

ფარდა

მეორე მოქმედება

სცენა წარმოადგენს დავითის კაბინეთს მორთულს, ფარდა აიხდება, სცენა ცარიელია. დავით და ზაქარია შემოდიან.

პირველი სანახავი

დავით და ზაქარია

ზაქარია (ლაპარაკით შემოდის)

ძალიან კარგათ მოგიწყვია ზვარი, მაგრამ ცოტა ფართო ხეივნები რომ დაგეტოვებინა, უფრო კარგი იქნებოდა.

დავით

არა, ზაქარ დავიდიჩ, ხეივანი ამაზედ ფართო აღარ შეიძლება; მაგრამ ამას თავი დავანებოთ... მე მინდოდა შენთვის რჩევა მეკითხა შესახებ მამულის შემუშავებისა ბოლონდელ ახალს სისტემაზედ...

ზაქარია

დიდის სიამოვნებით! მაგრამ კი არ გირჩევ, რომ ძველ ვაზებს ხელი ახლო ზვარში... ახალს თუ ჩაჰყრი, სულ სხვა არის, ამიტომ რომ...

დავით

რასაკვირველია! ძველებს ხელსაც არ ვახლებ. რაღა დროს იმათი წვალებაა, ადამის ჟამისა არიან!.. ერთხელაც ვცადე ახალი დარიგება და ხუთი ასეთი სააბის ვაზი გამიხმა, რომ მთელ ზვარს მერჩივნა...

მეორე სანახავი

იგინივე და კოხტაია

კოხტაია (შემოდის).

ბატონო! ვინცხა ქალაქის ხალხია და თქვენი ნახვა ქე უნდათ.

დავით

როგორ თუ ქალაქის ხალხი, ვინ არიან? როგორ აცვიათ?

კოხტაია

ასთე, ბატონო, შავი ჩოხები აცვიათ, მარა მთლა გაბრწყინებული, და ზოგს მისთანა ვუშველებელი ქუდი ხურავს, რომ ასთე მეგონა, მთელი ცხვარი დოუდვია თქო

თავზე! მე მითხრეს, შენი ბატონი შინა ბრძანდება თუ არაო?

დავით

არა უთქვამთრა, რა გვინდაო?

კოხტაია

არაფერი, ბატონო, ისთე ვუნელებელი დამართებიათ, რაცხა ქეიფზედ არიან; ზოგი მისთანა კივა, რომე ყურები მთლა წეიღო! არა კაცი ჭკუაზედ არ არის... თითქო ჯამროობენ...

დავით

არ მესმის, ვინ იქმნებიან! წადი, ბიჭო, მოურავს დაუძახე და იმათ უთხარი მომიცადონ...(იქით) კოკა ამ ერთზედ კი

არ გატყდეს!! ფიქრი არ არის!...

კოხტაია

ა, ბატონო, ახლავე გაახლებ. (გავა)

მესამე სანახავი

იგინივე, გარდა კოხტაიასი

დავით

არ ვიცი, რა ენდომებათ! (იქით) მე იმათ სიბრიყვეს არ დაუთმობ და მგონია, საქმე კარგათ არ წავიდეს. (ჩაფიქრდება).

ზაქარია

შენ, დათიკო, როგორღაც შეფიქრიანდი! იმისთანა ხომ არაფერი არ არის, რომ...

დავით (თავგამოდებით)

არაფერი! ისეთი რა უნდა იყოს! უთუოთ ამ შეჩვენებულ ჩემ ბიჭებთან ჩხუბი მოუვიდოდათ და საჩივლელად თუ მოვიდნენ ჩემთან...

მეოთხე სანახავი

იგინივე და მოურავი

მოურავი

დილა მშვიდობისათ, ბატონო! რას მიბძანებ, შენი ჭირიმე?

დავით

შენ, ნიკო, რატომ კარგათ არ ჩაგიცვამს, ვერა ხედავ, როგორი სტუმრები მოგვსვლია: კოხტაია ამბობს, მთლათ ბრწყინავენო! (ჩაიცინებს)

მოურავი

თუ არ დაგიშლიათ, ეგენი ნუ მომიკვდებიან, პონპოლიკის სერთუკს ჩავიცვამდი! ჩემი მორთვა ეს არის, შენი ჭირიმე, მტერსაც ამითი დაუხვდები და მოკეთესაც!..

დავით

ხუმრობა გაშვებით და მე იმიტომ დაგიძახე, შეიტყვე, ვინ არიან, ან რა უნდათ?

მოურავი

მე მგონი, შენი ჭირიმე, ჩვენი ფილიპეს სასიძოა თავის მაყრებით. არ ვიცი, სწორე მოგახსენო...

დავით (შემკრთალი)

ფილიპეს სასიძოვო!! (ფიქრობს) უთუოთ საქორწილოდ მოსულან! შენ წადი და ჰკითხე. რა უნდათ, ხომ არ გიკითხავს? სანამ მე ოთახში შევალ და ტანისამოს ჩავიცვამ. (დავითი თავის ოთახში და მოურავი შუა კარით გავლენ).

მეხუთე სანახავი

ზაქარია, მერე მოურავი

ზაქარია (დადის)

ჩემს მეგობარს, ცოტა არ იყოს, თმები აეშალა. აქ რაღაც

ამბავია! ვნახოთ, რა იქნება. დათიკო როგორღაც გადაკვრით მელაპარაკებოდა, როგორღაც აღელვებული იყო!..

მოურავი (შემოდის)

აბა... ბატონი სადა ბძანდება შენი ჭირიმე?

ზაქარია

აქ არის ოთახში, რა ამბავია?

მოურავი

არაფერი, შენი ჭირიმე, იმისი ნახვა უნდათ.

ზაქარია

მოურაო! მე ვერა გავიგე რა, აქ, მგონია, რაღაც ამბავია! მითხარი, რა საქმე აქვთ? შენი ბატონი ძალიან შეფუცხუნდა...

მოურავი

აი, შენი ჭირიმე, რა არის: ბატონმა სახლში შემოიყვანა გოგოთ თავის ყმის ქალი; იქნება ნახეთ კიდეცა, კაი თვალჩინიანია, ღვთის წინაშე... თურმე ნუ ბძანებ, შენი ჭირიმე, ის გოგო დანიშნული არა ყოფილა ერთს ქალაქის ბიჭზედ! იმისმა მამამ გვითხრა, მაგრამ ბატონმა არ დაუჯერა... ეხლა საქმრო მოსულა ამქრით და ნამზადისით და ჯვარის წერას აპირებს, ქალი კი მაგასა ჰყავს! ნეტავი ეხლა მაინც დაანებოს! შენ გენაცვალე, შენ მაინც დაიყოლიე როგორმე; შენ ძაან უყვარხარ და გაგიგონებს კიდეც, თორემ ე ქალაქის ბიჭები ერთს რასმეს ნავნებს გვიზმენ.

ზაქარია (გაკვირვებით)

Вот человек! (დადის) კარგი ამბები ყოფილა!.. კიდევ ძველი რჯული მოიგონა?!

Читай ему нравственные уроки, კედელს ცერცვი შეაყარე, სულ ერთია!.. (მოურავს) აბა, მაგას იმტელი უფლება ვინ მისცა ეხლანდელს დროში, რომ ძალით მამას შვილი წაართვას და ნებაც არ მისცეს გათხოვებისა?! ის სულ სხვა დრო იყო, როდესაც გოგო-ბიჭებს ოცდახუთ მანეთად ჰყიდდნენ და ძაღლის მომყვანებს ჯილდოთ ურიგებდნენ!.. ეხლა ბატონობა აღარ არის! ეხლა ყველა თავის თავის ბატონია!

მოურავი

რა ვიცი, შენი ჭირიმე, მაგას ასე ჰგონია, კნიაზი რო ვარო, მტყუანიც რომ ვიყო, გამამართლებენო!

ზაქარია

უკაცრაოთ! სამართლის ქვეშ კნიაზი და გლეხი სულ ერთია... ამისთანა საქმეს სამართალი სასტიკ ყურადღებას აქცევს და, თუ შინაურულად არ მოვახერხეთ საქმე, კარგათ დაისჯება ჩემი მეგობარი!

მოურავი (თავის ქნევით)

ოხ-მე! რა გინდა, ძმაო, აუტკივარ თავს რაზედ იტკივებ ძალათი? ქვეყანა შენს ხელთ არის და ე მაგ უბრალო საქმეზედ კი უნდა შერცხვე კაცი! ვაი, შენ ჩემო თავო!..

ზაქარია

ეგრეა, ჩემო ძმავ!.. წადი, დავითს დამიძახე, მოველაპარაკო...

მოურავი

ეხლავე, შენი ჭირიმე. ეცადე, იქნება როგორმე დაიყოლიო. (მიდის).დახე, დახე, წელმოწყვეტილი ფილიპეს გოგო რა ოინებს შვრება... (გადის).

მეექვსე სანახავი

ზაქარია და მერე ავეტიქა

ზაქარია (დაჯდების)

ყოჩაღ, დათიკო! კარგი ამბები ჩაგიდენია! თითქო ხურმა იყოს, კაცს შვილი წაართვა!.. ძალიან კარგი! მერე ამ დროში, როდესაც ესეთი სასტიკობა არის სასამართლოში... Молодец, право, молодец! Я не понимаю, как человек может довести себя до такой низости!

ავეტიქა (შემოდის, ქუდი იღლიაში)

Драсти, господин, добри утра!

ზაქარია

გაგიმარჯოს.

ავეტიქა

Вы сами князь?

ზაქარია

არა, მე არა ვარ, კნიაზი მოვა ეხლა.

ავეტიქა

Очень спасибо! видна, ви ростве́никъ наши князу?

ზაქარია

ჰო, მე იმისი მეგობარი ვარ.

ავეტიქა

ძალიან კარგი! მე გახლავართ ავეტიქ გასპარიჩ სარქისოვი. (ხელს აძლევს). მე ეხლა იმიტომ მოვსულვარ, ერთი კარგი სლუჩი არის: ჩვენი საქუას ქორწილი ვშვრებით და თუ შეიძლება, ერთი გვეწვიეთ თქვენ და კნიაზი, რაზუმეიცა, თუ დასტოინი ვიქნებით!

ზაქარია

რატომ, შეიძლება.

ავეტიქა

ეს სლუჩის საქმეა. ახლა ჩვენი პატარძალი კნიაზის ყმის ქალი ყოფილა. ეს ჩვენი საქუაც ერთი კეთილი ვინმეა, ამბობს თუ, კნიაზიც დავპატიჟოთ ქორწილშიო, სირცხვილიაო...

ზაქარია

აი მოვა და უთხარით. (სიჩუმე).

ავეტიქა (ზაქარიას უყურებს)

Господин, скажи, пожолуста, ви какой служба чалкавек! я один время какой то места видал вас, ჰამა не помним! (იღიმება).

ზაქარია

Я служу по таможенной части.

ავეტიქა

აააა! დამოჟნი ჩასტ! Энт, катори на параходу? Знаим, знаим!...Помнишь ви, господин, когда я и мой сестра сын, Геурк, из Адеса товар принос ваши даможна, и когда ви смотрил и написал наш товар, я ფეშქაშ принос тебе три фунт чай, думил деньги не вазмош, ჰამა рублей взял! (იცინის).

ზაქარია (წყრომით)

ეგეთი წესდებულება არის, რომ ყველას უნდა გამოერთოს ფული! მე ჩემთვის არ გამოგართვით, ის ფული არის დამოჟნის კასისა...

ავეტიქა

ვიცი, ვიცი! ვა! Зачим серчаишь? აბიჟაიტი რათა შვრები? ვნიმანიე აბრაშჩატიც არ უნდა ქნა! ვაიმე! ვაიმე! Я рази такой чалавек! так я гаваримь ვა Как же время праведом?

მეშვიდე სანახავი

იგივნივე და დავით, კაპიტნის მუნდირით

ავეტიქა (ზაქარიას დავითზე)

Это сами князь?

ზაქარია (თავს უქნევს)

ავეტიქა (დავითს)

დრასტი, ვაში სიატელსტვო!

დავით

გაგიმარჯოს, რა გნებავს? (დივანზე დაჯდება)

ავეტიქა

ვაში ზდაროვია! კაკ ჟივოშ, ნაშ კნიაზ?

დავით (ცივათ)

გახლავართ!

ავეტიქა (ღრეჭით)

ველარ მიცან, კნიაზ? მე ხომ ავეტიქა ვარ!

დავით

ეგ სულ ერთია. რა საქმე გაქვთ?

ავეტიქა

ეხლავე, ეხლავე მოგახსენებ. მე მოვსულვარ ერთი კარგი სლუჩის გამოისობით: უნდა ქორწილში წავიღოთ შენ და შენი ამხანაგი. ჩვენი ემიანთ საქუა არ არის, თქვენი ფილიპუას ქალი ირთამს...

დავით

მერე ქალი სად არის?

ავეტიქა

ფილიპუა ამბობს თუ, თქვენ ოჯახში არის!..

დავით

არის და იქვე იქნება.

ავეტიქა

ვااااა!

დავით

რა ვა?

ავეტიქა

ვა, საქუას, კნიაზ?

დავით

ვირის თავფეხი!

ავეტიქა

ვა, ეგ როგორ იქნება?

დავით

ისე იქნება... სხვა რას იტყვი?

ავეტიქა

ჯერ რასაც გეუბნები, იმისი რა პასუხი იძლევი რომ სხვაცა ვთქო?

დავით

იმ პასუხს ვიძლევი. რომ ბევრს ნულარ ილაპარაკებთ: ის ქალი ჩემთან არის მოახლეთ, და აქვე დარჩება. თქვენ როგორც მოსულხართ, ისევ ისე წაბძანდით!

ავეტიქა

ვა, ეგ როგორი სიტყვა არის?.. ეჰ, რას ხუმრობ. კნიაზ, გული გამიხეთქე?

დავით

ტყუილათ გული ნუ გისკდება, მე მართალს გეუბნები!

ავეტიქა

მართლა არა ხუმრობ? (ღრეჭით) როგორ არა, ხუმრობ! აბა ერთი გაიცინე, კნიაზ! (ზაქარიას) ახლა სომეხი რომ ვარ, უნდა შემაშინოს!.. რა მასხარა ხარ. კნიაზ. მაგრამ კარგი გული კი გაქვს!..

დავით

Что ты толкуешь! რის ვმასხარაობ, მე მართალს გეუბნები!..

ავეტიქა (ვითომ გულმოსული)

Как можна такой дела что вы говоришь! Такой правизия принос, такой народ принос, теперь говоришь женчина не вазмошь, куда теперь пайдом?

დავით (მკაცრად)

ჯანდაბას იქით გზა გაქვს!

ავეტიქა

ჯანდაბას ავი კაცი წავიდეს, მე რა მინდა... я лучши знаим, куди пойдом! Теперь закон, знаишь? Атчего не даиош женчина, твой сын штоли? Когда их атец гаварит вазми, гаварит, мой сын, тебе какой дела?!

დავით

ხმა ჩაიწყვიტე, თორემ პანჩურით გაგაგდებ!

ავეტიქა (უკან დაიწევს)

ვა, შენ რომ არ გამაგდო, განა მე ვერ გავალ.

დავით

მაშ გეეთრიე, გესმის?

ავეტიქა

მე წავალ, მაგრამ სამართალს პასუხს მისცემ! ამისთანა ბუნტი შვრები, რა ამბავიაო! ნახამ! (იქით) შენ მგონი არ იცი, რომ შეითან ბაზრიდან მთელი ბატალიონი მამიყვანია! (მიდის). კნიაზია რაღა! ვაი, შენი ცარიელი

თავის ბრალი! ერთი შენისთანა კნიაზები ხუთი რომ არ ვიყიდო, მაშ ავეტიქას სიყმე მოკვდეს...

დავით (შეუტევს)

დაჩუმდი, შე არამზადავ!

ავეტიქა (კარებიდან)

ერთი ეს მითხარ, კნიაზ: შენი თავი უფრო ცარიელია, თუ ჯიბე?- მგონია ორივე... დაიცა, შე კლაუზნო, დაიცა! Я тебе пакажим. (გავარდება).

მერვე სანახავი

იგინივე, გარდა ავეტიქასი

დავით (გაჯავრებული დადის)

სუდით მაშინებს! რო მემუქრება კიდეც!!

ზაქარია

მართალს ამბობს! არა, რა უფლება გაქვს შენ, როგორც მითხრეს, სხვის ქალი დაუჭირო? თუ გიჩივლებენ, ძალიან კარგათ მოიქცევიან, მერწმუნე!

დავით

მიჩივლებენ და რას წაიღებენ?

ზაქარია

საქმე იმაშია, რომ წაიღებენ, თორემ მე რა მაჭიჭინებს!

დავით

ღვთის გულისთვის მაგ ლაპარაკს თავი დაანებე! ჩემი საქმისა, მე თითონ ვიცი... ჩემი ნებაა და მე მინდა ქალი!

ზაქარია

მართლა, რომ ჯიუტი კაცი ხარ!.. აბა, ერთი მითხარი, უცოლშვილო კაცს მოახლე რათ გინდა, ცოტა ბიჭები გყავს? ისიც უბედურებაში სდგები, დანიშნულ ქალს ართმევ უღონო გლეხს, - ამაზედ უკანასკნელი, მგონია, არა იყოს რა!! არ ვიცი, რომელი კანონის ძალით იქცევი ეგრე? Удивляюсь, как человек не догадается!

დავით

აბა. რა გაჯავრებს? ჩემთან სასიამოვნოთ მოსულხარ და დროს გასატარებლად და არა საჩხუბრად... შენ ცოტა ხანს გაისეირნე ბაღში, მე მაგათ ეხლავე მოვიშორებ...

ზაქარია

როგორ არ მაჯავრებს, ყმაწვილო, აბა მაგას რას ჩადიხარ? მე როგორც მეგობარს, გული მეწვის, თორემ რა მენაღვლება. რაც გინდა, ისა ჰქენი, შენი ნება არის! მე კი გირჩევ, მისცე ქალი და ხიფათს თავი გადაარჩინო. (გავა).

დავით

ამ ყმაწვილმა უფრო ილაჯი წაიღო! საკვირველია, ღმერთმანი, იმდენი როგორ არ ესმის, რომ თუ ამათთანა ხალხს თავი არ ვაჩვენე, ძაღლათაც არავინ ჩამაგდებს!.. ვაი, შენ, ჩემო თავო! ზაკონები ვიციო! ის კი აღარ იცის, თუ მე რა ძალა მაქვს! (დაჯდება).

სანახავი მეცხრე

იგივე, გიჟუა და მერე ავეტიქა, საქუა, ზაქარია,

მოურავი და კოხტაია

გიჟუა

(შემოვა, ქუდს მოიხდის და ისევ დაიხურავს).

ბატონს გაუმარჯოს!

დავით

რა გნებავს?

გიჟუა

შენი სიცოცხლე, გენაცვა, რა უნდა მნებავდეს!

დავით (პაპიროზს უკიდებს)

არა, მაინც?

გიჟუა (იქით)

ჩემთან კი ცოტა წყნარათ იყავი, თორემ მე ცოტა ჰოპოპებიცა მყვანან: ასე გაგიწეწამ მაგ ბურტყლებს, ნაბუარი აგდიოდეს! (იმას) ცოტა საქმე გვაქვს შენთან, შენი ჭირიმე, კნიაზ!

დავით (ცივათ)

მითხარი, რა საქმე გაქვს?

გიჟუა

დღეს, შენი ჭირიმე, კნიაზოჯან, ჩემი ძმა-ბიჭის ბედნიერების დღეა... ერთი გაგვაპატიოსნე შენი მობრძანებით გენაცვალე, კნიაზ, ისეთ დროებას

გაატარებ, როგორცა გსურს! რა ვქნათ, ერთი საწყალი ბიჭია, ნუ აწყენინებ...

დავით

რა ბედნიერების დღე? რა, ორდენები მიიღო?

გიჟუა (სიცილით)

ხუთი ერთად, შენი ჭირიმე!.. აი ოხრათაც დარჩეს, რაც ქვეყანაზედ ორდენებია... რათ გვინდა, რა თავში ვიხლით!.. (თითებზე სთვლის).ჩვენი ორდენი ეს არის: ნახევარი თუნგი წითელი ღვინო, შაურის წვანილი, ერთი ბაზრის პური, პატარა ახალი ყველიც... აი ყველა

ორდენს ეს მირჩევნია!

დავით

თუ გაქვს რამე სათქმელი, სთქვი და გაათავე, თუ არა და მე არა მცალიან, სტუმრები მყავს! ..

გიჟუა

ძალიან კარგი, გენაცვა, რაღა გაჯავრებს? მოგახსენებ, შენი ჭირიმე! დღეს ჩემი ძმა-ბიჭი ქორწილს აპირებს, ქალი თქვენთან არის. გთხოვთ, ქალი გვიბოძოთ, ჯვარს დავწერთ და კაი დროებაც გავატაროთ, მერე წავიყვანთ სახლში. აი, გენაცვა, ჩვენი საქმე.

დავით

მაშ მეტი არაფერი? მე დიდი ხანია პასუხი მივეცი შენს ამხანაგს, შენ რაღათ ირჯებოდი?

გიჟუა

ძმა ბიჭისთვის ციმბირშიაც წავალ. მითომ რატომაც არ გავირჯებოდი?

დავით

ჰოდა აკი გეუბნები, პასუხი მიცემულია!..

გიჟუა

რა პასუხი, გენაცვალე? ეს ხომ ისეთი საქმე არ არის, რომ სლუჩის საქმე იყოს; ეს საქმე ნეპრემენი საქმეა.

დავით

რას მიჰქარამ! მე შენი არაფერი მესმის!

გიჟუა

რას უნდა მივქარამდე, შენი ჭირიმე? მე მოგახსენებთ, რომ სულ მზათ გახლავართ და ჯვარის წერას ვაპირებთ, - ნეუჟელი არ გესმის?

დავით

აპირებთ და წადით და დასწერეთ ჯვარი! მე ხომ ღვდელი არა ვარ, ჩემთან რომ მორბიხართ!

გიჟუა

ვაი! ამისთანა ხათაც იქნება! რა ეშმაკზედ უნდა დავწეროთ, ქალი შენ სახლში არის.

დავით

რა ეშმაკზედაც გინდათ, დასწერეთ! მე წეღანვე უთხარ შენს ამხანაგს, რომ ის ქალი აქ უნდა იყოს, ჯერ კი მე

მინდა და მერე არ ვიცი...

გიჟუა

როგორ, გენაცვა? რას ამბობ? სწორეთ შეგვატყობინო, შე დალოცვილო, იქნება რა საქმეა, მაშ არ ვიცოდეთ!..

დავით

შენ ნუ მომიკვდები, თუ არ დაგიშლია, ახლა დაწვრილებით მოგიყვები!.. მაგ ქალს ხელს ვერავინ ახლებს!

გიჟუა

რა მიზეზია?

დავით

რა მიზეზიც არის, ეგ მე ვიცი, არ გამეცლები?

გიჟუა

სად უნდა გაგეცალო? შე დალოცვილო, ქრისტიანულად მელაპარაკო! რო ჯავრობ, რას ჯავრობ?!

დავით

ბიჭო! მე შენ გთხოვ, გადი აქედგან! მე შენი თავი არა მაქვს.

გიჟუა (იქით)

გიჟია, ვირის თავი! ვაი! ერთი დამაფარებინა ამისთვინ ფათრეთში. (იმას) გადი რა, ძაღლი ვარ? თუ ქრისტიანი ხარ, ნუ გვაბანდებ! გაიგონე, რას მოგახსენებ და: ამოტელა ხარჯი გვიქნია, ამოტელა სტუმრობა

მოგვირეკია: აქ ცალკე მოყვრებს ამოტელა ხარჯი აქვთ, ვამბობ, რა არის ერთი რიგიანი ქორწილი ვქნათო და შენ კი ქალს არ იძლევი, ნეტავი შენი რა არის? საწყალ ბიჭს ცოლს ართმევ, ღმერთი არ არის? აბა ეს როგორი საქმეა?

დავით

ვისი ცოლი, რას მიჰქარავ? როდის დაუწერია ჯვარი?

გიჟუა

კნიაააზ! თუ შენ ხუმრობ, ჩვენ სულ არ გვეხუმრება. ჯვარი რომ არ დაუწერია, მაშ ცოლი არ არის? დანიშნული ხომ იყო, ჯვარსაც ეხლა იწერს, ვსეროვნა არ არის? მაგ ქალს მაინც ვერავინ წაგვართმევს, გინდა ანტე ქრისტე მთლათ თავის ტარტაროზებით დაგვეხვიოს!.. მაშ რა გეგონა? წყნარათ რომ გელაპარაკები იმიტომ? ცხვარი - ცხვარია, თუ გაცხარდა ცხარეაო! მე ეხლავე დაგიმტკიცებ,

რომ ჩვენი კაცი თავის დღეში თავის სიტყვას არ გადავა. (იქით) გიჟია ყურუმსაღი, ვაი!..

დავით

ნუ გადახვალ და აბა ვნახოთ, როგორ დასწერთ ჯვარსა!

გიჟუა (დოინჯს შემოიყრის)

მითომ რატომაო?

დავით

Убирайся к чорту! გადი, გამეცალე თავიდგან.

გიჟუა

კაკ უბირაის? ჩორტთან არა ვარ, სადღა უნდა წავიდე?

დავით

შენ ცოტა ენა დაიმოკლე, თორემ თრევით გაგიტან!

გიჟუა (დაცინვით)

ვისა? ვისა? მე? პირჯვარი დაიწერე, არა მოგელანდოს რა...

დავით (შეღრიალებს)

არ დაჩუმდები, შე ღორის შვილო?

გიჟუა (თითს უქნევს)

ჰა, ჰა! ფთხილათ! ფთხილათ, თორემ გავაფრინე...

დავით (ყვირის)

მე შენ გეუბნევი, იმ ქალს ვერ წაიყვან! არ გესმის?

გიჟუა

მითომ რა გაღრიალებს? ძალით კი არა, სამართლით წავიყვანთ.

დავით

ძალით შენ ნუ მომიკვდები, კისერი არ მომგლიჯო!

გიჟუა

ეგრეც რომ იყოს, მითომ რა ძალიან საკვირველი იქნება შენი კისრის მოგლეჯა!. რა ძალიან ჰყვირი? რა მინდაო? მითომ კნიაზი რომ ხარ, შემაშინებ? (გულზე ხელს იდებს). ოჰ, გული არ მიკანკალებს შიშით!.. ტეპერ კნიაზ ნეტუუ! ტეპერ ზაკონ, ზნაიშ? პრავდა, ნეპრავდა და ნა მეტეხუ

პაშოლ... მაშ შენ რა გეგონა? ჩვენ ესენიც ვიცით, ვის ელაპარაკები, ვის: შენ ყარაჩუღელი გიჟუა გაგიგონია?!.თხუთმეტჯერ რომ ციხის საყდარში ტარასტათ იყო... შენ ესენი იცი? შენ ღმერთს მადლობა უთხარი, რომ მე სამართალი მახსოვს და არ მინდა საქმე გავაფუჭო, თორემ იცი, რას გიზამდი? (თვალებს დაუბრიალებს). ისე გაგაპტყელებდი, როგორც ჯვარი მამის ლავაში!

დავით

მე შენ გეუბნები, გარეთ გაეთრიე მეთქი, თორემ დაგახვემ ბიჭებსა და სულ ლუკმა-ლუკმა დაგაგლეჯინებ!

გიჟუა (დაცინვით)

ზოგი შენ ღმერთს აპატივე! . ხომ არ გინდათ, ხელათ ანდერძი აგიგოთ ბიჭიან-ბატონიანათ? რას მიყურებ,

კარგი ბიჭი არა ვარ? წადი თუ გინდა მთელ ბატალიონს დაუძახე, მეშინიან?.. ზოგი ჩემ ფუთიანსაც შემოხედე და! (მუშტს უჩვენებს).

დავით (წამოხტება და ყვირის)

ნიკო! მოურავო!

მოურავი (შემორბის)

ბატონო, შენი ჭირიმე?

დავით

გამაშორე ეს ვიღაცა ოხერია, თორემ მეტი არ შემიძლიან!

მოურავი (გიჟუას)

შენ, ეი, რას აწუხებ ბატონს? გამო, გამოეთრიე. თორემ ნახამ, თუ რა მოგივა!

გიჟუა

(ჯერ მოურავს დააცქერდება, მერე პუბლიკას)

ერთი შეხედეთ, თქვენი ჭირიმეთ: ხორველის ანგელოზს არა ჰგავს! (იცინის).

მოურავი (ხელს მოჰკიდებს)

შენ გეუბნებიან, არ გესმის, გამოდი მეთქი გარეთ!

გიჟუა (გვერდზე გადახედავს)

შენ, ეი! ელიზბარივით რომ დაგსიებია ეგ თავი, იქით დამეკარგე, თორემ ისეთს ჩაგაფარებ, იარმუკა კოჯორი

გეგონოს! ხედამ ამას, ცხვრის თავს რომ ჰგავს! (მუშტს უჩვენებს)

მოურავი

ახლა საქმეს ნუ გააჭირებ, თორემ ისე გაგიხდი მა გაზებს, სულ ლეკური გათამაშო!

დავით

არ გადის? მოურავი, წადი, იმერელსაც დაუძახე, ასწიეთ და ისე გაიტანეთ!..

მოურავი (გარბის)

გიჟუა

ასწიეთ?! არა, ბარდახინს დაუძახეთ და იმითი

გამიტანეთ!.. მერე მე მკვდარი ვარ? ხელები გაჭირავებული მაქვს? (მოურავი და კოხტაია შემოვლენ).

მოურავი

ახლა კი დაიძარ, შვილო, თორემ მოვიდა შენი აღსასრულის საათი!

გიჟუა

იქით დაიკარგე, შე მაჯლაჯუნავ, თორემ სისხლი ყელში მოვიდა, ჰაა!

კოხტაია

უბედურს ეს რა ვუნელებელი დამართებია! რავა იჭყანება! რა თავს იგდებ, უბედურო? (ცხარეთ) რათ არ გინდა, შენის ნებით გახვიდე? გადი! არ გესმის? გადი!! არ

გახვალ და აწი მიყურე, რას ვშობი! (იმკლავებს და მერე მკლავს დაუჭერს). გამო მეთქი, თვარა გაჩვენებ...

გიჟუა (იქით)

ერთი ამას უყურეთ, როგორ მეწევა და! (თვალებს გადაუბრიალებს), იქით დამეკარგე, თორემ ასეთს პანჩურს ამოგკრამ, თათრის მეიდანზე დაეცე!

კოხტაია (ხელს გაუშვებს),

შენ ძაან თავს იგდებ, უბედურო! გასწი, თვარა მთლა დაგაბდღვნი მა თავ-პირს!..

გიჟუა

მე თქვენთვის გამომიცხადებია, ჯერ წადით, ყველანი ეზიარენით, მერე ისე მელაპარაკეთ! (შეუტევს კოხტაიას,

ის გადახტება). ერთი ამ ჯოჯოს უყურეთ, რა ამბავშია და!

დავით (ყვირის)

არ გადის? მაშ დამაცადე! წადი, ბიჭო, ხმალი გამომიტანე!..

კოხტაია (გარბის)

დავით

ისე აგკუწო, როგორც კატლეტი!..

გიჟუა

რომელი კათლეთი? რუბლინი? არა, ბიშტიკი არა გნებავს?

მეათე სანახავი

იგინივე, ზაქარია და კოხტაია, მერე ავეტიქა და საქუა

ზაქარია (შემოდის, უკან მოსდევს კოხტაია).

რა ამბავია, რა ამბავია? Что такое?

გიჟუა (დაცინვით)

Ничаво! Князь катлет хочит, да повар не принос!

დავით

ეს ვიღაც ოხერი კინტო არის! შემოვიდა და აღარ გადის! Чорт его знает!

გიჟუა

Чорт твой башка знаит, панимаишь?! ჩემი ცოცხალი თავით

გავალ აქედან?! ან მე უნდა ვიყო ან შენ!.. ძმა ბიჭებს ჩემი იმედი ჰქონდეს და მე აქედან ცარიელი წავიდე?!

ზაქარია

მოიცა, ძმობილო, რა გაყვირებს?

გიჟუა

დალოცვილო! ტკბილი სიტყვა რომ არ გადის! მე რა ვქნა? ეგ რომ კნიაზია, დავუთმო? კნიაზიცა ვარ და პოლკოვნიკიცა! გაიგე თუ არა?

დავით (დაიღრიალებს)

შენ არ გესმის, გაჩუმდი მეთქი?! (იძრობს ხმალს, ზაქარია დაიჭერს; ბიჭები გიჟუას მისცვივიან, ის იმათ გაჰფანტავს).

გიჟუა (იმკლავებს)

გაუშვით! მაგის ფათრეთი კი დაიქცა! მე მაგის ხმლისა არ მეშინიან...(შემოდიან საქუა და ავეტიქა)

ავეტიქა (გიჟუას იჭერს)

ურის გნუმ, ტო? დადექ! თუ ქრისტე გწამს! მართლა რომ გაუშონ, ხომ თითო ხმალი გვატაკა!.. (ყვირის) კნიაზ! კნიაზ! ხმალი ნუ! თუ გინდა მუშტი იყოს! кулак! кулак!

საქუა (გიჟუას)

რას ამბობს?

გიჟუა

ილანძღება! რას ამბობს? გამიშვით! ერთი დავაკერო და

თუ ლაყე საზამთროსავით არ გასკდეს, ჩემი სიყმე მოკვდეს!..

საქუა

კნიაზ! იქნება გგონიათ, რომ შენზედ ხელი გავისვაროთ და საქმე წავაგოთ? იქ ჩამოგიყვანთ! იქ! იქ!.. თუ შენ ამ კინტომ (გულზე უჩვენებს) რა გიყოს და ნახამ!.. საწყალი კაცის წვალება შაიძელი? შვილი წაგირთმევია! ბატის ჭუჭულია?! აბა, ეხლა ჩვენ რა გიყოთ: კარგა დაგბეჟოთ! შენთვის არაფერია! ერთ კვირაზედ დაგავიწყდება: მაგრამ სამართალს მისცემ პასუხს! ასეთს მახეში გაჰყო ფეხები, რომ სულ თავი და ბედი იწყევლო!

ავეტიქა

ჰო, კნიაზ! კარგა ხანია, ვირის აბანო ცარიელია! ძალიან ხალვათათ იქნები!..

დავით

გამიშვით! გამიშვით! როგორ ავკუწო! (იჭერენ).

გიჟუა

გაგიშვებენ, მე ვიცი! მაგრამ შენი იღბალი, რომ არ გიშვებენ! .. მოდი! მოდი შენი ჟანგიანი ხმლითა, ერთი დაგადო მაგ თავში, რომ თვალები დაგიბნელდეს!

დავით

ერთი გამიშვით და...

გიჟუა (მაღლა)

ეს იცოდე კნიაზობა აღარ არის! რაც გინახავს ველარ ნახავ, კნიაზჯან!..

საქუა (გიჟუას)

წამოდი, ძმაოჯან, წამოდი! ქვეყანაა და სამართალი! სირცხვილიც არის, ამოდელა ხალხმა მაგაზედ გავისვაროთ ხელი! (მიდიან).

ავეტიქა (დავითს მიუახლოვდება)

კნიაზჯან! თუ მაგის მეტი სვინდისი არა გქონდა, წინათვე მეტყოდი, სულ არ შემოვიდოდი შენს სახლში! (მიაფურთხებს). ფუ! შენ კაცობას! Ах, ты галанцкий скатин. (გაიქცევა).

დავით (გამოუდგება)

დაიჭით! ბიჭებო!..

ავეტიქა (მირბის)

მიშველეთ, ბიჭებო, მიშველეთ! მომკლეს!..

(ყველანი გაიქცევიან)

ფარდა

მესამე მოქმედება

სცენა: მორთული ზალა დავითის სახლში, სცენაზედ არის კოხტაია და ტილოთი სკამებს ასუფთავაბს.

პირველი სანახავი

კოხტაია

იმე! ეს რა ჭირში ჩავარდა ჩემი ბატონი! თქვენი მტერი წამხდარა, ის წახდა!.. ძალით რთავენ საწყალს მისს გოგოს! მერე ვინ, ქე აღარ იკითხავთ? ვინცხა პლუტი

მაწანწალა ქალაქის პაჟარნები! «სამართალში გიჩივლებთ და პოსუდში გაგგზავნიანო». წოუხთა შენს მტერს საქციელი, იმას წოუხთა!.. გამოაცხადა ჯვარის წერის სურვილი. დღეს აპირობს ქორწილს!.. დედა რა გლახა ყოფილა ეს კაცი! იმე!! ფუ, შენ კნიაზობას და გვარისშვილობას! რიღასთვის ინახავს, მაინც ვიცოდე ნეტაი ამ დიდკაცობას? ბიჭო, მივიდეს და უთხრას სამართალს: ни хочит, да больши ничаво!! რაღას იზმენ? აღარ შერცხვებათ ქვეყნის? თავადი ვარო, იტყვის და გამოჩენილი, მუახლეს ქე ირთავს!.. მე რომ კოხტაიას მხედავთ, მისდღემჩი ამ საქმეს არ ვიზამდი... (გადააფურთხებს). ფუ! პადლეც, какой მშიშარა мой барин князь თურმე და მე კი არ ვიცოდი მარა მე რა მენაღვლება ყველას კისერი მოუტეხია ან ქე რაღა დროსია! რახან დეიჯინა, გვირგვინსაც იფსკვნის და ქორწილისთვისაც უნდა მოვემზადოთ...ეჰ, რა მიხარია მე უბედურს სხვისი ქორწილი. ჰაი ბეჩავსა! ჩემი ქორწილი უნდა იყოს, რომ ასე

გამევიჭიმო სეკლეტარივით სკამზედ, მე გეტყვი ვერ დავემგვანები! (მეორე სკამზედ ხელით აჩვენებს) აქაც ერთი გვარიანი დუშინკა! რა მოგვიხდებოდა!.. ყოლიფერს უთავაზებდი! (ელაპარაკება სკამს) მიირთვი, ჩემო ანგელოზო, ქორწილი ჩვენია, რას მოგიწყენია, შენ შამოგებლე? Ну кушит, пожолуста,.мои душинка красавиц! აბა,что хочит: თებზი хочит? ხიზილალა хочит? დოში (ეკითხება) не хочит? как не хочит, ах, ты скатин!.. ღომი хочит? (გულმოსული) ი, აპა რა ეშმაკი хочит, შე ოჯახდაქცეულო?! (სიცილით და თითის ქნევით) ااااა! ах ты разбоника, машеника... ხა-ჭა- პური хочит ხაჭაპური! (შეჩერდება) ვაი, დედა! რა მადიანათ ილუკმება! (ეშხით) დეედა, რა მოწყალის თვალით გადმომხედა... (ადგება) აპა ახლა დოუაროთ ერთი! ადექი! ჰო! ნუ გრცხვენია, ადექი! ოხ, შენი ჭირიმე! (თამაშობს) მე გეტყვით, ვერ შემოპროწიალდება საწყალი ჩვენი კოხტაია! სიმღერა გინდა, შენი ჭირიმე? გიმღერო? თუ გინდა, ისეთს

შემოვძახებ, რომ ყველა კაცი გავაშტერო! (მღერის) «ოსასაია, რირუშა, ჩაირამა»... (კარებს აბრახუნებენ) რავა გამაწყვეტიეს სიმღერა ამ კვტარძაღლებმა! ვინ უბედურებაა?! (მივა კარებთან) ვინ ხარ, ვინ? ამოგივარდა ოჯახი!..

კულისიდგან

კოხტო, შენ ხარ? გააღე კარები. (კოხტა გააღებს).

მეორე სანახავი

იგივე, არტემ ივანიჩი და ორომსე

არტ. ივ.

ბიჭო კოხტო! შენი ბატონი სად არის? (დაჯდება).

კოხტაია

თავის ოთახში, ტანისამოსს იცვამს და ემზადება...

არტ. ი ვ.

განა რა ამბავი გაქვთ?

კოხტაია

ბატონო! თქვენთან რომ გახლდით დილას, არ კი მოგახსენეთ: ბატონი ქორწილს აპირებს თქვა!..

არტ. ივ.

რას მიჰქარავ? მართალს ამბობ? მე კიდევ ხუმრობა მგონია...

ორომსე (ზის)

მაშ არა და, მაგისი მზემა, ჩემი დავითი უჩემოდ ქორწილი იქმოდა!

კოხტაია (ეცინება)

ბატონო, არ გჯერათ თქვენ თუ?

არტ. ივ.

რა გვჯერა. ყურუმსაღო! ქორწილი ფაფა ხომ არ არის. ხუთ მინუტში მოხარშო და სჭამო! ჩვენ აღარ შეგვატყობინებდა!

ორომსე

აღა, შენ რაღას ელაპარაკები მაგ ვირი? დავითის შტუკები

არ იცი? კანპანია ექნება რამე და რომ იცოდა, არ მოვიდოდით, ქორწილი მოუგონია! ვერ ატყობ, ბიჭიც დარიგებული ჰყავს, როგორ ეცინება. რას იცინი, შე ეშმაკის ბღარტო? შენი ტოლი ვართ, რომ გვატყუებ?!

კოხტაია

ბატონო! მე მართალს მოგახსენებთ და თუ არ დაიჯერებთ, ეგ თქვენი ნება გახლავთ.

არტ. ივ.

ბიჭო, კოხტო. ხუმრობა ნუ იყოს და მართალი მითხარ შენ გაზდას!..

კოხტაია

არ მოუკვდე ჩემ თავს, მართალი გახლავთ!

ორომსე

სტყუი, ვირო! აღარა თქო ეგეთი ხუმრობა, თორემ ენა ძირიანათ ამოვიღებ!..

არტ. ივ. (შეუბღვერს)

დამაცა, ორომსე! (კოხტაიას) მახლას ვის ირთამს?

კოხტაია

ბატონო! მართალი სიტყვისათვის რაიზე მიწყრებით? ვის ირთავს და მის გოგოს - ტასიას.

არტ. ივ.

ვის გოგოს?

კოხტაია

მის, მის, ბატონის გოგოს.

არტ. ივ.

მის რომელია, შე პირძაღლო, სთქვი სწორეთ და!

ორომსე (კოხტაიას)

ვუი, ქუ აჩკინ! განა შენი ქალბატონი გოგო უნდა უთხრა?

არტ. ივ. (ცოლს)

შენ, რაღა ღმერთი გაგიწყრა, დაიცა ცოტა და! (კოხტაიას) მითხარი სწორეთ.

კოხტაია

არ კი გითხარით: ბატონს დავითს რომ გოგო ჰყავდა, მაგი შერთეს ძალით.

ორომსე

ვაი, შენ, ჩემო თავო! (სატირლად ემზადება).

არტ. ივ. (ცოლს შეუტევს)

ორომსე!

ორომსე (ტირილის ხმით)

რაები ლაპარაკობს!..

არტ . ივ.

დაჩუმდი მეთქი! (კოხტაიას) როგორ თუ ძალით შერთეს?

კოხტაია

ასთე, ბატონო, მის უნებურად.

არტ. ივ. (შეუტევს)

ეჰ, დაიკარგე იქითა! მე შენი არა მესმის რა.

მესამე სანახავი

იგინივე და მოურავი

მოურავი (შემოდის)

კოხტაიავ! ბატონი გიბრძანებს, ჩქარა... (იმათ დაინახავს. კოხტაია გავა). ოჰ, მობრძანებულხართ კიდევაც? ჩვენ ეხლა თქვენთან გვინდოდა ბიჭი გამოგვეგზავნა...

ორომსე (ტირილის ხმით)

მოურაოჯან! ერთი ახლო მოდი, რა გითხრა...

არტ. ივ. (მუჯლუგუნს წაჰკრავს)

კიდევ! უცხო კაცი რაებს ელაპარაკები?

ორომსე

ნეტავი შენა, რა დროს უცხოა, ჩემი გულში ცეცხლი აენთო...

არტ. ივ.

ორომსე! ვნახოთ, თუ მართლა არ მოგიკიდო ცეცხლი! (მოურავს) მართლა დავითი ქორწილს აპირებს?

მოურავი

დიახ, შენი ჭირიმე.

არტ. ივ.

მერე ვის ირთამს?

მოურავი (დაღონებული)

ჩვენებურ გლეხის ქალს.

ორომსე

ეხლაც ნუ დაიჯერებ...

არტ. ივ. (დაუღრიაღებს)

დაჩუმდი მეთქი, შე ტარტაროზების უსტაბაშო!. (მოურავს) ახარ, რათ ირთავს?

მოურავი

თითონ ბარე არ ირთავს, მაგრამ ძალათა რთამენ!..

არტ. ივ.

არა, თუ ღმერთი გწამს?

მოურავი

მამიჩემის ცხონებამ!

არტ. ივ.

აგრემც მამაშენს დაურჭე საფლავში სიონის ტოლა

ნათელი, სწორე მითხარი.

მოურავი

სწორეს მოგახსენებთ, ვაჩნაძიანთ ღვთისშობლის მადლმა!

არტ. ივ.

(შუბლზე ხელს შემოიკრავს)

ვაი, შენ, ჩემო თავო. ქვეყანაში შერცხვენილო ყმაწვალო კაცო! ჩვენ მაინც შეგვატყობინებდა. კაცო, რაზედ იღუპებოდა?.. ერთ ადვაკატს მაინც უშოვნიდით! ეს რა უქნია! (ტაშს შამოჰკრავს).

მოურავი

არ ვიცი, შენი ჭირიმე მაშ წავალ, ვეტყვი მობრძანდნენ მეთქი. (გავა).

არტ. ივ (დადის)

ეს რა ნაირი ხალხი გახდა!

მეოთხე სანახავი

იგინივე და დავით

დავით (შემოდის)

კარგია, მოსულხართ? მიკვირს. (ხელს აძლევს).

ორომსე

შენი ჭირიმე, დავითიჯან, როგორა ხარ? როგორ მოხდა ეს

საქმე?

დავით (უსიამოვნოთ)

ეჰ, როგორც იყო, იყო...

ორომსე

ახლა გენაცვალე, რომელიცა რომ...

არტ. ივ.

ორომსე! ახლა კიდევ დაიწყე?

დავით

რაღას უყურებთ, არ წამოხვალთ საყდარში?

ორომსე

შვილო, ახლა განა...

არტ. ივ (მაღლა)

ფიეეე! დასწყევლოს ჩემი იესო ქრისტემ! ახლა სიტყვას არ მათქმევინებ? (დავითს) რატომ, წავიდეთ. ხალხი გყავთ ვინმე?

დავით

შინაურები ვართ და ზაქარიაც აქ შემესწრო აბა. რა მექნა, საქმე უცბათ მოხდა; თქვენც ძლივს შეგატყობინეთ: რომ შემეთვალა ვისთვისმე, ხუმრობა ეგონებოდათ.

არტ. ივ.

ვა! ჩვენც აკი ეგრე გვეგონა! შენი დეიდა კინაღამ გადაირია...

ორომსე

რა ვქნა შვილოჯან, ძალიან გული მეწვის, ეგ რა საქმე ჩაგიდენია?..

დავით (გაჯავრებული)

დეიდა ჩემო! пожалуйста, ნუღარაფერს ნუ მეუბნებით... (იქით) ლამის კაცი გავგიჟდე და ეს უფრო მიმატებს! (ჩქარა- ჩქარა დადის)

არტ. ივ.

დედაკაცო! თუ გაგიჟდი, ის მითხარი, ეხლავე ნათლუხში ჩაგაძუნძულებ; თუ არა და იყავი შენთვის რაღა! ხომ

ხედავ, შენი ლაპარაკი არ ესიამოვნება?!

ორომსე (დავითს უკან დასდევს)

შვილო! ძალით როგორ შეიძლება, რომ გოგო შეგრთონ?.

დავით (მოთმინებიდან გამოსული)

ოხ, ღმერთო, მომკალ! ეს რა ჭირში ჩავვარდი!.. ის ქალი ჩემთვის მინდა, თქვენთვის ხომ არა? რა გინდათ ჩემგან, ხომ ვერ მომკლავთ?! Чорт бы вас побрал совсем! (ჩქარა გადის).

არტ. ივ. (პირჯვარს იწერს)

რა დაემართა ეს ოჯახდაქცეული, დიდება შენთვინ, ღმერთო!.. დედაკაცო, შენ ჩემი აღარ გეშინიან?.. აბა, რა ვქნა სხვის სახლში, მერე ჩემი წკეპლებიც აქ არა მაქვს!..

ყელს ხომ ვერ გამოაჭრევინებ მაგ კაცსა, ხომ ხედავ. როგორა სწყინს? (იქით) ეს რა ბაიყუში ვინმეა! (პირჯვარს იწერს).

ორომსე (გულამომჯდარი)

მეც მაგას ვანბობ, მაგისთანა საქმე რად მოუვიდა...

არტ. ივ. (შეუტევს)

ორომსე მეთქი! ვნახოთ!.. რა ოინბაზი რამ გახდა. დასწყევლოს ღმერთმა!.. (პუბლიკისკენ) ეს წყეული, როცა კი ჩუმათ არის, რა კარგი სანახავია და! ერთი შემოხედეთ, თქვენი ჭირიმეთ: მამალი ინდაურივით არ გაფხვერილა...(იცინის) ადე, კარგი, წავიდეთ, სირცხვილია, და შენ ჯავრს, ქალბატონო, შინ ამოვიყრი!. Давай под руку! (ხელგაყრილნი გავლენ).

მეხუთე სანახავი

კოხტაია, მოურავი და მერე ზაქარია

კოხტაია (შემოდის ლაპარაკით)

ბოშო! გეუბნები, არ გავაკეთებ, რაც ჩემი საქმე არ არის!

მოურავი (კოხტაიას მოსდევს)

ბოშოს მოგცემ, ასეთსა წამოგისვამ მაგ თავში, რომ კუტალივით გაგორდე!

კოხტაია

ვის? ვის? ლოქოფაჩასავით დეგიღია პირი! იქით დეიკარგე, თვარა გაჩვენებ, რავარც უნდა წამოსმა!

მოურავი

ბიჭო, შვილო! ოთახებს არ დაასუფთავებ, საცაა მოვლენ, ან რაღაც ეშმაკი ჩაია, არ გაუკეთებ, ბატონმა რო გიბრძანა?

კოხტაია

სიტყვა კი გვარიანი გაქვს და ჩაის ვერ გააკეთებ, შე უბედურო?! აპა, მახოხს და ღოლო შეჭამანდს ხომ გააკეთებ?

მოურავი

არა, ვის უბედავ მაგეებს, შე ყურუმსაღო? დაგავიწყდა, მე ვინცა ვარ?

კოხტაია

ვინა ხარ, უბედურო. ვინ? მოურავი გინდა თქვა?! აი, დედა, ვუბედური!.. აქანა ჭკვაა საჭირო, ჭკვა! მოურავი რას მიქვია! ფულს რომ ბღუჯავ ვორის ხელით. საქმეც შენ გააკეთე.

მოურავი

დახედე ამ ჭინკის ბარტყს, რეებს ამბობს. (დამუქრებით) ჯერ ბატონი მობძანდეს!..

კოხტაია

ჭიმკაც ხარ და ჩერჩეტიც!.. რავა ბუსავით გამეიყურება!.. ძველი მელივით რო მეიკვდარუნებ ბატონთან თავს და ფულებს სტყუებ ხოლმე, არ გრცხვენია? რა კაცი ხარ შენ? ფუ, შენს კაცობას!

მოურავი (გაჯავრებული)

ხომ ეგენიც მითხარი და კარგათაც გამომლანძღე? ეგრე იყოს,ეგრე მე შენ დროს გიპოვი!. (გაჯავრებული) წადი, რაც ბატონმა გიბრძანა, ეხლავე გააკეთე!..

კოხტაია (კრესლოში ჩაჯდება)

ვის უბედავ მაგას, შე დურაკო?

მოურავი

ბიჭო! რათ იგინები, შვილო? ადე, წადი მეთქი ჩქარა!..

კოხტაია (თავისთვის მღერის)

მოურავი (უყვირის)

არ გესმის, ბიჭო?

კოხტაია (შეტევით)

გეიწი იქით! ახ, ტი, პადლეც! სიმღერა შემაშლევინე!

მოურავი

ნუ იგინები მეთქი, თორემ.

კოხტაია (შეტევით)

რა გინდა, კაცო, ჩემგან? ჯანი დეიგდებინე და ყველაფერი გააკეთე!

მოურავი (ყვირილით)

ამას რომ არაფერს ვეუბნები, მართლა თავს წავიდა! მე იმტელი ნებაცა მაქვს, რომ კარგები გირტყა!..

კოხტაია (წამოხტება და იმკლავებს)

აპა ჰო! მოდი, მოდი!...

მოურავი (წაეტანება)

ერთი ამას უყურეთ, ეეე!

კოხტაია

(ხან მივარდება და ხან გაუშვებს)

აი, შე გლახა! აპა ჰო!..

ზაქარია (ჩქარა შემოდის)

რა გაყვირებთ, რა ამბავია?

მოურავი

აი, შენი ჭირიმე. შემოვიდა და არაფერს არ აკეთებს...

კოხტაია

უმალ შენ გააკეთე, თუ გინდა!

ზაქარია

რა დროს ეგენია, რას ამბობთ? სირცხვილი არ არის, იმ კაცს თქვენი იმედი აქვს და თქვენ კი აქ რაღაც მუშტის კრივი გაგიმართავთ?. წადით ეხლავე, ყველაფერი დაალაგეთ, რაც გიბრძანათ, თორემ ხომ იცით იმის ამბავი...

მოურავი (კოხტაიას)

დაიძარ, ბიჭო, არ გესმის?

კოხტაია

გასწი წინ! (ჩხუბით და ბუტბუტით გადიან).

მეექვსე სანახავი

იგივე და არტემ ივანიჩი

არტ. ივ. (შემოდის)

ზაქარია დავიდიჩს ვახლავარ! (ხელს აძლევს).

ზაქარია

არტემ ივანიჩს გაუმარჯოს! (ხელს აძლევს).

არტ .ივ.

სხვა, ზაქარ დავიდიჩ, როგორ გიკითხოთ?

ზაქარია

გახლავართ, როგორც დროს შეეფერება. თქვენ, თქვენის სახლობით? (დასხდებიან).

არტ. ივ

გახლავართ, შენი ჭირიმე!.. ზაქარ დავიდიჩ, როგორ უყურებთ, თქვენ დავითის საქციელს?

ზაქარია

სინანულით, თქვენმა მზემ, სინანულით. მე დროზედ ვუთხარი და ბევრიც ვემუდარე, ამ ხიფათისთვის თავი

გადაერჩინა, მაგრამ რომ არ გამიგონა რასაც ამოინიჟებს, ხომ იცით, კაცი ვერ გადაათქმევინებს...

არტ. ივ

მეც აკი მაგიტომ არაფერს არ ვეუბნები, რომ ჯიუტია! რას გამიგონებს! ნათქვამია: на стен гарох брасай - დადგება?!

მეშვიდე სანახავი

იგინივე, დავით, ორომსე და ტასია

დავით

(თავის ოთახიდგან გამოდიან)

აბა, წავიდეთ საყდარში, დრო არის. ვინც მოსასვლელია ქალაქიდგან, პირდაპირ ეკლესიაში მოვა.

არტ. ივ. (ადგება)

წავიდეთ. (ზაქარ დავიდიჩს) ბიჭო, ეს კარგი საკნატუნებელი გოგო ჩაუგდია! (ცოლს) შენც მოდიხარ?

ორომსე

ვა! მოვდივარ, მაშ!

არტ. ივ.

ბიჭო! შენ შენი ღმერთი აქ იყავი, ხატები არ დაგვიფთხო საყდარში!

ორომსე

შენ ეგენი ნუ იცი ხოლმე!..

არტ. ივ.

ვა! როგორ არ ვიცი, შე ოხერო, სულ წუწუნებ ავათა ვარო, დღეში ნახევარ თუნგი პიტნის კაპლი არა გყოფნის! რომ გაცივდე?

ორომსე

შენ დარდი ნუ გაქვს!

დავით

რაღასა სდგეხართ, წავიდეთ? (მიდიან)

მერვე სანახავი

იგინივე და გიჟუა

გიჟუა (შემოდის)

ბატონს გაუმარჯოს! სად მიბრძანდებით?

დავით (მკაცრად)

რა გნებავს?

გიჟუა

მე? არაფერი... კარგა ხანია აბანოში არა ვყოფილვარ, ცოტა დასაზელი ვარ! (იზმორება)

დავით

შენ რომ მიბძანდე და დაიძინო, ისა სჯობიან, გამოფხიზლდები!..

გიჟუა

დავიძინო?! რა კაი სიზმრებს ვნახამ, თუ შენ გამომეცხადე ძილში! (ჩაიცინებს)

დავით

კარგია, მიბძანდი, ჩვენ არა გვცალიან!

გიჟუა

ჯერ მაიცა, ნუ ჩქარობ. წვიმამ გადიღოს! რას მიყურებ? (დაბლა) ქალისას რას შვრები?

დავით

აი ეხლა მივდივარ ჯვარის დასაწერად!

გიჟუა

ჯერ მაიცა, ნუ ჩქარობ, წვიმამ გადიღოს! რას მიყურებ? (დაბლა) ქალისას რას შვრები?

დავით

აი ეხლა მივდივარ ჯვარის დასაწერად!

გიჟუა

აღარ იშლი რაღა? (იქით) შენი დრასტი დაიქცა შენი! (იმას) მაშ ჩვენ რა ვირის მუშები ვართ, რომ სამი დღე აქ გიცდით? აბა, ერთი სეროზნათ მელაპარაკეთ!

დავით

მე ლაპარაკისთვის არა მცალიან. მე ჯვარს ვიწერ: ეგ

თქვენა და ეგ თქვენი სამართალი, წადით, იჩივლეთ!

გიჟუა (დაცინვით)

რა ჭკვიანურად ლაპარაკობ, აზირ! ჯერ ჯვარს დაიწერ. მერე გიჩივლოთ, ჰა? მოლა მოკვდა, თავზე ფლავი დააყარესო! ეს გამოვიდა რაღა? რა ვქნა, კნიაზ, მე რომ სხვაზედ ჩივილს არა ვარ დაჩვეული? სულ ჩემზე ჩივიან ხოლმე!.. საჩივლელათ მივედი ერთხელ სუდიასთან, ერთს ჩემი ფული ემართა; სუდიამ დამინახა თუ არა, თქო თუ, ჩქარა დაიჭირეთ და ერთი კვირით ჩასვითო, უთუოთ სცემდა ვისმეო. ამიღეს და უთქმელად ჩამაგდეს. რას დამიჯერებს ისიც! არა, მე დაჩვეული ვარ, რომ ჩემზე იჩივლონ ხოლმე. შენისთანებმა იციან ჩივილი, განა ჩემისთანებმა! (მუშტს აჩვენებს). აი ჩემი სამართალი, ჩემი ზაკონი, ჩემი პრავნელია, მაშ! ისევ შენ წადი საჩივლელად, მე რათ წავალ! შენი გაჩენის საათიცა და!..

დავით (შეღრიალებს)

გაეთრიე აქედგან, შე ვირო, ოხერო შენა!..

გიჟუა (შეღრიალებს)

გაიჭიმე შენი ოხერი პატრონიცა!.. ეეე!.. ბიჭებო! . (მივარდება დავითს, დივანზედ გადააქცევს და ზედ მუშტით დაჯდება).

შემოცვივიან საქუა, ფიჩხულა, სოსანა, მოურავი და კოხტაია.

ზურნა (უკრავს «ტუშს»)

(მოურავს ეკრიება და იფრენს კიდეც)

სოსანა (დაიფრენს კოხტაიას)

საქულა

(ქალს მოიტაცებს, ხელში აიყვანს და მიარბენინებს; ფიჩხულა და სოსანაც გაჰყვებიან. გიჟუა ისევ სცენაზეა. წივილ - კივილი).

ფარდა

1878წ.